

ანა კლიაშვილი  
ნინო ღალანიძე

# ხელოვნება

# 4

მასწავლებლის წიგნი



## ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

ანა კლდიაშვილი, ნინო ლაღანიძე

# ხელოვნება

IV კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს



გამომცემლობა „კლიო“

**ანა კლდიაშვილი, ნინო ლალანიძე**

**ხელოვნება**

*IV კლასი, მასწავლებლის ნიგნი*

**რედაქტორი ნანა კუპრაშვილი**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო  
აკადემიის პროფესორი,  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ირმა ლიპარტელიანი**

© გამომცემლობა „კლიო“, 2018

© ანა კლდიაშვილი, ნინო ლალანიძე, 2018

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-441-91-2



**შპს „გამომცემლობა კლიო“**

აღმაშენებლის გამზ. 181,

თბილისი, 0112

ტელ.: (+995 32) 234 04 30

E-mail: [book@klio.ge](mailto:book@klio.ge)

[www.klio.ge](http://www.klio.ge)

# სარჩევი

|  |    |
|--|----|
| 1. სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია.....  | 6  |
| 2. ზოგადი ინფორმაცია IV კლასის მოსწავლის წიგნის<br>(სახელმძღვანელოს) შესახებ.....  | 7  |
| 3. IV კლასის სტანდარტი სახვით და<br>გამოყენებით ხელოვნებაში .....  | 16 |
| 4. სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის<br>ურთიერთკავშირის მატრიცა .....  | 19 |
| 5. მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა.....  | 27 |
| 6. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების<br>თავისებურებები საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე<br>ასაკის თავისებურებები ..... | 27 |
| 7. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე.....   | 32 |
| 8. სპეციფიკური, საგნობრივი<br>და ზოგადი გამჭოლი უნარები .....  | 33 |
| 9. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი<br>სტრატეგიები, რასაც ეყრდნობა სახელმძღვანელო .....                         | 34 |
| 10. საგანმანათლებლო რესურსები .....  | 41 |
| 11. მოსწავლის შეფასების პრინციპები .....   | 42 |
| 12. აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი<br>რეკომენდაციები.....   | 51 |
| 13. მოსწავლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი.....  | 53 |
| 14. მასწავლებლის წიგნის დასკვნითი ნაწილი.....  | 53 |
| 15. მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებული შენიშვნები ....   | 54 |
| 16. გაკვეთილების სავარაუდო სცენარები .....   | 55 |

# 1. სახელმძღვანელოების სერიის კონცეფცია

წიგნების წინამდებარე სერია საგანში „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის I-VI კლასების სახელმძღვანელოებს მოიცავს, მოწოდებულია შეიყვანოს მოსწავლე ხელოვნების სამყაროში; ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს მოსწავლის, როგორც ჰარმონიული ადამიანის, ინდივიდის ჩამოყალიბებას ხელოვნებასთან ზიარების გზით.

ამ სერიის კონცეფცია სამ ძირითად პრინციპს ემყარება:

1. მისცეს მოსწავლეს გარკვეული თეორიული ცოდნა ხელოვნების შესახებ;
2. გაუღვივოს/განუვითაროს მოსწავლეს შემოქმედებითი აქტივობის სურვილი.
3. გამოუმუშაოს მას პრაქტიკული უნარები;

სერიის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია „მოძრაობა“ მარტივიდან რთულისაკენ, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების კვალად და მათი გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სერია ისეა აგებული, რომ I-IV კლასებში ძირითადი აქცენტი კეთდება მოსწავლის პრაქტიკულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმავზე. საგნის სწავლების ამ ეტაპზე სახელმძღვანელოების პრაქტიკული ნაწილი ითვალისწინებს შემოქმედებითი საქმიანობის დროს ტექნიკურ საშუალებათა ფართო სპექტრის გამოყენებას და, შედეგად, მოტორიკის განვითარებასა და დახვეწას. ცხადია, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება თეორიულ ცოდნასაც, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცალკეული ელემენტებისა და პრინციპების გაცნობას და ხელოვნების ნიმუშთან „ურთიერთობის“ სურვილის გაღვივებას, მის შესახებ მსჯელობის უნარ-ჩვევის გამომუშავებას.

V-VI კლასებში თეორიული გაკვეთილების წილი გაზრდილია, მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა ეპოქისა თუ ქვეყნის ხელოვნებას, მხატვრულ მიმდინარეობებსა თუ ცალკეულ მხატვართა შემოქმედებას, მსოფლიო ხელოვნების მრავალ ღირშესანიშნავ ნაწარმოებს, სახელგანთქმულ მუზეუმებსა და მათ საგანძურს. ეს აფართოვებს მათ თვალსაწიერს და ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარ-ჩვევის გამომუშავებას. ამ ეტაპზე კვლავ გრძელდება პრაქტიკული შემოქმედებითი უნარების განვითარება – მოსწავლის მიერ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მხატვრული ტექნიკისა თუ ხერხის ათვისება, მრავალფეროვანი ბუნებრივი თუ ხელოვნური რესურსის შემოქმედებითად გამოყენება და სხვ.

I-VI კლასების სახელმძღვანელოთა სერია მოწოდებულია დაანახოს მოსწავლეს, რომ ხელოვნება არის სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი საშუალება და, ამავე დროს, თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის შესანიშნავი ასპარეზი; რომ ხელოვნების საშუალებით ისინი ეზიარებიან კაცობრიობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ღირებულებებს, რაც მათ სამყაროს შესახებ ფართო მსოფლმხედველობრივი ხედვის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

## 2. ზოგადი ინფორმაცია IV კლასის მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) შესახებ

(მიზნები, სტრუქტურა, შინაარსი, მეთოდოლოგია, კომპლექტაცია)

### მიზნები

შემოთავაზებული სახელმძღვანელო განკუთვნილია დაწყებითი სკოლის IV კლასისათვის.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია, ჰარმონიულად განვითარებული, ესთეტიკური აღქმის მქონე და მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით თვითრეალიზებული მოსწავლის აღზრდა. თეორიული ცოდნა აფართოებს მოსწავლის თვალსაზრისს, ხოლო შემოქმედებითი უნარები თვითგამოხატვის საშუალებას აძლევს მოსწავლეს. იგი შეიმეცნებს სამყაროს ხელოვნების დახმარებით, ეუფლება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითად პრინციპებსა და ელემენტებს, გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც ხელს უწყობს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებას.

### სახელმძღვანელოს სტრუქტურა

(კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეული სტრუქტურული ელემენტის შესახებ)

სახელმძღვანელო შედგება მასწავლებლის წიგნისა და მოსწავლის წიგნისაგან. მოსწავლის წიგნი მოიცავს 63 გაკვეთილს, რასაც ემატება სახელმძღვანელოს ბოლოში წარმოდგენილი პროექტი „ჩვენი სამშობლო“. წიგნის თემატიკა დაყოფილია 5 თავად. გაკვეთილები თავების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: წიგნის პირველი თავი მოიცავს 12 გაკვეთილს, მეორე თავი – 12 გაკვეთილს, მესამე თავი – 15 გაკვეთილს, მეოთხე თავი – 13 გაკვეთილს და მეხუთე თავი – 11 გაკვეთილს. ყოველი თავის ბოლოს გათვალისწინებულია ერთი შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელიც დეტალურად არის განერილი მასწავლებლის წიგნში. წიგნის დასაწყისში მოცემულია შინაარსი. ამას მოსდევს მოსწავლის წიგნში მოცემული სტრუქტურული ელემენტების განმარტებები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლე გაერკვევა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს წიგნი.

მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს თითოეული გაკვეთილის ტექსტი სირთულის და ინფორმაციულობის თვალსაზრისით სავსებით შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს. სახელმძღვანელოში დაცულია თანაფარდობა ტექსტსა და ილუსტრაციებს შორის. ყოველი გაკვეთილის ტექსტი შეიცავს ახალ ინფორმაციას, რაც, ერთი მხრივ, ეფუძნება უკვე გავლილ მასალას, მეორე მხრივ აღრმავებს ან აფართოებს ამ ცოდნას. ამგვარი ბმა წინარე და ახალ ცოდნას შორის ამაღლებს მოსწავლის მოტივაციას, ხოლო შესასწავლი საკითხის დაკავშირება მოსწავლის გამოცდილებასთან, ყოფასთან მოსწავლეს უჩინს ბუნებრივ ინტერესს, რაც, საბოლოო ჯამში, დასმული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში ეხმარება მას.

ყველა გაკვეთილში მოცემულია საკლასო ან სამინაო დავალება. საგაკვეთილო პროცესი ინტერაქტიურ ხასიათს ატარებს და შეიცავს გაკვეთილის თემასთან, გავლილ ან ახალ მასალასთან დაკავშირებულ რამდენიმე შეკითხვას.

საგანგებოდ შერჩეული ილუსტრაციები მაქსიმალურად ნათლად წარმოაჩენს შესასწავლი საკითხის რობას, ტიპიურია, ამასთანავე, აქაც გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები.

სახელმძღვანელოში შესული საილუსტრაციო მასალა შერჩეულია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

1. ნიმუშის მაქსიმალური ტიპურობა განსახილველ თემასთან მიმართებით;
2. მასალის მრავალფეროვნება (გამოყენებულია როგორც ფერადი რეპროდუქციები, ისე ამავე ასაკის მოსწავლეთა ნამუშევრები)
3. გათვალისწინებულია ის ფაქტორი, რომ ხელოვნების ზედმინევენით რეალისტური კლასიკური სურათების ნიმუშად გამოყენება ამ ასაკის მოსწავლეებისათვის მიზანშეწონილი არ არის, რადგან ბავშვი, ცხადია, ასე ვერ დახატავს და შესაძლოა, ამის გამო არასრულფასოვნების კომპლექსი განუვი-

თარდეს. ამიტომ კლასიკური ნიმუშებისა და პირობითი ხასიათის ნამუშევრებს შორის თანაფარდობა თანაბარია.

ნიგნს მეოთხე კლასის მოსწავლისათვის გასაგები, ნათელი სტრუქტურა აქვს. რამდენიმე სტრუქტურული ელემენტის საშუალებით ხდება განშლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ეს ელემენტები სისტემატურია ანუ ყველა გაკვეთილში მეორდება და ერთსა და იმავე ადგილასაა განთავსებული, რათა ამ ასაკის მოსწავლემ იოლად, მასწავლებლის დაუნმარებლად მოახერხოს ორიენტირება ნიგნში. ყოველი გვერდის ზედა კუთხეებში ფერად ჩარჩოში მოცემულია თავის ნომერი.

კლასში შესასრულებელი პრაქტიკული დავალება სიტყვითაა განერილი, საგანგებო ყვითელ ჩარჩოშია ჩასმული და აღნიშნულია საგანგებო ნიშნით – ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ფანქრითა და მაკრატლით. თავად დავალების ტექსტი მოკლე და შეძლებისდაგვარად სხარტია.

კიდევ ერთი სტრუქტურული ელემენტია ნათელი ჩარჩო, რომლის ზედა კუთხეში კითხვის ნიშანია მოცემული. ამგვარი ჩარჩო ყოველთვის გაკვეთილის გვერდის ქვედა არეზეა მოცემული და მასში ამ თემასთან და ილუსტრაციებთან დაკავშირებული კონკრეტული და ყველაზე აქტუალური კითხვებია დასმული. ეს კითხვები მასწავლებელმა შესაძლებელია, ინტერაქტივად გამოიყენოს და კლასში დასვას და, შესაძლებელია, მოსწავლეს დაავალოს მათზე სახლში პასუხის გაცემა.

კიდევ ერთი ელემენტია ლექსიკონი, რომელიც ლურჯი ჩარჩოთი გამოიყოფა; მასში ახალი ტერმინების მარტივი განმარტებაა მოცემული. ეს ელემენტი მხოლოდ იმ გაკვეთილებშია ჩართული, რომლებშიც რაიმე ახალი ცნება შემოდის. ზოგჯერ ეს ელემენტი წინა წელს ნასწავლი ტერმინების გასახსენებლადაცაა გამოყენებული.

თითქმის ყველა თემა შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, წყვილებში ან ჯგუფურად ასრულებს გაკვეთილის მსვლელობისას; ამის შედეგად მასწავლებელს საშუალება ეძლევა, შეამოწმოს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა.

გასათვალისწინებელია, რომ დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სახელმძღვანელო, რადგან პასუხისათვის მათ თვალსაჩინო მასალის გამოყენება დასჭირდებათ.

შემაჯამებელი გაკვეთილების უმეტესობა მოიცავს სავარჯიშოების რამდენიმე ტიპს. მათ შორისაა, როგორც თეორიული ცოდნის ათვისების ხარისხის შესამოწმებელი ტესტური სახის დავალებები, ასევე, ტერმინების ათვისების შესამოწმებელი კროსვორდები (მოცემულია მასწავლებლის ნიგნის ბოლოში). ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეამოწმოს, როგორ აითვისა მოსწავლემ განვლილი მასალა, რამდენად გაიგო მოსწავლემ სახელმძღვანელოს ამ ნაწილში შემოტანილი ახალი ტერმინებისა თუ ცნებების არსი. მასწავლებელს თავად შეუძლია შეადგინოს ანალოგიური ხასიათის ტესტები და დაამატოს ნიგნში მოცემულს. გარდა ამისა, შემაჯამებელ გაკვეთილებში არის პრაქტიკული დავალებებიც, რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებს ყველა იმ მასალის, ტექნიკური ხერხისა თუ მეთოდის გამოყენება უნევთ, რომლებიც სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ისწავლეს. ამით მასწავლებელს საშუალება ეძლევა შეამოწმოს, თუ რამდენად გამოუმუშავდათ მოსწავლეებს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც სახელმძღვანელოს ამ ნაწილის გავლის შედეგად მიზნად იყო დასახული.

მასწავლებლის ნიგნში მოცემულია თვითშეფასების კითხვარი (რუბრიკით „ცოდნის სკივრი“), რომელსაც მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით პერიოდულად ავსებენ და რომელიც მათ საშუალებას აძლევს თავადვე შეაფასონ საკუთარი ცოდნა.

სახელმძღვანელოში ზოგიერთი თემა ერთ განშლაზეა მოცემული, ზოგი კი, ერთ გვერდს მოიცავს. ზოგიერთი თემა ერთ გაკვეთილზე შეიძლება ამოიწეროს, ზოგი კი ორ გაკვეთილზე გადანაწილდეს. იმის გადანყვეტა, თუ რამდენ გაკვეთილზე გადანაწილებს მასწავლებელი თემას, მისი ნებაა.

## შინაარსი

შინაარსი სტანდარტთან შესაბამისობაშია და მოიცავს ყველა იმ თემას, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც სტანდარტითაა გათვალისწინებული ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის.

1 თავი ეხება ფერებსა და ფერთან დაკავშირებულ საკითხებს (ფერების შექმნა, გაღივება/გაბაცება, კონტრასტული ფერები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული თემები, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ფერს ენიჭება).



II თავი ეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების რამდენიმე ძირითად დარგს, პრინციპს და ელემენტს, კომპოზიციური აგების ხერხებსა და პრინციპებს (ხატვა, ძერწვა, სიმეტრია, ასიმეტრია, სიმეტრიის ღერძი, ორნამენტი და სხვა თეორიული და პრაქტიკული თემები, სადაც ამ პრინციპებს მოსწავლე დამოუკიდებლად გამოიყენებს).

III თავი ეხება ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებს, ჟანრებს, პრინციპებს და ელემენტებს (გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნება, დინამიკა, სივრცე სახვით ხელოვნებაში, ნატურ-მორტი და სხვ.).

IV თავში თავმოყრილია სხვადასხვა მხატვრული ტექნიკის, კომპიუტერული სახატავი პროგრამის გამოყენების, ინფორმატიული/თეორიული საკითხები. მოსწავლე თეორიული თუ ისტორიული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ იყენებს წლის განმავლობაში მიღებულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს საკლასო და საშინაო დავალებების შესრულებისას.

V თავი აერთიანებს ინფორმაციას ხელოვნების დარგების, კულტურული პროფილის დაწესებულებების, ისტორიული და სხვა სახელოვნებო თემების შესახებ (არქიტექტურა, მუზეუმის ისტორია, ლეგენდები და ისტორიული თემები).

სახელმძღვანელოს ხუთივე თავში წარმოდგენილია თეორიული და ვიზუალური ინფორმაცია მსოფლიოს ცნობილ ხელოვანებსა და მათ შემოქმედებაზე, მათ შორის ქართველ ხელოვანებზეც, რაც მოსწავლეს ასაკის შესაბამისად აწვდის თეორიულ ცოდნას და სთავაზობს გააცნობიეროს მათი შემოქმედების მნიშვნელოვანი ასპექტები.

სასწავლო წლის ბოლოს რეკომენდებულია სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პროექტის განხორციელება, როლის დროსაც მოსწავლეები გამოიყენებენ შეძენილ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

სულ ბოლოს წიგნს ერთვის ლექსიკონი.

ზოგიერთ გაკვეთილში შესასრულებელი დავალება ინდივიდუალურია, ზოგიერთში კი – ჯგუფური ან წყვილებში შესასრულებელი, რაც მოსწავლეს თანამშრომლობის უნარს უვითარებს. შესაბამისად, თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებთან ერთად სახელმძღვანელო ხელს უწყობს თანამშრომლობითი მუშაობის უნარების განვითარებას. საკუთარი და სხვისი ნამუშევრების წარდგენა და განხილვა, რაც სახელმძღვანელოს თითქმის ყველა გაკვეთილშია გათვალისწინებული, უვითარებს მათ საპრეზენტაციო და ანალიტიკურ უნარებს. ამდენად, სახელმძღვანელო უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით და სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

## მეთოდოლოგია

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის თავისებურებებიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო მოიცავს სწავლა-სწავლების მეთოდთა ერთობლიობას, კერძოდ: წინარე ცოდნის დიაგნოსტიკის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გონებრივი იერიშისა და ანალიზის მეთოდები, დისკუსია, დებატები და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, დემონსტრირებისა და შედარების მეთოდები.

ყველა გაკვეთილში მოცემულია ინტერაქტივის რამდენიმე კითხვა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, ხოლო მასწავლებელს საშუალებას აძლევს მიმართულება მისცეს დისკუსიას თუ კონკრეტული მოსწავლის მსჯელობას.

ქვემოთ გათვალისწინებული სწავლა/სწავლების რამდენიმე ცნობილ მეთოდს, რომელთა გამოყენება ყველა ტიპის გაკვეთილზე შესაძლებელია კლასის რიცხოვნების და საჭიროებების გათვალისწინებით.

## სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე გამოსაყენებელი მეთოდოლოგია

### „დიაგრამა“

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეს განსახილველი საკითხები დაუპირისპიროს ერთმანეთს და ინფორმაცია დაახარისხოს. მაგ. დადებითი და უარყოფითი. ფორმატზე/დაფაზე/თაბახის ფურცელზე იხაზება

დიაგრამა, ჯერ ივსება სქემის მარცხენა მხარე, შემდეგ კი მარჯვენა მხარეს ინერება საპირისპირო მოსაზრებები.

### **„მოზაიკა“**

მასწავლებელი დიდ თემას ანაწილებს ჯგუფებში; მოსწავლეები ამზადებენ თემას, ჯგუფები ცალ-ცალკე წარმოადგენენ თემას. შემდეგ ამთლიანებენ და განიხილავენ თემას მრავალი კუთხიდან. მაგ. ძველი ეგვიპტის ხელოვნების განხილვისას მწვრთნელი ერთ ჯგუფს სთავაზობს გამოიკვლიონ (განიხილონ) ეგვიპტური არქიტექტურა; მეორე ჯგუფმა უნდა განიხილოს ეგვიპტური ქანდაკება, მესამე ჯგუფმა კი კედლის მხატვრობა. ჯგუფები წარმოადგენენ ძველი ეგვიპტის ხელოვნების ნაწილებს, რითაც მთლიანად მოიცავენ ძველ ეგვიპტურ ხელოვნებას.

### **„წრე“**

მოსწავლეები დიდი ზომის ფორმატზე სხვადასხვა მასალის და ტექნიკის გამოყენებით ქმნიან ფონებს, იყენებენ სხვადასხვა ფაქტურას (შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტიპის ხაზები, გეომეტრიული ფორმები, იყენებენ სველ საღებავზე ფუნჯის ტარს, კბილის ჯაგრისის გამოყენებით აშხეფებენ საღებავს, იყენებენ საღებავიან ღრუბელს ეფექტის მისაცემად) ამ სამუშაოსთვის განსაზღვრული დროის ამონურვის შემდეგ (მასწავლებელი აკონტროლებს დროს) თითოეული მოსწავლე აწოდებს მისგან მარცხნივ მყოფ თანაკლასელს, რომელიც მუშაობს ამ ფორმატზე (შესაძლებელია რაიმე კონკრეტული გამოსახულება შექმნან, მოსწავლეები თავად ირჩევენ შესასრულებელ გამოსახულებებს) განსაზღვრული დროის შემდეგ ისევ აწოდებენ მათ მარცხნივ მჯდომ თანაკლასელს. ეს აქტივობა გრძელდება მანამ, სანამ ნამუშევარი არ დაუბრუნდება მის პირველ ავტორს (სასურველია, დაწყების წინ მოსწავლემ ფორმატის კუთხეში თავისი გვარი დაწეროს). მოსწავლეს უბრუნდება ნამუშევარი, რომელზეც სხვა მოსწავლეებმა იმუშავეს და დაუმატეს ფერები, ფორმები. მოსწავლე აგრძელებს საკუთარ ნამუშევარზე მუშაობას. შესაძლებელია სხვაგვარადაც შესრულდეს: მოსწავლეები მხოლოდ ფონებს ქმნიან და არა გამოსახულებებს და როდესაც პირველ ავტორს უბრუნდება, იგი გამზადებულ ფონზე გამოსახულებებს ქმნის. (ეს შეიძლება იყოს პეიზაჟი, ნატურმორტი და სხვა).

### **„რაფტის მეთოდი“**

ეს გამოიყენება როგორც ინდივიდებთან, ისე ჯგუფთან სამუშაოდ. გაკვეთილის/გაკვეთილების მიზნიდან გამომდინარე ვარჩევთ თემას. დაფაზე/ფორმატზე გამოსახულია რაფტის ცხრილი და გონებრივი იერიშის მეთოდით მოსწავლეები ასახელებენ სავარაუდო როლებს, მასწავლებელი დასახელებულ როლებს წერს პირველ სვეტში. შემდეგ ისევ გონებრივი იერიშის მეთოდით მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ ის სავარაუდო ჯგუფები ან ადამიანები, რომლებსაც შეიძლება მიმართონ მოსწავლეებმა. მასწავლებელი ავსებს მეორე სვეტს. შემდეგ გონებრივი იერიშის მეთოდით ხდება სავარაუდო ძირითადი იდეების გამოვლენა და მასწავლებელი ავსებს მესამე სვეტს. მეოთხე სვეტი ივსება თუ რა სავარაუდო ფორმას ან ჟანრს გამოიყენებენ მოსწავლეები თემის წერისას (გონებრივი იერიშის მეთოდით უნდა გამოვლინდეს ჟანრი და ფორმა—მონოლოგი, დიალოგი) მასწავლებელი კითხულობს შევსებულ სქემას, შემდეგ ანაწილებს ჯგუფებში მოსწავლეების მიერ დასახელებულ როლებს, ფორმასა და სავარაუდო ადრესატს. მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას: გამოიყენეთ თქვენი წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი და ის ცოდნა, რომელიც თქვენ გაქვთ ამა თუ იმ ეპოქისა თუ მიმდინარეობის შესახებ.

15-20 წთ-ის განმავლობაში ჯგუფები მუშაობენ და შემდეგ წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე. შესაძლებელია ეს მეთოდი გამოვიყენოთ განსხვავებულად : ჯგუფის თითოეული წევრი წერს აღნიშნულ თემას (დროის რეგლამენტი – 10წთ) შემდეგ ჯგუფში განიხილება თემები, მოსწავლეები შეარჩევენ მათი აზრით საუკეთესოს და ხვენენ თემას. რის შემდეგაც წარადგენენ აუდიტორიის წინაშე.

წარმოადგენთ ამ მეთოდის ადაპტირებულ ვარიანტს, რომელიც სპეციალურად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვისაა შექმნილი:

მოსწავლეებმა გაიარეს ძველი ეგვიპტის ხელოვნება. (რამდენიმე გაკვეთილი დაუთმეს ამ თემას) და მასწავლებელი იყენებს რაფტის მეთოდს და სთხოვს მოსწავლეებს, შეარჩიონ როლები ძველი ეგვიპტიდან (პერიოდს ასახელებენ თავად – ძველი სამეფოს ხანა, შუა სამეფო, ახალი სამეფო, უახლესი სამეფო) მოსწავლეები ასახელებენ სავარაუდო როლებს და მასწავლებელი ავსებს რაფტის

სქემის პირველ სვეტს; შემდეგ ავსებს მეორე სვეტს, სადაც იწერება თუ ვის შიძლება მიმართონ სავარაუდო პერსონაჟებმა; მესამე სვეტში იწერება სავარაუდო ძირითადი იდეები და მასწავლებელი ავსებს მეოთხე სვეტს, რომელშიც მითითებული იქნება მიმართვის ფორმა. მოსწავლეები თავად არჩევენ მოცემული ცხრილიდან ერთ-ერთს და მუშაობენ ინდივიდუალურად. მასწავლებელი ეუბნება მათ, რომ გამოიყენონ წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი და ის ცოდნა, რომელიც მათ მიიღეს ამ ქვეყნის შესახებ, მოსწავლეებმა უნდა შექმნან მათ მიერ დაწერილი თემის ერთი ან რამდენიმე ილუსტრაცია. (გრაფიკული) მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ თემებს აუდიტორიის წინაშე. შესაძლებელია პრეზენტაციები შემდეგ გაკვეთილზე გაკეთდეს, რათა ყველამ შეძლოს საკუთარი ნაშრომის წარმოდგენა და მოსწავლეებმა შეძლონ მისი განხილვა. შესაძლებელია თითოეული თემის შემდეგ წერილობით ანონიმურად განხილონ (3 წთ) მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ნაიკითხოს მათი მოსაზრებები. წერამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ მათი მოსაზრებები კორექტული ფორმით იყოს წარმოდგენილი.

შესაძლებელია სხვაგვარად ჩატარება: მოსწავლეები ასახელებენ სავარაუდო როლებს (მათ უნდა შეარჩიონ როლები ძველი ეგვიპტიდან) და მასწავლებელი ავსებს რაფტის სქემის პირველ სვეტს; შემდეგ ავსებს მეორე სვეტს, სადაც იწერება თუ ვის შიძლება მიმართონ სავარაუდო პერსონაჟებმა; მესამე სვეტში იწერება სავარაუდო ძირითადი იდეები და მასწავლებელი ავსებს მეოთხე სვეტს, რომელშიც მითითებული იქნება მიმართვის ფორმა. განხილვის შემდეგ გამოვლინდება (ყველაზე ხშირად დასახელებული) როლი, რომელზეც მოსწავლეები იწყებენ მუშაობას. დასრულებისას მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნაშრომებს. ეს მეთოდი ხელს უწყობს ერთი და იგივე როლზე განსხვავებული თვალთახედვის გამოსავლენას.

### **„პროექტი“**

პროექტზე მუშაობა მოითხოვს შემოქმედებითობას, ხელს უწყობს დაგროვილი ცოდნის გააქტიურებას; ემყარება მიღებული ცოდნის დაკავშირებასა და ავითარებს კომპლექსურად აზროვნების უნარს. პროექტის თემის შესარჩევად უნდა შეირჩეს პრობლემური საკითხი. პროექტზე მუშაობა უვითარებს მოსწავლეებს:

- პრობლემის ანალიზის უნარ-ჩვევებს;
- მიზნების შესაბამისი ამოცანების დასახვის უნარ-ჩვევებს;
- ამოცანების გადასაჭრელად შესაბამისი ქმედებების დაგეგმვისა და შესაბამისი რესურსების მოძიების უნარ-ჩვევებს;
- ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევებს
- ურთიერთთანამშრომლობის უნარ-ჩვევებს;
- დროის გადანაწილებისა და შეფასების უნარ-ჩვევებს;

### **პროექტის შედგენის სქემა**

- 1. პრობლემის ანალიზი** – გულისხმობს სიტუაციის ანალიზს;
- 2. პრობლემის განსაზღვა** – გულისხმობს იმ პრობლემის განსაზღვრას, რომლის საპასუხოდაც იგეგმება პროექტი;
- 3. მიზანი** – მოკლედ ჩამოყალიბებული აზრი, პრობლემა, თუ რის მიღწევას ემსახურება პროექტი (პრობლემის გადაჭრა);
- 4. ამოცანები** – კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც გადაიდგმება მიზნის მისაღწევად;
- 5. განხორციელების გზები** – პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს: როგორ, ვინ;
- 6. ჩამონათვალი** – დროში განწერილი სამუშაო გეგმა;
- 7. რესურსები (ბიუჯეტი)** – იმ რესურსების ჩამონათვალი, რომელთა დახმარებითაც უნდა განხორციელდეს პროექტი;
- 8. შედეგები** – ყოველი ამოცანის გადაჭრის შემდეგ მიიღება კონკრეტული შედეგი, რომელიც დაიყოფა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით;
- 9. შეფასება** – კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომელიც მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად იქნება შემუშავებული.

## **მუშაობა წყვილში**

მუშაობის ამ ფორმას სხვაგვარადაც მოიხსენიებენ: ვფიქრობთ – ვწყვილდებით – ვუზიარებთ. ჩატარების ეტაპებია:

1 ეტაპი (ვფიქრობთ) – ინდივიდუალურად ანხორციელებს თითოეული მოსწავლე. მაგ. შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოსთვის, სადაც ერთობლივად შესაქმნელია ცივი და თბილი ფერებისაგან (ცივი და თბილი ერთად) აპლიკაცია, რომელშიც გამოყენებული იქნება ხატვისა და აპლიკაციის ტექნიკა, მოსწავლეებმა უნდა ჩაინიშნონ თავისი იდეები;

2 ეტაპი – ამ ეტაპზე დაწყებული მოსწავლეები ერთმანეთს აცნობენ თავის იდეებს, თანხმდებიან საერთო ვარიანტზე. ყველაფერი სრულდება დროის ლიმიტისა და დისციპლინის დაცვის თვალსაზრისით, რომელსაც მასწავლებელი უწევს კოორდინაციას. მოსწავლეები ანაწილებენ ფუნქციებს. მაგ. ერთი მოსწავლე ცივი ფერების გამოყენებით ქმნის ჩარჩოს ან რომელიმე გამოსახულებას, მეორე – თბილი ფერებისგან.

3. ეტაპი – მოსწავლეები გამზადებულ ნაწილებს ერთ საერთო ფორმატზე ანაწილებენ კომპოზიციური განაწილების პრინციპების დაცვით. წყვილები წარმოადგენენ საერთო ნამუშევარს და საუბრობენ მის შესახებ.

## **ჯგუფური მუშაობა**

ჯგუფური მუშაობა უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზნებს. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობისა და სოციალიზაციის უნარის განვითარებას. ის სწავლობს სხვისი აზრის გათვალისწინებასა და იმის გაცნობიერებას, რომ ყველას აქვს სუსტი და ძლიერი მხარეები. ჯგუფური მუშაობისას აუცილებელია მასწავლებელმა ზუსტი ინსტრუქციები მისცეს მოსწავლეებს.

მაგ. მოსწავლეები ქმნიან ქალაქის კონსტრუქციას, იყენებენ სხვადასვა მასალას (სხვადასხვა ზომის მუყაოს, პლასტმასისა და რკინის კოლოფებს, თავად ქმნიან მუყაოსაგან კონსტრუქციებს) თანხმდებიან, როგორი სახე ექნება საბოლოო ნამუშევარს, ინაწილებენ ფუნქციებს ან მასწავლებელი ათამაშებს ფერად ბარათებს, რომელზეც დასახელებულია რომელიმე ობიექტი. მაგ. კინოთეატრიან ხეების გამოსახულება (ნამუშევრის საერთო სახეზე, ესკიზზე შეთანხმების შემდეგ) შესაძლებელია ერთ (მაგ. ხეებზე) ობიექტზე რამდენიმე მოსწავლემ იმუშაოს. შემდეგ მოსწავლეები კომპოზიციურად ანაწილებენ სიბრტყეზე მათ მიერ შექმნილ კონსტრუქციებს (მათი პირვანდელი იდეის ან ესკიზის შესაბამისად). მოსწავლეებმა, შესაძლებელია, ესკიზებზე მანამდე იმუშაონ. საუკეთესო ესკიზის შესარჩევად, სასურველია, ჩატარდეს კონკურსი.

## **„სივრცე“**

სტრუქტურულ-თემატური დისკუსიის ფორმაა, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთმანეთთან ახლოს, ნახევარწრეზე უნდა განლაგდნენ. ნაკლებად ფორმალური ატმოსფერო ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და მათ ჩართვას დისკუსიაში. მასწავლებელი უნდა შეეცადოს ყველა მოსწავლის დისკუსიაში ჩართვას.

## **„სწრაფი დისკუსია“**

ეს მეთოდი ტარდება წყვილში და ამ მეთოდის გამოყენების მიზანია, ყველა მოსწავლე ჩაერთოს სადისკუსიო პროცესში. ეს მეთოდი ეფექტურია, მაშინ, როდესაც კითხვას ან პრობლემას აქვს მარტივი პასუხი და მასწავლებელს სურს, მიიღოს მოსწავლეებისაგან სწრაფი პასუხი. პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შებრუნდნენ გვერდზე მჯდომი მოსწავლისკენ და გამართონ დისკუსია პასუხის მოსაძებნად. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ ამისათვის მცირე დრო (1 წთ). მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წყვილებში ერთი მოსწავლე დომინანტურია მეორეზე და მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ყველა მოსწავლის (შედარებით პასიური მოსწავლეების) ჩართვას პროცესში. შესაძლოა მოსწავლეებისათვის თავდაპირველად ასეთი დავალების მიცემამ კლასში ხმაური გამოიწვიოს, მაგრამ დროთა განმავლობაში მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად მოახერხებენ ამ პროცესის მართვას.

## **„ჭადრაკის დაფა“**

ამ მეთოდით გაკვეთილის ჩატარების დროს მასწავლებელი სთხოვს წყვილებს, 30 წამის განმავ-



ლობაში დამოუკიდებლად იფიქრონ შეკითხვაზე ან პრობლემაზე და ამის შემდეგ დაიწყონ დისკუსია ერთმანეთში. მასწავლებელი, დისკუსიის მიმდინარეობიდან გამომდინარე, ეხმარება დროის დარეგულირებაში. შემდეგ ეტაპზე წყვილები იცვლებიან და ახალი წყვილები ერთმანეთს უზიარებენ სხვა წყვილებში გამოთქმულ მოსაზრებებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მთელ კლასთან მოსაზრებების გაზიარება. წყვილებს დაწესებული აქვთ დროის ლიმიტი. მნიშვნელოვანია ის, რომ მასწავლებელმა თვალყური ადევნოს ახალ წყვილებში დისკუსიას და თუ რამდენად იცავენ წყვილები დროის ლიმიტს. მასწავლებელი აკვირდება პროცესს და მან უნდა განსაზღვროს, არის თუ არა წყვილებს შორის დისკუსია კონსტრუქციული. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს სიტუაციას და სასურველია თუ მოკლე ჩანაწერებს გააკეთებს, რომლის საფუძველზე შეაჯამებს პროცესს.

### **„აკვარიუმი“**

მოსწავლეებმა საკუთარი მოსაზრებები უნდა დააფიქსირონ თანმიმდევრულად, წრიული მიმდევრობით. დისკუსიის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად თანხმდება დროის რეგლამენტზე. მაგ. 2 წუთიანი რეგლამენტი თითო გამომსვლელს და მასწავლებელი წინასწარ აძლევს ინსტრუქციას:

- მოძებნეთ ასოციაცია მოცემულ თემაზე;
- კითხვაზე გაცევით მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხი და დაასაბუთეთ;
- დაასრულეთ მასწავლებლის მიერ დაწყებული წინადადება.

### **„სიმპოზიუმი“**

დისკუსიის ასეთი ფორმის ჩატარებისათვის მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ ინფორმაციები და წარსდგენენ აუდიტორიის წინაშე. გამომსვლელები პასუხობენ თანაკლასელთა შეკითხვებს. მოსწავლეებმა, შესაძლებელია, შეარჩიონ ერთი მოსაზრება (დასკვნა), რომელიც მომავალში მთელ კლასში ახალი დისკუსიის საგანი გახდება.

### **„დებატები“**

დებატების ჩატარება აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ და მომზადებულ გამოსვლებზე. წარმომადგენლებს ირჩევენ ჯგუფებში. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. შემდეგ ეტაპზე თითოეული მხარის დანარჩენი მონაწილეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, აკეთებენ კომენტარებს. მასწავლებელი ადევნებს თვალყურს, რომ გამომსვლელებმა დაიცვან დროის რეგლამენტი.

### **„სასამართლო სხდომა“**

ასეთი ფორმა წარმოადგენს საქმის განხილვის იმიტირებას. სიტუაციის სიმულაცია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს სადისკუსიო საკითხების უკეთ გააზრებასა და ქმედებების უკეთ გაგებაში. მასწავლებელი უნდა ეცადოს, ძირითადი აქცენტი გადატანილი იყოს დისკუსიაზე და იდეების შეფასება მოხდეს მოსწავლეებთან შეთანხმების გზით.

### **„ჯიქსოუ“**

ამ მეთოდის ჩასატარებლად მასწავლებელი ყოფს დავალებას ნაწილებად. კლასს ყოფს 3-5 წევრიან ჯგუფებად და თითოეულ წევრს მხოლოდ დავალების ერთ ნაწილს აძლევს. შემდეგ იქმნება ახალი ჯგუფები იმ წევრებისგან, რომლებსაც ერთი და იმავე დავალების ნაწილი აქვთ მიცემული და ჯგუფში იმართება დისკუსია. საკითხის განხილვის შემდეგ თითოეული მოსწავლე უბრუნდება თავის ძველ ჯგუფს. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლის მიერ მოტანილი იდეები და ინფორმაცია თანაბრად მნიშვნელოვანია დავალების შესასრულებლად, რაც ჯგუფის წევრებს ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის.

### **„ალამი“**

მასწავლებელი დისკუსიის დაწყებამდე ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ფერის სამ პატარა ალამს; მოსწავლეები ფერად ალმებს პატარა ღრუბლის ნაჭერში არჭობენ და თავიანთ მერხზე ათავსებენ; ალმები კარგად უნდა ჩანდეს; მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის წესებს. თითოეულ მოსწავლეს უფლება აქვს, დისკუსიის მსვლელობის დროს მხოლოდ სამჯერ გამოთქვას აზრი. ყოველი პასუხის შემდეგ მოსწავლემ უნდა ამოიღოს ალამი და გადადოს გვერდზე. როდესაც მას არც ერთი ალამი აღარ დარჩება, იგი მხოლოდ მსმენელის როლს შეასრულებს.

## **„განხილვა“**

მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას. წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას, მიცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასში დაბრუნებულები ჯგუფში ან წყვილში განიხილავენ თითოეულს და დისკუსიის საფუძველზე აფასებენ ნამუშევარს წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც მასწავლებლის და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობის შედეგად წინასწარ შეიქმნება.

## **„სივრცული“**

ამ მეთოდის გამოყენების დროს მწვრთნელი ყოფს კლასს ორ ნაწილად, ერთი ნაწილი უნდა იყოს დამცველი რომელიმე ეპოქის/მიმდინარეობის/მხატვრის/ნამუშევრის. მეორე ნაწილმა კი საპირისპირო მოსაზრება უნდა დაამტკიცოს. მაგ., მოსწავლეთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ მუნკის ყვირილი შედეგია და მოყავს არგუმენტები. მეორე ნაწილი კი ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ორივე მხარე ასაბუთებს თავის მოსაზრებებს და იცავს საკუთარ პოზიციას.

## **„მოგზაურები“**

აუდიტორია იყოფა სამ ჯგუფად, ერთი ჯგუფი წარმოადგენს მაგ. რენესანსის ეპოქის იტალიას, მეორე ჯგუფი მე-19 ს-ის საფრანგეთს, მესამე ჯგუფი კი მოგზაურებს წარმოადგენენ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა: სოციალურ-ეკონომიკური, ხელოვნების კუთხით. მოგზაურები წინასწარ ადგენენ კითხვარს/კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც შეაგროვებენ ინფორმაციას ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ. პრეზენტაციას აკეთებენ მოგზაურები.

## **„გააგრძელე“**

მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს რაიმე ისტორიას (ამბავს) არ ასრულებს და სთხოვს მოსწავლეებს, თავად მოიფიქრონ დასასრული და დაასურათონ.

## **„გააგრძელე 2“**

მასწავლებელი ურიგებს წყვილებს რეპროდუქციას, წყვილებმა უნდა მოიფიქრონ რაიმე ამბავი რეპროდუქციაზე ასახული სიუჟეტის მიხედვით და შექმნან მათ მიერ მოფიქრებული ამბის ილუსტრაცია/ილუსტრაციები.

## **„ასოციაცია“**

მასწავლებელი ასახელებს სიტყვებს. მოსწავლეებმა უნდა დახატონ ის ასოციაციები, რაც კონკრეტული სიტყვების მოსმენისას გაუჩნდებათ. მაგ. ღრუბელი, ქოლგა. ცისფერი.

## **„აქტიური ლექცია“**

აქტიური ლექცია ხელს უწყობს მოსმენისა და ინფორმაციის აღქმის და დახარისხების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ცოდნის გამოყენების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევების განვითარებას.

1. პირველ ეტაპზე მასწავლებელი გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე ასახელებს ლექციის თემას და აღნიშნავს, რომ ლექცია შედგება ორი ნაწილისაგან და სვამს კითხვას ლექციისპირველი ნაწილიდან. მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს (პასუხებს კითხვაზე) აფიქსირებს დაფაზე/ფორმატზე და სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ მას და მზად იყვნენ მოსაზრებების გამოსათქმელად.

2. პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მათ მიერ მოსმენილი ინფორმაცია შეადარონ მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელიც დაფაზე/ფორმატზე დაფიქსირდა ინფორმაციის მოსმენამდე.

3. მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას ლექციის მეორე ნაწილიდან და მოსწავლეთა პასუხებს კვლავ აფიქსირებს დაფაზე/ფორმატზე და აგრძელებს აქტიური ლექციის მეორე ნაწილზე.

4. მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ მასწავლებელი კვლავ სთხოვს მოსწავლეებს, ლექციის მეორე ნაწილში მათ მიერ მოსმენილი ინფორმაციები შეადარონ ლექციამდე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც დაფაზე/ფორმატზეა დაფიქსირებული.

5. შედარების შემდეგ მასწავლებელი აძლევს საკვანძო საკითხს, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ესე. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ ესეს. ეს აქტივობა გამოიყენება მთელ კლასთან სამუშაოდ.

## **აქტიური ლექცია2**

მასწავლებელი წინასწარ ყოფს სალექციო ინფორმაციას რამდენიმე ნაწილად. პირველ ეტაპზე თავად კითხულობს/უყვება; მეორე ეტაპზე მოსწავლე კითხულობს შემდეგ ნაწილს და უსვამს შეკითხვებს თანაკლასელებს, შეაჯამებს აღნიშნულ ტექსტს და შემდეგ ნაწილს სხვა მოსწავლე კითხულობს და უსვამს კითხვებს თანაკლასელებს.

### **„გონებრივი იერიში“**

გონებრივი იერიში ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ბევრი იდეის მოფიქრებას და წარმოდგენას დროის მცირე მონაკვეთში. ეს მეთოდი ხელს უწყობს საკომუნიკაციო, შემოქმედებითი აზროვნების, ინფორმაციის დახარისხების, მსჯელობის, ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევების განვითარებას.

მასწავლებელი, სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, წინასწარ არჩევს თემას და შეკითხვის ფორმით აყალიბებს მას. შეკითხვა უნდა იყოს გასაგები და მკაფიო ფორმით ჩამოყალიბებული.

გონებრივი იერიში ორი ეტაპისაგან შედგება.

1. იდეების გენერაციის ეტაპი. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელი სვამს შეკითხვას და მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებებს. მოსაზრებების გამოთქმის დროს არ დაიშვება კამათი, მოსაზრებების კრიტიკა ან შეფასება. ყველა მოსაზრება მისაღებია. იდეების მოფიქრების და წარმოდგენის სტადიაზე მნიშვნელოვანია იდეების რაოდენობა და არა მათი ხარისხი. ხარისხზე მსჯელობა – შეფასების ეტაპი ხდება იდეების მოფიქრებისა და წარმოდგენის დასრულების შემდეგ.

ყველა იდეა, მიუღებელიც კი იწერება ფორმატზე/დაფაზე.

შესაძლებელია, იდეების შეფასება იმავე გაკვეთილზე ან მომდევნო დღეს მოხდეს, ამ შემთხვევაში მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები უნდა ეწეროს დაფაზე/ფორმატზე.

2. იდეების შეფასების ეტაპი. ამ ეტაპის დაწყებისას უნდა მოხდეს გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილა და მსგავსი იდეების გაერთიანება და განზოგადება. ამის შემდეგ იმართება ხდება მათი რანგირება. თითოეულ მოსწავლეს ეძლევა ეძლევა საშუალება რამდენიმე მათი აზრით მნიშვნელოვანი იდეის შერჩევა და მათი მნიშვნელობის მიხედვით განლაგება-შეფასება.

(ყველაზე მნიშვნელოვანი იდეა ყველაზე მაღალი ქულით ფასდება) ქულების შეჯამების შედეგად გამოიკვეთება რამდენიმე ყველაზე ღირებული იდეა. შესაძლებელია, შეფასების ეტაპიდან აქცენტი გადატანილი იყოს დისკუსიაზე.

### **„როლური თამაში“**

როლური თამაში ეფექტური ტექნიკაა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დახვეწონ კონსტრუქციული დიალოგის უნარები, ეხმარება მოსწავლეებს საკითხის გააზრებაში, საპრეზენტაციო, სადისკუსიო და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაში, საკითხის ღრმა წვდომაში, ინფორმაციის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებაში, ინფორმაციის შეფასებასა და ორგანიზებაში.

• როლური თამაშის, როგორც მეთოდის მაქსიმალური შედეგის მისაღებად საჭიროა სცენარის მომზადება, რომელიც ისე უნდა აიგოს, რომ იკვეთებოდეს გადასაჭრელი პრობლემა.

• როლების განაწილება, შესაძლებელია, მოხდეს ფერადი ბარათების დარიგებით, რომელზეც მითითებულია მათ მიერ შესრულებული როლები.

• ინსტრუქციის მიცემა მოთამაშეებისა და დამკვირვებლებსათვის. დამკვირვებლის მომზადება (თუ რას უნდა დააკვირდნენ, შესაძლებელია, დამკვირვებლები არ ყავდეთ გათვალისწინებული და როლები მთელ კლასზე გადანაწილდეს)

• თამაშის მსვლელობა

• როლიდან გამოსვლა – ეს ეტაპი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსწავლეებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ იმსჯელონ, თუ რა გამოცდილება მიიღეს როლში ყოფნის დროს.

• დამკვირვებლების კომენტარი

• მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აკავშირებს თამაშის მიზნებთან.

## „სიმულაციები“

ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გაითვალისწინოს: მან უნდა წაახალისოს მოსწავლეები იმპროვიზაციისთვის, შესაძლებელია, მოსთხოვოს მათ სცენარის ტიპის მარტივი მონახაზის წერილობით დაფიქსირება; შესაძლებელია მარტივი დეკორაციის, თვითნაკეთი რესურსების, კოსტიუმების ელემენტების გამოყენებაც. უაღრესად საინტერესო იქნება, თუკი მოსწავლეები შემოქმედებითად გამოიყენებენ ტექნოლოგიურ საშუალებებსაც: კომპიუტერს, ვიდეო/აუდიო საშუალებებს, დაამზადებენ პოსტერებს და ა. შ.

## „ასოციაციური კავშირების რუკა“

ეს არის საშუალება რომელიც მოსწავლეებს ყურადღების კონცენტრაციის, ინფორმაციის შეკრება-დაჯგუფების, თემის გააზრების, ასოციაციების შექმნისა და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევებს უვითარებს. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალურად, წყვილში და ჯგუფური მუშაობისას.

მეთოდი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

- ფორმატის/დაფის ცენტრში სასწავლო მიზნიდან გამომდინარე იწერება სიტყვა, ფრაზა ან გამოსახულება;
- მოსწავლეები დაწერილ სიტყვას/ფრაზას/გამოსახულებას ლოგიკურად აკავშირებენ აღნიშნულ თემასთან აღძრულ ასოციაციებს (აზრებს)
- შემდეგ მოსწავლეები აღნიშნავენ კავშირს იმ სიტყვებთან და აზრებთან, რომლებიც მათი აზრით ერთმანეთთანაა დაკავშირებული.
- ასოციაციური კავშირების რუქის შედგენა გრძელდება იქამდე, სანამ ამ საკითხის გარშემო აზრები ან განკუთვნილი დრო არ ამოიწურება.

## 3. IV კლასის სტანდარტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

**მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა**

**ს. გ. IV. 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქვია-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, კონტურს და შტრიხს;
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);
- იყენებს კონტრასტულ ფერებს;
- ქმნის კონტრასტულ ნამუშევრებს საპირისპირო წყვილების გამოყენებით (ღიდი-პატარა, ბნელი-ნათელი და სხვ.)
- აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;
- შეარჩევს და განალაგებს სხვადასხვა ზომის გამოსახულებებს წინა და უკანა ხედის გადმოსაცემად;
- ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;
- სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;
- სხვადასხვა მხატვრული ხერხით ნამუშევარში გადმოსცემს დინამიკას (ქარი, ფეხბურთი, ფოთოლცვენა და სხვ.).



**ს. გ. IV. 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);
  - ძერწავს და ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს, კონსტრუქციებს სხვადასხვა (ბუნებრივი, ხელოვნური) მასალის გამოყენებით;
  - ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);
  - მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;
  - ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით;
  - კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის ნამუშევრებს (იყენებს სხვადასხვა ტიპისა და სისქის ხაზს, კონტურს, ფერს; გამოსახავს ორგანოზომილებიან ფორმებს, ორნამენტს);
  - კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს.
- მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია**

**ს. გ. IV. 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთობლივი მუშაობისას (ღონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;
- ელექტრონულად უგზავნის საკუთარ ციფრულ ნამუშევარს როგორც თანაკლასელებს, ისე მასწავლებელს;
- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;
- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;
- ირჩევს სამუშაო იარაღებს, მასალას, აწესრიგებს მათ განსაზღვრული დროის მონაკვეთში.

**ს. გ. IV. 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს.

**მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში**

**ს. გ. IV. 5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

- ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);
- ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);
- აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);
- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;
- ადარებს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშს ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებს და საუბრობს თავის შთაბეჭდილებებზე.

### **შინაარსი და რეკომენდაციები**

#### **სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:**

**ხაზი:** სხვადასხვა ტიპის და სისქის ხაზი, კონტური და შტრიხი.

აქტივობები ხაზით:

მოსწავლე იყენებს შტრიხს და სხვადასხვა ტიპის ხაზს გამოსახულებების შესაქმნელად; სხვადასხვა ტიპის ხაზების გამოყენებით ცდილობს გადმოსცეს მოძრაობა (მაგ., ხეების მოძრაობა ქარში და სხვ.).

**ფერი:** ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები, ტონალობა – თეთრის ან შავი ფერის დამატებით მიღებული ტონი.

აქტივობები ფერით:

მოსწავლე ჩანაფიქრის, გუნება-განწყობილების (ემოციების) და დაკვირვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებების გადმოსაცემად იყენებს ძირითად, შედგენილ, ცივ და თბილ ფერებს, კონტრასტულ ფერებს, მათი გამოყენებით აქცენტირებას აკეთებს განსაკუთრებით ემოციურ ან საყურადღებო სიუჟეტებზე.

იყენებს ტონალობას (თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის სინათლის ხარისხს: ნათელი-ბნელი-ვარდისფერი, ცისფერი, იასამნისფერი და სხვა).

აკვირდება გარემოში ობიექტებს, მათ შეფერილობას და ასახავს ნამუშევარში; გამოხატავს შესაბამისი ფერით დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთს, წელიწადის დროს, რაიმე მოვლენას და სხვ.

კონტრასტული ფერებით ხატავს ეგზოტიკურ ფრინველებს, ცხოველებს, მცენარეებს, დღესასწაულებს, არდადეგების ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტებს და სხვ.

ცივი და თბილი ფერების გამოყენებით ქმნის გარკვეულ განწყობილებას.

ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს.

**ფორმა:** 2D და 3D – ბრტყელი და მოცულობითი, სიმეტრიული და ასიმეტრიული.

აქტივობები ფორმით:

მოსწავლე იყენებს სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ფორმებს ნამუშევრის შესაქმნელად. თავად ქმნის ორ და სამგანზომილებიან – ბრტყელ და მოცულობით ფორმებს და აწყობს კონსტრუქციებს; თიხით, პლასტილინით, ცვილით, ცომის გამოყენებით ძერწავს მცირე პლასტიკის ნიმუშებს და ქმნის კომპოზიციას, კონსტრუქციას, სხვადასხვა საგანს.

**პრინციპები:** რიტმი, წინა და უკანა ხედი, ძირითადის გამოყოფა, სტატიკა, დინამიკა, კონტრასტი. გამოყენებული პრინციპები:

მოსწავლე გადმოსცემს წინა და უკანა ხედს გამოსახულების ზომის, მკვეთრი და მკრთალი ფერების საშუალებით (წინა ხედი – მკვეთრი, უკანა ხედი – მკრთალი); ცდილობს გადმოსცეს/დახატოს/გამოძერწოს სტატიკური და დინამიკური გამოსახულებები (მაგ., ფოთოლცვენა, ქარი, ბავშვები თამაშობენ ბურთს და სხვ.); ქმნის რიტმულ გამოსახულებებს, სხვადასხვა ზომით, ფერით გამოყოფს მთავარს ნამუშევარში; აკვირდება გარემოში საპირისპირო წყვილებს: კონტრასტულ ფერებს (ბუნებაში, სამოსზე და სხვ.), ბნელ და ნათელ, დიდ და პატარა (აღამიანები, საგნები და სხვ.) გამოსახულებებს და ასახავს ნამუშევარში.

**მასალა და იარაღი:** ფანქარი (ფერადი, უბრალო), პასტელი, ფლომასტერი, გუაში, აკვარელი, ნახშირი, სანგინა, ფერადი ქალაღი, მუყაო, ქსოვილი, პლასტილინი, თიხა, ტრადიციულ და არატრადიციული

მასალა (პლასტიკის და მინის ბოთლები, ლითონის ნივთები, მუყაოს და პოლიეთილენის პარკები და სხვ.), ფუნჯი, მაკრატელი, ნებო.

**ტექნიკა და პროცედურა:** ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბექტი, მონოტიპია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.

**გამოყენებული მასალა და ტექნიკა:**

მოსწავლე მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკით, სხვადასხვა ხერხის, ტრადიციული და არატრადიციული იარაღის გამოყენებით ატარებს ექსპერიმენტებს. იყენებს ფანქრებს, საღებავებს, მარკერებს, ცარცს, ცვილს, ცომს, ჟურნალ-გაზეთებს, საკანრავ საშუალებას, მძივებს, ქვებს, ნიჟარებს, თოკს, მავთულს, სხვადასხვა ზომის ლითონისა და მუყაოს ყუთებს და სხვა მრავალფეროვან ხელოვნურ თუ ბუნებრივ მასალას გრაფიკული, ფერწერული, აპლიკაციის, კოლაჟის, ანაბექტების, მონოტიპიის, მცირე პლასტიკის ნიმუშების, მარტივი ნაკეთობების, კონსტრუქციების და სხვ. შესაქმნელად.

გადმოსცემს გარემოში/ბუნებაში არსებული სხვადასხვა ობიექტის ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას (დაჭმუჭნული ქალაღლით, დაკანვრით, ჯაგრისით, სხვადასხვა ტიპის ხაზის, ლაქის გამოყენებით და სხვ.).

**სავარაუდო თემები:** „ზაფხულის ერთი დღე“, „ზამთრის არდადეგები“, „დილა“, „ჩემი ოჯახი“, „ოჯახური ტრადიცია“, „დაბადების დღე“, „პეპელა“, „ჩემი საყვარელი ცხოველი“, „ჩემი სკოლა“, „ზღაპრების ქვეყანაში“, „ჯადოსნური ტყე“, „ნინათ და ახლა“, ცხოვრებაში ნანახი ყოფითი სცენები ან გაგონილი ამბები (მაგ., რთველი, ოჯახური დღესასწაულები და სხვა), „ჩემი გარემო“ (ქალაქი, სოფელი, სატრანსპორტო საშუალებები (მატარებელი, მანქანა, თვითმფრინავი), ხიდები, შენობები, მოედნები და სხვ.), „მოგზაურობა დროში“, სერია: „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“, „მოგზაურობა გემით/ თვითმფრინავით/მატარებლით...“, „სადგური“, „აეროპორტი“, „ნავსადგური“, „ბიბლიოთეკა“, „მომავლის ტრანსპორტი“, „თეატრში“, „ქუჩაში“, „სპორტული შეჯიბრი“, „უცნაური საფრენი აპარატი“ და სხვ. (შეიძლება იყოს საწარმოს, არქიტექტურული ძეგლის, ადგილობრივი და უცხოური ტრადიციის ამსახველი თემებიც) ასევე თემები საკუთარი ფანტაზიის მიხედვით.

**საგნის სწავლების მიზანი, ამოცანები.**

საგნის სწავლების მიზანია, აღიზარდოს ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი, რომელსაც ექნება ხელოვნების შესახებ ზოგადი თეორიული ცოდნა, გაღვივებული ექნება ხელოვნების ნიმუშთან „ურთიერთობის“ სურვილი, ზოგადად ხელოვნებისადმი ემოციური დამოკიდებულება, კონკრეტული ნიმუშის აღქმისა და საკუთარი აზრის გამოუმუშავების, მკაფიოდ გამოთქმის უნარ-ჩვევა და სხვადასხვა ტიპის ნამუშევრის სხვადასხვა ხერხითა და ტექნიკით შექმნის უნარი; ასევე, საპრეზენტაციო უნარები.

ამ საგნის ამოცანაა, დაანახოს მოსწავლეს, რომ ხელოვნება არის სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი საშუალება და, ამავე დროს, საკუთარი თავის რეალიზაციის, თვითგამოხატვის შესანიშნავი ასპარეზი.

## 4. სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა

|                                     |   |
|-------------------------------------|---|
| <p><b>1. ხელოვნების სამყარო</b></p> | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ საზოგადოდ ხელოვნების სხვადასხვა დარგის თავისებურებანი, გამოვუმუშავოთ ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიებზე დაკვირვებისა და მათი ინტერპრეტირების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.3., ს.გ.IV.5.</p> |
| <p><b>2. ფერების „დაბადება“</b></p> | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ძირითადი ფერების შერევით ახალი ფერის მიღებისა და გამოყენების უნარი, განვუვითაროთ თავისი ნამუშევრის წარდგენის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>                     |

|                            |   |
|----------------------------|---|
| 3. სინათლე ფერში           | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ფერის გაღიავენით ან გამუქებით მისი ტონალობის ანუ სინათლის ხარისხის შეცვლის უნარი, გავახსენოთ ფერების ბორბალზე ფერთა თანმიმდევრობა და ამ განლაგების ძირითადი პრინციპი. გამოვუმუშავოთ ფერის ტონალობის დამოუკიდებლად ცვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>                                |
| 4. დღე და ღამე             | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებში დღე-ღამის მონაკვეთის ამოცნობის უნარი, ნამუშევრის შესრულებისას დღე-ღამის შესაბამისი ფერების არჩევის, ამ ფერების მიღების (შეზავების) და ნამუშევრებში მათი მიზანდასახულად გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>   |
| 5. კონტრასტული ფერები      | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნობიერებინოთ კონტრასტული ფერების რაობა, გამოვუმუშავოთ მხატვრულ ნაწარმოებში მათი ამოცნობის უნარი, განვუვითაროთ კონტრასტული ფერების გამოყენების ჩვევა დამოუკიდებლად ნამუშევრის შექმნის დროს.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>   |
| 6. ყველაფერი ფერის შესახებ | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების, მისი ანალიზის უნარი, განვუმტკიცოთ დასაბუთებული მსჯელობის უნარი, გავულრმავოთ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი -ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების გამოყენების გზით ნამუშევრის შექმნის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p> |
| 7. სურათი და დეტალი        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების უნარი და მასზე საკუთარი აზრის გამოთქმის უნარ-ჩვევა; განვუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოების ინტერპრეტირების უნარი. პრაქტიკულ ნამუშევარში ეპოქის შესაბამისი მნიშვნელოვანი დეტალების გამოსახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>                |
| 8. შემოდგომის ნობათი       | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნური რესურსის შემოქმედებითად გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>  |
| 9. ბუნება და ძეგლი         | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაციის და აღწერის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი კონკრეტულ რეგიონში მდებარე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების მიმართ; განვუვითაროთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის შესაბამისი გარემოს წარმოსახვით შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>            |
| 10. დიდი ხელოვანები        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ დიდი ხელოვანების ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტები, მათი ნაწარმოებები. გამოვუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვებისა და მისი ანალიზის უნარი, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>  |
| 11. დეკორატიული საგნები    | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ათიხით ან პლასტილინით პლასტიკური ფორმების შექმნისა და შემკობის, დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა; განვუმტკიცოთ საძერწი მასალის შემოქმედებითად გამოყენების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>   |



|                            |  |
|----------------------------|--|
| 12. აირჩიე მასალა          | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვეუფითაროთ ბუნებრივი და ხელოვნური მასალის გამოყენებით დეკორატიული ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა. გავუღვივოთ ფანტაზია და განვუმტკიცოთ სხვადასხვა ტიპის მასალის, ტექნიკის და პროცედურის შემოქმედებითად გამოყენების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p> |
| 13. ვხედავ, ვუსმენ, ვეხები | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვეუფითაროთ გარემოზე და საკუთარ თავზე დაკვირვების უნარი; გავაცნოთ ადამიანის შეგრძნების ორგანოები და გამოვუმუშავოთ მათი მეშვეობით ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>   |
| 14. სიმეტრია და ასიმეტრია  | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავუაქტიუროთ სიმეტრიისა და ასიმეტრიის ცნებათა ცოდნა, გავაცნოთ სიმეტრიის ღერძის ცნება და გამოვუმუშავოთ სიმეტრიული ფორმის შექმნის პრაქტიკული უნარჩვევა. განვეუფითაროთ ბუნების ობიექტებზე დაკვირვების უნარი</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2.</p>                              |
| 15. სიმეტრიის ღერძი        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუმტკიცოთ სიმეტრიის ღერძის ცნება და გამოვუმუშავოთ ღერძის გამოყენებით სიმეტრიული კომპოზიციების შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2.</p>   |
| 16. ქართველი მხატვრები     | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე ასახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი ნიშნების, განსხვავებული რელიეფის ამოცნობის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი ხელოვნების ადგილობრივი მოღვაწეების მიმართ.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1, ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>                 |
| 17. დაკიდული ბალები        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნური და ბუნებრივი რესურსის ან ნებისმიერი სახატავი მასალის გამოყენებით წარმოსახვითი სივრცობრივი კომპოზიციის შექმნის უნარი</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>  |
| 18. ხელოვნება და პროფესია  | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავუღრმავოთ ცოდნა ხელოვნების დარგებსა და მათთან დაკავშირებულ პროფესიებზე, განვეუფითაროთ საკუთარი მოსაზრებების ნათლად ჩამოყალიბების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.5.</p>  |
| 19. ვძერწავთ პლასტილინით   | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ მოქანდაკის პროფესიის ზოგი თავისებურება, გამოვუმუშავოთ რბილი მასალით — პლასტილინით – მუშაობის, პლასტიკური ფორმების ძერწვის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>  |
| 20. დიდი ხელოვანები        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ დიდი ხელოვანების ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტები, მათი ნაწარმოებები. გამოვუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვებისა და მისი ანალიზის უნარი, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>                   |
| 21. ორნამენტული კომპოზიცია | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვეუფითაროთ ორნამენტის შექმნის უნარი; განვეუფითაროთ ორნამენტის გამოყენებით დეკორატიული კომპოზიციის შექმნის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>  |

|                            |   |
|----------------------------|---|
| 22. ზღაპრის გმირები        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ სხვადასხვა ბუნებრივი თუ ხელოვნური მასალით ზღაპრის პერსონაჟების შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>   |
| 23. ჩვენი სამშობლო         | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – კახეთის არქიტექტურა, გამოვუმუშავოთ არქიტექტურის ძეგლებზე დაკვირვების უნარი, გავულრმაოთ დასაბუთებული მსჯელობის, საკუთარი მოსაზრებების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, განვუვითაროთ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის გამოსახვის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p> |
| 24. საგვარეულო ხე          | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ დაკვირვების, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების უნარი, განვუმტკიცოთ სახვითი ხელოვნების ხერხების მეშვეობით ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>   |
| 25. ამოიცანი პროფესია      | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებში სხვადასხვა პროფესიის ადამიანის ამოცნობის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.5.</p>  |
| 26. დინამიკა ნამუშევარში   | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ნამუშევარში მოძრაობის (დინამიკის) ასახვის ხერხების ამოცნობის და პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.5.</p>   |
| 27. შორს თუ ახლოს          | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ნამუშევარში მარტივი პერსპექტივის ასახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევა წინა, შუა და უკანა ხედის (პლანების) გამოყენების მეშვეობით.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1.</p>   |
| 28. დიდი და პატარა საგნები | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ბუნებაში, გარემოში ობიექტებზე დაკვირვების, მათი ზომების თანაფარდობის დაფიქსირების უნარი; პრაქტიკულ სამუშაოში სივრცის ეფექტის ასახვა ობიექტების ზომის ცვლის მეშვეობით.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4.</p>   |
| 29. საახალწლო ბარათი       | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნური და ბუნებრივი მასალის შემოქმედებითად გამოყენების და ორიგინალური ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა. განვუვითაროთ თვითშეფასების და ნამუშევრის წარდგენის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.V.4.</p>  |
| 30. საშობაო პეიზაჟი        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნური და ბუნებრივი რესურსის შემოქმედებითად გამოყენების უნარი შეთავაზებულ თემაზე პრაქტიკული ნამუშევრის შექმნისას.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.V.4.</p>   |
| 31. გრაფიკა                | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ გრაფიკული ნამუშევრის აღქმის, ანალიზის უნარი, მასზე დაკვირვების შედეგად გადმოცემული განწყობილების ჩამოყალიბების უნარი. განვუმტკიცოთ გრაფიკული სახატავი მასალით მოცემულ თემაზე ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.V.4.</p>   |

|                                |  |
|--------------------------------|--|
| 32. ეგვიპტე                    | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ თეორიული ცოდნა ეგვიპტური კულტურის შესახებ, განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებებზე დაკვირვების უნარი, განუვითაროთ დეკორატიულ-გამოყენებითი ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.V.4.</p>  |
| 33. წვიმა, ელვა, ცისარტყელა... | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ ბუნების მოვლენებზე დაკვირვების და ნამუშევარში მათი ამოცნობის უნარი; გამოვუმუშავოთ ნამუშევარში ბუნების ამა თუ იმ მოვლენის გადმოსაცემად მხატვრული საშუალებებისა და მასალის სწორად შერჩევის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.V.4.</p>   |
| 34. ნატურმორტი                 | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნური რესურსის შემოქმედებითად გამოყენების უნარი, გაუვლივოთ ფანტაზია და გამოვუმუშავოთ სხვადასხვა სახის რესურსის გამოყენებით დეკორატიული ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.V.4.</p>   |
| 35. სურათის ჩარჩო              | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ბუნებრივი და ხელოვნური მასალით მარტივი ჩარჩოს შექმნის და დეკორატიულად გაფორმების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3.</p>   |
| 36. ჩვენი სამშობლო             | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტის, არქიტექტურის ძეგლების ამოცნობის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.5.</p>  |
| 37. გინვეთ გამოფენაზე          | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გაუვლივოთ ფანტაზია და გამოვუმუშავოთ საკლასო გამოფენისათვის მოსაწვევის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3.</p>  |
| 38. ვხატავთ თითებით            | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ ტრადიციული და არატრადიციული ხერხების გამოყენებით დეკორატიული ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა, გაუვლივოთ ფანტაზია და ნამუშევრისადმი შემოქმედებითად მიდგომის უნარი, თანამშრომლობის და შეფასების უნარები; სხვადასხვა მეთოდითა და ტექნიკით ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი და განუვითაროთ ამის მეშვეობით ნამუშევრის შექმნის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p> |
| 39. ქართველი მხატვრები         | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გაუვლივოთ ინტერესი ქართული ხელოვნების მიმართ. გავაცნოთ ქართველი მხატვრების (შ. ქიქოძე, ქ. მაღალაშვილი) შემოქმედების ნიმუშები, განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების და მისი ანალიზის უნარი. განუვითაროთ ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.5.</p>  |
| 40. საინტერესო ამბები          | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების უნარი; განუვითაროთ მნიშვნელოვანი დეტალების მეშვეობით ინფორმაციის მიღების უნარი. განუვითაროთ რეალურ ცხოვრებაში ნაწარმი საინტერესო სცენების, მნიშვნელოვანი და სახასიათო დეტალების პრაქტიკულ ნამუშევარში გამოსახვის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>  |

|  |  |
|--|--|
| <p><b>41. რაზე მოგვითხრობს სურათი</b></p>        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოების ინტერპრეტაციის, ინფორმაციის „ამოკითხვის“, განწყობილების ამოცნობის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.5.</p>   |
| <p><b>42. ვთამაშობთ ასოებით</b></p>              | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ სხვადასხვა სახატავი მასალისა და მხატვრული ტექნიკის გამოყენებით ორნამენტის, სიმეტრიული და ასიმეტრიული, რიტმული კომპოზიციების შექმნის უნარ-ჩვევა</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2.</p>  |
| <p><b>43. ფანქრების ყუთი</b></p>                 | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშაოთ ხელოვნური რესურსების ახლებურად, შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევა, განუვითაროთ მარტივი კონსტრუქციების და ნივთების საკუთარი ხელით შექმნის და დეკორატიულად გაფორმების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2.</p>  |
| <p><b>44. ვხატავთ კომპიუტერის დახმარებით</b></p> | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშაოთ კომპიუტერული სახატავი პროგრამების გამოყენების და მისი დახმარებით ორიგინალური ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა. განუვითაროთ ელექტრონული ფოსტით სარგებლობის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3.</p>  |
| <p><b>45. შენი საყვარელი გმირი</b></p>           | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავუღრმავოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებების გამომსახველობითი ხერხების, მასალების ამოცნობის უნარი, განუვითაროთ სასურველი მასალით და ტექნიკით ლიტერატურული პერსონაჟის (ზღაპრის გმირის) გამოსახვის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4.</p>   |
| <p><b>46. ლეგენდარული ტროა</b></p>               | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ წარმოსახვის უნარი, გამოვუმუშაოთ ხელოვნური რესურსის გამოყენებით სივრცობრივი კონსტრუქციის (ციხე-ქალაქის მაკეტის) შექმნის უნარ-ჩვევა; განვუმტკიცოთ გუნდური მუშაობის ჩვევები.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>  |
| <p><b>47. ყველაზე ცნობილი ცხენი</b></p>          | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ნებისმიერი სახატავი მასალის მეშვეობით წარმოსახვით ხატვის უნარ-ჩვევა, სადისკუსიო და ნამუშევრის წარდგენის უნარი. ნებისმიერი სახატავი მასალის გამოყენებით და ვიზუალურ/ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით სახვითი ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p> |
| <p><b>48. ანაბეჭდი</b></p>                       | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუმტკიცოთ ანაბეჭდის სხვადასხვა ხერხით მიღების უნარი, შეცდომის შემოქმედებით მიგნებად გადაქცევისა და დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>   |
| <p><b>49. საჩუქარი დედას</b></p>                 | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუვითაროთ დეკორატიულ-გამოყენებითი ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარი, განვუმტკიცოთ სხვადასხვა მასალის (ხელოვნური რესურსი, სახატავი მასალა) გამოყენების უნარი, გავუღრმავოთ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ნამუშევარში გამოყენების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>                    |
| <p><b>50. დიდი ხელოვანები</b></p>                | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ XX საუკუნის ცნობილი მოქანდაკეების შემოქმედება; განუვითაროთ თანამდროვე ხელოვნების არატრადიციული ფორმის და მასალის ანალიზის უნარი; გავუღვივოთ ფანტაზია და გავუღრმავოთ ინტერესი ხელოვნების რესურსების შემოქმედებითად გამოყენების მიმართ</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.5.</p>                                  |



|                           |   |
|---------------------------|---|
| 51. მხიარული მობილი       | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუმტკიცოთ ხელოვნური მასალით სამგანზომილებიანი დეკორატიული კონსტრუქციის შექმნის უნარი, გავაცნოთ თანამედროვე ხელოვნებაში არატრადიციული მასალის გამოყენებით შექმნილი ობიექტები, გავუღვივოთ ფანტაზია</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3.</p>  |
| 52. სააღდგომო ნობათი      | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნური და ბუნებრივი მასალის შემოქმედებითად გამოყენების უნარი, განვუმტკიცოთ დეკორატიული ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა; გავუღვივოთ ფანტაზია.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3.</p>  |
| 53. ერთი მუზეუმის ისტორია | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ მუზეუმის ფუნქცია, განვუვითაროთ ქართული ხელოვნების ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოპოვების და მისი წარდგინების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.5.</p>  |
| 54. რას დაარქმევდი...     | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ნამუშევარში საკუთარი ემოციის, აზრის ნებისმიერი სახატავი მასალით და ფერით გადმოცემის უნარი; განვუვითაროთ ნამუშევრის ნამუშევრის წარდგენის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4.</p>   |
| 55. სპილო                 | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ სხვადასხვა მასალით დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.4.</p>   |
| 56. დიდი ხელოვნები        | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ მიქელანჯელოს მდიდარი შემოქმედება და განვუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებების შედარების, მათზე მსჯელობის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.5.</p>  |
| 57. პროფესია არქიტექტორი  | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავაცნოთ ახალი ტერმინები და ინფორმაცია არქიტექტორის პროფესიის შესახებ, განვუვითაროთ ხელოვნური მასალის (მუყაო, ქაღალდი, ყუთები) გამოყენებით მარტივი კონსტრუქციების შექმნის უნარი, განვუმტკიცოთ სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით მარტივი არქიტექტურული ფორმების შექმნის უნარ-ჩვევა; განვუმტკიცოთ მენჯილესთან და/ან გუნდთან მუშაობის უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p> |
| 58. ლეგენდარული არგო      | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუვითაროთ წარმოსახვითი სახის შექმნის უნარი, ხელოვნური და ბუნებრივი მასალის შესაბამისად გამოყენების ჩვევა. მოსწავლეს განვუვითაროთ სხვადასხვა წყაროდან (მაგ. ლიტერატურული, ისტორიული, მითოლოგიური) მიღებული ინფორმაციის მხატვრულ ნამუშევარში გამოყენების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.2., ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4.</p>   |
| 59. არგონავტები კოლხეთში  | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავუღრმავოთ ცოდნა ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, განვუვითაროთ ფანტაზია და წარმოსახვითი ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4.</p>  |

|                          |  |
|--------------------------|--|
| 60. კოლხეთის სამეფო      | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განუფიქროს წარმოსახვით ხატვის უნარი, გამოვუმუშავოს სხვადასხვა ტიპის შტრიხისა და ხაზის გამოყენების ჩვევა, განვუმტკიცოთ ნამუშევრის ნამუშევრის წარდგენისას ინტერპრეტირების უნარები. გავუღრმავოთ ისტორიული წარსულის ცოდნა</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4.</p> |
| 61. ჩემი სკოლის ეზო      | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის უნარ-ჩვევა; განვუფიქროს დიდ ფართობზე ხატვისას ნამუშევრის კომპოზიციური აგების, მასალის (ფერადი ცარცი) თავისებურებათა გამოყენების პრაქტიკული უნარები;</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.3.</p>                              |
| 62. წიგნის გრაფიკა       | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს განვუმტკიცოთ გრაფიკული ნამუშევრის თავისებურებების აღქმის უნარი; ლიტერატურული პირველწყაროსა და ილუსტრაციის შედარების და დახასიათების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4.</p>  |
| 63. წელიწადის ოთხი დრო   | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგში ერთი და იგივე თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შედარების, შეფასების უნარი</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.1., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>   |
| ჩვენი სამშობლო (პროექტი) | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლეს გავუღრმავოთ ცოდნა ქართული კულტურის თავისებურებების შესახებ; განვუფიქროს შესაბამისი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების უნარი.</p> <p><b>შედეგი:</b> ს.გ.IV.3., ს.გ.IV.4., ს.გ.IV.5.</p>   |
| I თავის შემაჯამებელი     | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლის მიერ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ათვისების ხარისხის შემოწმება. შეფასება: ტესტური გამოკითხვის შედეგებით ფასდება თეორიული ცოდნა და პრაქტიკულად გამოიმუშავებული უნარები.</p>  |
| II თავის შემაჯამებელი    | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლის მიერ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ათვისების ხარისხის შემოწმება.</p>   |
| III თავის შემაჯამებელი   |  |
| IV თავის შემაჯამებელი    |  |
| V თავის შემაჯამებელი     | <p><b>მიზანი:</b> მოსწავლის მიერ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ათვისების ხარისხის შემოწმება.</p>   |

## 5. მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა

### კომპლექტაციის შემადგენლობა

#### გამოყენების მითითებები

IV კლასის „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ საგნის კომპლექტაცია წარმოდგენილია მოსწავლის წიგნითა და მასწავლებლის წიგნით. მოსწავლის წიგნში (სახელმძღვანელო) სრულადაა შეტანილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა თემა და უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია:

- ზოგადი ინფორმაცია IV კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოს შესახებ (მიზნები, სტრუქტურა, შინაარსი, მეთოდოლოგია, კომპლექტაცია);
- IV კლასის სტანდარტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში;
- სტანდარტის შედეგების მიღწევისა და შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა;
- მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა, კომპლექტაციის შემადგენლობა, გამოყენების მითითებები;
- მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების თავისებურებები საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები;
- სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რასაც ეყრდნობა სახელმძღვანელო;
- საგანმანათლებლო რესურსები;
- მოსწავლის შეფასების პრინციპები;
- აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები;
- გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები
- გაკვეთილების სანიმუშო სცენარები (სულ 18 გაკვეთილის სცენარი, აქედან პირველ თავში 12 სცენარია, მომდევნო ოთხ თავში კი 6 სცენარი);
- შემაჯამებელი გაკვეთილების მასალა: ტესტები და კროსვორდები, ასევე, მათი პასუხები. ასევე, მოცემულია რუბრიკა მოსწავლის თვითშეფასებისათვის – „ცოდნის სკივრი“.

საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, დამატებით მომზადებულია მდიდარი თვალსაჩინო მასალა ელექტრონული რესურსის სახით, რომელიც ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებ და ფბ-გვერდებზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი მასწავლებლის წიგნში შესაბამისი ნომრითაა აღნიშნული და დადასტურებულია სარჩევში.

## 6. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების თავისებურებები საგნის სწავლების პროცესში, სამიზნე ასაკის თავისებურებები

### ბავშვის განვითარების თავისებურებები

ფიზიკური განვითარება და მისი გავლენა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე.

#### 5-6 წლის ბავშვი

უმცროსი სასკოლო ასაკი მოიცავს პერიოდს 5-6 წლიდან 11 წლამდე. ამ პერიოდში ბავშვის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები ხდება: იგი მიდის სკოლაში და იწყებს სწავლას.

ამ პერიოდში მიმდინარეობს ბავშვის ორგანიზმის ინტენსიური ბიოლოგიური ზრდა-განვითარება (ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის, ძვალ-კუნთოვანი სისტემის, შინაგანი ორგანოების). ამ პერიოდში მატულობს ნერვული პროცესების აქტივობა. ნერვული პროცესების აგზნება ჭარბობს შეკავების პროცესს და ეს განაპირობებს, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა, მომატებული ემოციური აგზნებადობა და მოუსვენრობა. ბავშვისთვის ერთი მხრივ, დამახასიათებელია მომატებული ფიზიკური გამძლეობა და მეორე მხრივ, სწრაფი დაღლა და ნერვულ-ფსიქიკური პროცესების მოწყვლადობა.

მათი შრომისუნარიანობა 25-30 წუთის შემდეგ, ჩვეულებრივ ქვეითდება. ასევე, ბავშვები იღლებიან გახანგრძლივებულ ჯგუფში დარჩენისას და ემოციურად დატვირთული გაკვეთილებისა და ღონისძიებების შედეგად.

ვინაიდან, კუნთური სისტემის და მისი მართვის პროცესების განვითარება არ მიმდინარეობს სინქრონულად, ამ ასაკის ბავშვებს ახასიათებთ, მოტორული აქტივობის განვითარების თავისებურებები. მსხვილი კუნთების განვითარება უსწრებს წვრილი კუნთების განვითარებას, ამიტომ, ბავშვებს უკეთ აქვთ განვითარებული მსხვილი მოტორული უნარები, ვიდრე ნატიფი მოტორული უნარები (მაგალითად, წერა).

### **6-8 წლის ბავშვი**

6 წლის ასაკის ბავშვს, ისევე როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვს ძალიან უყვარს თამაში, მაგრამ ახლა მისი ძირითადი აქტივობაა – ახალი, კონკრეტული ჩვევის დაუფლება.

6-8 წლის ასაკის ბავშვი ფიზიკურად – ენერგიულია. მას აქვს ჭარბი ენერგია, ბევრს მოძრაობს. მართალია, ის ფიზიკურად განვითარებულია, მაგრამ მისი ზრდის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს. გული არ იზრდება სხეულის პროპორციულად. ამიტომ, მას არ შეუძლია დიდხანს შეასრულოს დაძაბული ფიზიკური აქტივობა. მას ჭირდება დასვენების პერიოდები.

### **9-11 წლის ბავშვი**

ამ ასაკის ბავშვი ფიზიკურად – აქტიურია, ენერგიული, რაც ფიზიკური აქტივობის საფუძველს წარმოადგენს. უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიშები. ამ ასაკის ბავშვი იმდენადაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით, რომ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს – საკუთარი ნივთების, ტანსაცმლის მოვლა. საჭიროა ამ საკითხებზე მისი ყურადღების გამახვილება.

### **კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების განვითარება**

უმცროსი სასკოლო ასაკში ადგილი აქვს, შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების უნებლიე ფორმირებას (ხორციელდება თამაშის ან პრაქტიკული აქტივობის დროს), ფსიქიკური აქტივობის ნებისმიერ, დამოუკიდებელ ფორმაზე გადასვლას, რომელსაც აქვს თავისი მიზანი, მოტივი, განხორციელების ხერხები და საშუალებები.

### **აღქმა**

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მოხაზულობის მქონე ასობებსა და ციფრებს (6-9; 2-5). ამიტომ, აღქმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, წერისა და კითხვის სწავლებისთვის.

### **6-9 წლის ბავშვი**

ამ ასაკის ბავშვი, ხშირად ვერ ცნობს ფიგურას, თუ ის სივრცეში ცოტათი სხვანაირად იქნება განლაგებული. მაგალითად, ზოგი ბავშვი ვერ აღიქვამს სწორ ხაზს, როგორც სწორს, თუ ის მოცემული იქნება დახრილად ან ვერტიკალურად.

ბავშვი აღიქვამს ნიშნის, სიმბოლოს ზოგად გამოსახულებას და ვერ ხედას, მის ელემენტებს.

ამ ასაკის ბავშვის აღქმა განისაზღვრება პირველ რიგში, თვითონ ობიექტის მახასიათებლებით. ამიტომ, ბავშვები საგანში ამჩნევენ არა მთავარს, მნიშვნელოვანს, არამედ, საგნის თვალში საცემ, „მკვეთრ“ თვისებებს (ფერი, ფორმა, ზომა).

## დაკვირვების უნარი

მნიშვნელოვანია ვასწავლოთ ბავშვებს დაკვირვება. მასწავლებელს ძალიან მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვის აღქმის განვითარებაში, თუ სწორად შეურჩევს ნახატებს, სურათებს და დაეხმარება მას აღქმის ორგანიზებაში – სთხოვს, დაათვალიეროს ნახატის დეტალები გარკვეული თანმიმდევრობით, იპოვოს ნახატში სხვადასხვა დეტალი, ააწყოს ნაწილებიდან მთელი და ა. შ. უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება **სინთეზური აღქმა – აღქმული ობიექტის ელემენტებს შორის კავშირის დამყარება**. თუ მანამდე ნახატის აღწერისას ბავშვი ასახელებდა ნახატზე გამოსახულ ობიექტებს, ახლა (6-7 წელი) მას შეუძლია ნახატის აღწერა, შემდგომში (8 წელი) კი შეძლებს ინტერპრეტაციას. მასწავლებელი უნდა ეცადოს ინტერპრეტაციის უნარის განვითარებას მრავალფეროვანი დავალებებით.

სწავლების შედეგად ამ ასაკის ბავშვის აღქმა ხდება ანალიზური, ვინაიდან იძენს ორგანიზებული დაკვირვების ხასიათს. მასწავლებელმა უნდა განუვითაროს ბავშვს ობიექტის არსებითი ნიშნების, საგნებისა და მოვლენების თვისებების გამოვლენის უნარი. ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი აღქმის განვითარებისა – შედარებაა.

**აღქმისათვის ასევე დამახასიათებელია ემოციურობა**. ბავშვზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს, მასწავლებლის ემოციური შექება, შეფასება, ვიდრე ნეიტრალური ტონით ნათქვამი თუნდაც პოზიტიური გამოხატუებები.

## აღქმის შემდეგი თავისებურებაა – აღქმის კავშირი მოქმედებასთან

6-7 წლის ასაკის ბავშვის აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის პრაქტიკულ საქმიანობასთან. საგნის აღქმა ბავშვისთვის ნიშნავს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, ხელში აღებას. ამიტომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებისას გაკვეთილზე დიდი დრო უნდა დაეთმოს საგნებზე პრაქტიკულ მოქმედებას და თვალსაჩინო მასალაზე მუშაობას.

ვითარდება **აღქმის „სოციალიზაცია“**, ბავშვი უპირატესობას ანიჭებს ადამიანიდან წამოსულ სიგნალებს.

აღქმის განვითარებაში ასეთი წინსვლის მიუხედავად, ამ პერიოდში წამყვანი მაინც საგნის გარეგნული, თვალსაჩინო მახასიათებლებია. ამას ბავშვი ხშირად შეცდომაში შეჰყავს, რადგან დასკვნას გარეგნული, თვალსაჩინო თვისებების დაყრდნობით აკეთებს. მაგალითად, ამ ასაკის ბავშვისთვის თუ საგანი დიდია, ამიტომ ის მძიმეც უნდა იყოს.

უმცროს სასკოლო ასაკში, დროისა და სივრცის აღქმას გარკვეული მახასიათებლები გააჩნია, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას – ბუნების, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლებისას. დროისა და სივრცის აღქმა უმცროს კლასელებთან მჭიდროდაა დაკავშირებული მათ პირად გამოცდილებასთან, რაც საკმაოდ მცირეა ამ ასაკში. მაგალითად, ბავშვმა, რომელმაც იცის, რომ მისი ბაბუა 60 წლისაა, შეიძლება მას კითხოთ: – „შენ დინოზავრი გინახავს?“. ვინაიდან მისთვის ბაბუის დაბადება და დინოზავრები, ორივე „ძალიან ადრე“ მოხდა, ან ბავშვს, რომ ვკითხოთ – „რამდენი კილომეტრია შენ სახლამდე?“. მან შეიძლება გვიპასუხოთ 1000 კმ. ვინაიდან, მისთვის 20, 500, 1000 კმ. – ნიშნავს „ძალიან შორს“.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორცაა: ხატვა; სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მსაგვსება-განსხვავების პოვნა; ძერწვა; ზღაპრებისა, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა; გამოცანების გამოცნობა და ა. შ. ამ აქტივობების განხორციელებისას ბავშვი ეჩვევა ობიექტური მასალის გარდაქმნას და იძულებულია ანგარიში გაუწიოს საგნის ობიექტურ თვისებებს. შესაბამისად, აღქმა უფრო დანაწევრებული და ორგანიზებული ხდება.

## ყურადღება

ბავშვს უნდა შეეძლოს ყურადღების კონცენტრირება სასწავლო ამოცანაზე, იმისთვის რომ გარკვეული დროით შეინარჩუნოს ინტენსიური ყურადღება, გადაიტანოს ყურადღება ერთი ობიექტიდან მეორეზე. მაგრამ, 5-8 წლის და 9-11 წლის ასაკში ნებისმიერი ყურადღება აღმოცენდება, მხოლოდ მისი ძალების მობილიზაციისა და ძლიერი დაძაბულობის, ან გარედან მოქმედი ძალისხმევის შედეგად. ჩვეულებრივ სიტუაციაში ბავშვს უჭირს ყურადღების ნებისმიერად მართვა.

უმცროსი სასკოლო ასაკისთვის დამახასიათებელია, სუსტად განვითარებული ნებისმიერი ყურადღება. სამაგიეროდ კარგად არის განვითარებული უნებლიე ყურადღება. ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო, ნათელი იქცევა ბავშვის ყურადღებას. ბავშვმა შეიძლება არ შეაჩეროს



ყურადღება სასწავლო მასალაში არსებით დეტალებზე და შეაჩეროს არაარსებითზე, იმიტომ, რომ მათ მიიქციეს ბავშვის ყურადღება.

გარდა ამისა, ბავშვის ყურადღება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან, ამიტომ მას უჭირს ყურადღების კონცენტრაცია მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე.

პირველკლასელებს და ნაწილობრივ მეორეკლასელებს არ შეუძლიათ დიდხანს, ერთი მიმართულებით ყურადღების წარმართვა. განსაკუთრებით, თუ სამუშაო უინტერესოა და მონოტონური. შედეგად, ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას, ტოვებს ასოებს სიტყვაში, სიტყვას წინადადებაში. 5-6 წლის ასაკის ბავშვს ერთი მიმართულებით ყურადღების წარმართვა შეუძლია 15-20 წუთის განმავლობაში. 1-2 კლასში ყურადღება უფრო მტკიცეა გარეგანი აქტივობის შესრულებისას, ვიდრე გონებრივი აქტივობის დროს. ამიტომ საჭიროა გონებრივი აქტივობის ჩანაცვლება პრაქტიკული აქტივობებით (ხატვა, ძერწვა, სიმღერა, ვარჯიში). მხოლოდ, მესამეკლასელებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ყურადღება მთელი გაკვეთილის განმავლობაში. ყურადღების ამ თვისებას ფსიქოლოგიაში ეწოდება – **ყურადღების სიმტკიცე (ყურადღების ხანგრძლივი წარმართვა ერთი და იგივე მიმართულებით, ერთი და იმავე ობიექტზე).**

უმცროს სასკოლო ასაკში ცუდი დისციპლინის და სწავლის სირთულეების ერთ-ერთი მიზეზია, ნებისმიერი ყურადღების სისუსტე. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ ხდება ნებისმიერი ყურადღების ფორმირება და როგორ შეიძლება მისი განვითარება. მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ყურადღება, უნებლიესგან განსხვავებით არ არის ორგანიზმის მომნიშვნის პროდუქტი. მისი ფორმირება ხდება სოციალურ კონტექსტში, ბავშვისა და უფროსის, მასწავლებლის ურთიერთობის შედეგად. ნებისმიერი ყურადღების ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის აქტივობის ორგანიზაცია.

გარემოს შემეცნებისას ბავშვი პირველად გამოყოფს, მხოლოდ გარკვეულ ობიექტებს, შემდეგ შეძლებს სრული სიტუაციის აღწერას და ბოლოს ინტერპრეტაციას. ამასთანავე, პირველად ბავშვს ნებისმიერად ყურადღების წარმართვა შეუძლია იმ მიზანზე, რასაც სვამს მის წინაშე უფროსი და შემდეგ იმაზეც, რასაც თვითონ დაისახავს მიზნად. ნებისმიერი ყურადღების განვითარების ადრეულ სტადიაზე, მოზრდილი სიტყვით, ან ჟესტით გამოყოფს გარემოში ობიექტს და ასე წარმართავს ბავშვის ყურადღებას. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს – „მომამზადეთ, ამოიღეთ ფერადი ფანქრები, სახატავი რვეულები“.

## მეხსიერება

მეხსიერება 5-6 წლის ბავშვის წამყვანი ფსიქიკური პროცესია. ამ ასაკში მეხსიერება ატარებს უნებლიე ხასიათს, რაც განპირობებულია იმით, რომ ბავშვს ჯერ-ჯერობით კარგად არ აქვს განვითარებული დასამახსოვრებელი მასალის გააზრების უნარი, ნაკლებად იყენებს ასოციაციებს, აქვს მცირე გამოცდილება და არ იცის დამახსოვრების ტექნიკები.

თუ რაიმე მოვლენა ბავშვისთვის ემოციურად მნიშვნელოვანი იყო და მასზე შთაბეჭდილება მოახდინა, ამ შემთხვევაში, უნებლიე მეხსიერებას ახასიათებს დიდი სიზუსტე და სტაბილობა.

ცნობილია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეიძლება ადვილად დაიმახსოვროს „უაზრო“ მასალა; ობიექტურად აზრიანი, მაგრამ მისთვის გაუგებარი სიტყვები, ფრაზები, ლექსები. ამის მიზეზია, ამ მასალის ჟღერადობისადმი ბავშვის განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება (თუ ის ჩართულია თამაშის აქტივობაში). ამასთანავე, თვითონ გაუგებარმა ინფორმაციამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ცნობისმოყვარეობა და მიიქციოს ყურადღება.

უმცროს სასკოლო ასაკში მეხსიერების წამყვანი ფორმებია – **ემოციური და თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება**. ბავშვები ადვილად და მყარად იმახსოვრებენ თვალში საცემ, ნათელ, საინტერესო მასალას, რომელმაც მათზე ემოციური ზეგავლენა მოახდინა.

რაც შეეხება თვალსაჩინო-ხატოვან მეხსიერებას, ბავშვები უკეთესად იმახსოვრებენ კონკრეტულ საგნებს, მოვლენებს, სახეებს, ვიდრე განმარტებას, აღწერას, ახსნას. ამიტომ, სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად გამოყენებული უნდა იქნას დიდი რაოდენობით თვალსაჩინო მასალა. თუმცა, დამახსოვრებულმა ხატმა შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ განიცადოს ცვლილებები – იკარგება, ან გაზვიადდება ცალკეული დეტალები.

ე. ი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ყველაზე კარგად იმახსოვრებენ კონკრეტულ მოვლენებს, რომელსაც თან ახლავს ემოციური კომპონენტი.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს აქვთ კარგი თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება (როგორც ვიზუალური, ასევე აკუსტიკური), უნდა გვახსოვდეს, რომ მეხსიერების

ეს ფორმა ძნელად ექვემდებარება ნებისმიერ აღდგენას. ამავე დროს ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს ზოგადად აქვს კარგი მეხსიერება. კარგი მეხსიერება ტრადიციულად გულისხმობს სიტყვების, შინაარსის დამახსოვრებას. ხოლო უმცროს მოსწავლეებს, განსაკუთრებით პირველ და მეორე კლასში სიტყვიერი ინფორმაციის დასწავლისას, აღენიშნებათ მისი მექანიკური დამახსოვრება. შინაარსის აღდგენა ტექსტთან ახლოს, ფასდება უფროსების მხრიდან, რომ ბავშვმა კეთილსინდისიერად შეასრულა საშინაო დავალება და იმსახურებს მაღალ შეფასებას. ეს კი უბიძგებს ბავშვს მოყვეს შესასწავლი მასალა, რაც შეიძლება ტექსტთან ახლოს. თანაც, მათ ჯერ არ შეუძლიათ განზოგადება, არ აქვთ ისე განვითარებული მეტყველება, რომ თავისი სიტყვებით გადმოსცენ დასწავლილი შინაარსი. ამიტომ, ემინიათ რა შეცდომის დაშვების, ისინი სიტყვა-სიტყვით აღადგენენ ტექსტს.

უმცროს სასკოლო ასაკში პედაგოგმა უნდა იმუშაოს ვერბალური და ლოგიკური დამახსოვრების განვითარებაზე, ანუ სიმბოლური მეხსიერების განვითარებაზე. **ვერბალური მეხსიერება** დაკავშირებულია მეტყველებასთან და საბოლოოდ ფორმირდება 10-13 წლის ასაკში. მისი მახასიათებელია შინაარსის ზუსტი აღდგენა საკუთარი სიტყვებით.

**ლოგიკური მეხსიერების** მახასიათებელია ტექსტის დედა-აზრის დამახსოვრება. ამიტომ, ლოგიკური მეხსიერება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. ლოგიკური დამახსოვრების ერთ-ერთი ხერხია მასალის აზრობრივი დაჯგუფება. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ამ ტექნიკას დამოუკიდებლად ვერ იყენებენ (არ შეუძლიათ ტექსტის ანალიზი, ვერ გამოყოფენ მთავარს, არსებითს).

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვს მეხსიერების ამ ფორმის განვითარებაში. უნდა მოხდეს მასალის ანალიზი, გამოიყოს ცალკეული ნაწილები (აზრობრივი, რთულად დასამახსოვრებელი). მნიშვნელოვანია დასასწავლი მასალის გაგება, სწავლის მოტივაციის ფორმირება.

თანდათანობით ნებისმიერი მეხსიერება ხდება ის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომელსაც სასწავლო პროცესი ეყრდნობა.

მასალის დამახსოვრებისთვის 8-10 წლის ასაკის ბავშვები აქტიურად იყენებენ გამეორების ტექნიკას, რასაც არ აკეთებენ 5-6 წლის ბავშვები. თუ 5-6 წლის ასაკის ბავშვს ვასწავლით მასალის დამახსოვრებისთვის გამეორების ტექნიკის გამოყენებას, ისინი მას გამოიყენებენ, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დამახსოვრებას. თუმცა, ახალი მასალის მიწოდებისას ამის შეხსენება აუცილებლად სჭირდებათ (არ იყენებენ სპონტანურად).

7-8 წლის ბავშვები იყენებენ აგრეთვე დაჯგუფების ტექნიკას. მაგალითად, ვთქვათ გვჭირდება 6 ციფრის დამახსოვრება – 3, 5, 4, 8, 7 და 1. მათი ადვილად დამახსოვრების მიზნით, შეიძლება ისინი 3 ჯგუფად (35-48-71) ან 2 ჯგუფად (354-871) დავანაწილოთ. ინფორმაციის დამახსოვრებაზე გავლენას ახდენს ნაწილების რაოდენობა და არა მოცულობა. ასევე შეიძლება დავაჯგუფოთ მსგავსი ობიექტები. მაგალითად, ხილი და ბოსტნეული. 5-6 წლის ბავშვმა შეიძლება სპონტანურად გამოიყენოს ეს ტექნიკა, მაგრამ ბოლომდე ვერ აცნობიერებს (ვერ ხედავს სარგებელს), თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება. მსგავს სიტუაცია შეიძლება იყოს 8-9 წლის ბავშვებთანაც და მოზარდებთანაც.

## **აზროვნება**

**აზროვნება არის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და მიმართების დამყარება, გარე სამყაროს მოვლენებსა და ობიექტებს შორის.**

ბავშვის შემეცნებითი აქტივობა და ცნობისმოყვარეობა მიმართულია გარემოს შემეცნებაზე. აზროვნება უშუალოდაა დაკავშირებული მეტყველებასთან. რაც უფრო მაღალია ბავშვის გონებრივი აქტივობა, მით უფრო ბევრ და მრავალფეროვან კითხვას სვამს იგი – ეს რა არის? ვინ არის? რატომ? რისთვის? რისგან? ვის? და ა. შ.

როგორც წესი, კითხვის დასმისას უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები წარმოიდგენენ რეალურ სიტუაციას. **აზროვნების ფორმას, რომლის დროსაც ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება შინაგან პლანში, აღქმისა და წარმოდგენის საფუძველზე, ეწოდება თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება..** სწორედ, აზროვნების ეს ფორმაა დამახასიათებელი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. ბავშვებს უჭირთ სიტყვიერად გამოთქმული აზრის გაგება, თუ მას არ აქვს თვალსაჩინო დასაყრდენი. რა თქმა უნდა, ამ ასაკის ბავშვს შეუძლია ლოგიკური აზროვნებაც, მაგრამ ბავშვი უფრო მგრძობიარეა ისეთი სწავლებისადმი, რომელიც ეყრდნობა თვალსაჩინოებას.

6-8 წლის ასაკის ბავშვი – **დამკვირვებელი.**

მართალია, პირველკლასელი ძალიან დაკვირვებულია, მაგრამ მას არ ესმის ყველაფერი, რასაც ხედავს,

ვინაიდან მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. უფროსებმა შეიძლება გადააფასონ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, იმის გამო, ბავშვი ხშირად ამჩნევს ისეთ დეტალებს, რასაც არ აქცევენ ყურადღებას მოზრდილები. პირველკლასელი აზროვნებს „აქ“ და „ეხლა“ კატეგორიებით. უჭირს დროის, სივრცის და რიცხვის გაგება. მას შეუძლია ახალი მასალა აითვისოს, თუკი იგი დაკავშირებულია; ლი იქნება, მისთვის ნაცნობ ინფორმაციასთან. ამიტომ, პედაგოგმა უნდა კარგად იცოდეს, თუ რა იცის ბავშვმა და დააკავშიროს ახალი ცოდნა – ძველთან.

#### 9-11 წლის ბავშვი – მკვლევარია.

ამ ასაკის ბავშვიც ასევე კარგი დამკვირვებელია, მაგრამ უფრო ყურადღებით აკვირდება და ლოგიკურად აზროვნებს. სვამს ბევრ კითხვებს და შეუძლია თვითონ იპოვოს მათზე პასუხი.

ამ ასაკის ბავშვი აგროვებს ყველაფერს, მისთვის მნიშვნელოვანია რაოდენობა და არა ხარისხი. 11 წლამდე ის არ აკეთებს, თავისი კოლექციის კლასიფიკაციას (თუ რა თქმა უნდა, მას ამაში უფროსი არ დაეხმარა). პედაგოგმა შეიძლება გამოიყენოს ბავშვის ეს თვისება საგანმანათლებლო მიზნით. ბავშვი ხდება უფრო დაკვირვებული, ხოლო კოლექციის განხილვისას ან გაცვლისას, კი უმჯობესდება პიროვნებათშორისი ურთიერთობები.

ბავშვს უყვარს იმის გამოკვლევა, რაც მისთვის უცნობია. ამ ასაკში მას უკვე ესმის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება, აქვს დროის (ქრონოლოგიური და ისტორიული განცდა), სივრცის, ადგილმდებარეობის, მანძილის კარგი აღქმა. ის მსჯელობს იმის შესახებ, რაც ესმის და ხედავს.

## 7. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე

თუ კლასში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (სსსმ – იგულისხმება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები), მასწავლებელი უნდა ეცადოს, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებაში. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე მასწავლებელმა არ უნდა მოაქციოს ყურადღების ცენტრში და არ გამოხატოს ზედმეტი ყურადღება თუ თანაგრძობა მის მიმართ. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანობა კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა თუ სხვა საგნების გაკვეთილებზე. მასწავლებელმა მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობა და შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათ განვითარებასა თუ მიღწევების გაუმჯობესებას. მიუხედავად მისი განსხვავებული შესაძლებლობებისა, მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რისი გაკეთება მოეთხოვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე. საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ან კომბინირებული ადაპტირებული ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სხვა თვალსაჩინო საშუალებებიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული, ერთის მხრივ მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ხოლო მეორეს მხრივ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არამართებულად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს. რაც თავის მხრივ სასწავლო პროცესის არა ეფექტურ დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიებისა და არა ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამდე აუცილებელია ბავშვის როგორც ფსიქოლოგიური, ასევე აკადემიური შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების, გამოვლენა – რა შეუძლია, რა არ შეუძლია. შეფასებაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ბავშვისთვის შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების შემუშავება.

სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში განსაზღვრავს იმ მოსწავლის ან მოსწავლეთა სიას, რომლებიც მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით საჭიროებენ სწავლას. სსსმ მოსწავლის გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე; გუნდში ერთიანდებიან ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს (სხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას იღებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი) აგრეთვე: მშობელი/მეურვე, ფსიქოლოგი, ექიმი და სხვა დამხმარე პერსონალი. სამუშაო ჯგუფს ზედამხედველობას უწევს



კლასის დამრიგებელი; მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები მოენყოლა სემესტრში მინიმუმ ორჯერ მაინც, რომელზეც გააანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, ისაუბრებენ შედეგებზე და შეიმუშავებენ მოკლე და გრძელვადიან ამოცანებს; ყოველი სემესტრის ბოლოს მოენყოლა ერთი შემაჯამებელი შეხვედრა; ყველა შეხვედრა აღირიცხება ოქმით და და ინახება მოსწავლის პირად საქმეში; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო;

## 8. სპეციფიკური, საგნობრივი და ზოგადი გამჭოლი უნარები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციფიკურ, საგნობრივ კომპეტენციებს ავითარებს ამ საგნის შემადგენელი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ცოდნა და გამოსამუშავებელი უნარ-ჩვევები. საგნის თავისებურებებიდან გამომდინარე მოსწავლეს უვითარდება როგორც კონკრეტულად მხატვრული შემოქმედების სფეროს აღქმა/გაცნობიერების, ასევე, საკუთარი იდეების, ემოციების, განწყობილებების გადმოცემის, თვითრეალიზების კომპეტენციები, რომელთაც აუცილებელია იგი ფლობდეს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითად პრინციპებსა და ტექნოლოგიებს, იცნობდეს და იყენებდეს მის ხერხებს, ელემენტებსა და პროცედურებს. გამოსამუშავებელ უნარ-ჩვევათაგან უმნიშვნელოვანესია ის კომპეტენციები, რომლებიც ხელოვნების როლისა და დანიშნულების გააზრებას უწყობს ხელს ზოგადად მსოფლიო კულტურის კონტექსტში (**ანალიზისა და კრიტიკული ანალიზის უნარი**), ასწავლის და აჩვენებს მოსწავლეს შემოქმედებითად მიუდგეს სხვადასხვა ტიპის პრობლემის გადაჭრას (**პრობლემის გადაჭრის უნარი**), უვითარებს მას ნებისმიერ სფეროში საკუთარი იდეების და განცდების გამოხატვის და მათზე მსჯელობის ჩვევას (**თვითგამოხატვის და შემოქმედებითი აზროვნების უნარი**), უღვივებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წვლილის შეტანის სურვილს (**აქტიური სამოქალაქო პოზიციისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლება**), უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების, მისი გაცნობიერების, ინტერპრეტაციის ჩვევებს (**კვლევა-ძიების უნარი**), ასწავლის თანამშრომლობითი სწავლის და მუშაობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის გზებს (**კომუნიკაციის უნარი**), აჩვენებს იყოს ობიექტური და თვითკრიტიკული საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (**თვითშეფასებისა და სწავლის უნარი**).

ამდენად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესწავლა უვითარებს მოსწავლეს სპეციფიკურ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთა საბოლოო მიზანს წარმოადგენს: მშვენიერების განცდის განვითარება, წარმოსახვისა და ფანტაზიის გაღვივება, ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარ-ჩვევა, ხელოვნების უნივერსალური ენის გაცნობიერების უნარი, რაც ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობათა ერთ მთლიანობაში აღქმის საშუალებას აძლევს მას და უვითარებს ესთეტიკური აღქმის მყარ საფუძვლებს.

### პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები

**წიგნიერება**, რაც გარდა კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარისა გულისხმობს ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარს იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;

**მედიაწიგნიერება**-ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მულტიმედია ტექსტების (ანუ ისეთი ტექსტის, რომელიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს) აღქმა/გაცნობიერების უნარი. მოსწავლემ უნდა შეძლოს ამგვარი მულტიმედია ტექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს მედია სამყაროში მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების საწინდარია.

**ციფრული ანუ კომპიუტერული წიგნიერება**, რაც თანამედროვე სამყაროში შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას განაპირობებს მოსწავლეებში; ამდენად, სრულ შესაბამისობაშია საგნის დარგობრივ კომპეტენციებთან

**რაოდენობრივი წიგნიერება** – რიცხვის არსის გააზრება, რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარება მოსწავლეს მათემატიკის და სხვა საგნების შესწავლაში ეხმარება.

**ეკოლოგიური წიგნიერება** გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს და რადგან გარემო, მასზე დაკვირვება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესასწავლად ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ეკოლოგიურ წიგნიერებას განსაკუთრებული როლი ენიჭება სწავლის პროცესში.

**მრავალენობრივი კომპეტენცია** ენების დაუფლების და გამოყენების უნარია, რომლის განვითარება ნებისმიერი საგნის ფარგლებშია შესაძლებელი.

**სემიოტიკური კომპეტენცია** ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანას გულისხმობს. საგნის თავისებურებებიდან გამომდინარე სწორედ ეს კომპეტენციაა უმნიშვნელოვანესი დარგობრივ კომპეტენციათა მსგავსად, რადგან საშუალებას აძლევს მოსწავლეს ინტერპრეტირება გაუკეთოს ვერბალურ ან არავერბალურ (სქემა, რუკა, მელოდია და სხვ.) ინფორმაციას და საკუთარი ნააზრევი ან შთაბეჭდილება ხელოვნების მეშვეობით გამოხატოს. მაგალითად, სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების უნარია, რომელსაც უპირატესად უვითარებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი. სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, რომელიც სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია. მასწავლებელმა უნდა მიმართოს მოსწავლის ყურადღება სწავლის პროცესზე, მის მიმდინარეობაზე; დაეხმაროს მოსწავლეს იმ ფაქტორებისა და პირობების გაცნობიერებაში, რომლებიც აფერხებს ან ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას; აღმოაჩინოს ის ხერხები და მიდგომები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და გამოუმუშავოს სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;

**სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია** გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადანყვებილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა. ხელოვნების სწავლების პროცესში განსხვავებული ესთეტიკის და შემოქმედებითი მიდგომების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლისათვის ამ კომპეტენციის განვითარებას.

## 9. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი სტრატეგიები, რასაც ეყრდნობა სახელმძღვანელო

### „სტრატეგია 3, 2, 1“

ეს სტრატეგია გამოიყენება ფილმის ნახვის, თვალსაჩინოების დათვალიერების, ტექსტის გაცნობის, პროექტის დასრულების შემდეგ. ეს მეთოდი აძლიერებს მოტივაციას, აყალიბებს აქტიურ მსმენელად და მკითხველად, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას. ეს მეთოდი სამი ეტაპისგან შედგება:

1. სასწავლო მიზნიდან გამომდინარე მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ტექსტის წაკითხვას, ფილმის ნახვას

ან თვალსაჩინოების დათვალიერებას.

2. მეორე ეტაპზე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ 3 საკითხი, რამაც დააინტერესათ; დაწერონ 2 საკითხი, რაზეც უნდათ მეტი გაიგონ; დაწერონ 1 საკითხი, რაზეც მომავალში იმსჯელებდნენ.

3. მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.

### „სტრატეგია: რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ“

მასწავლებელი გაკვეთილის დასრულებამდე 10 წუთით ადრე

ურიგებს მოსწავლეებს მცირე ზომის ფურცლებს და ავალებს მათ, რომ გააფორმონ იგი (დააწე-

რონ თავიანთი სახელი და გვარი და ა. შ.), შემდეგ კი ერთი მომცრო აბზაცის მეშვეობით, მწყობრად და მართლწერის ნორმების დაცვით, ჩამოაყალიბონ თავიანთი აზრი, გამოხმაურება იმის შესახებ, თუ რა ასწავლა და გააგებინა მათ ამ კონკრეტულმა გაკვეთილმა, ნაკითხულმა ტექსტმა, ან ნანახმა ფილმმა. რა დაამახსოვრდებათ მას შემდეგ, როცა საკლასო ოთახს დატოვებენ.

კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე

მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ იდეის, საკითხის კონტროლის

მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. სწავლების პროცესში კოგნიტური დიაგრამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლებს სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილების დაგეგმვა, ხელთ მისცა აკადემიური პროგრესის და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლისა და შეფასების საკმაოდ მოქნილი ტექნიკა, სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახადა. შედარების დროს, ძირითადად, ორი ტიპის გრაფიკული სქემა გამოიყენება – ვენის დიაგრამა და შედარების მატრიცა.

**შედარება** წარმოადგენს საგნებს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიკაციის პროცესს.


**კლასიფიკაცია** წარმოადგენს საგანთა კატეგორიებად დაჯგუფების პროცესს, რომელიც ეფუძნება მათ მხასიათებლებს.

იგი გულისხმობს ელემენტების ჯგუფურად დაყოფას, მათ შორის მსგავსების საფუძველზე. კლასიფიკაციის დროს მთავარია იმ წესების იდენტიფიკაცია, რომელიც კლასსა და კატეგორიაში კუთვნილებას განსაზღვრავს. კლასიფიკაციის სავარჯიშოებზე მუშაობისას მოსწავლეებმა მზა ელემენტების კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინფორმაციას იმ კატეგორიების (ჯგუფი, დარგი, ჟანრი, სტილი) შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოსწავლეებმა მოცემული ელემენტების კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ. ასეთ სავარჯიშოში მთავარია მოსწავლემ ზუსტად განსაზღვროს ელემენტის კატეგორია და გაიაზროს, თუ რატომ მიაკუთვნა ესა თუ ის ელემენტი ამა თუ იმ კატეგორიას.

**შედარების პროცესი** ეფექტურია მაშინ, როდესაც მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებმა ერთსა და იმავე მახასიათებლებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება დაინახონ. ეს პროცესი შედეგიანი რომ იყოს, მასწავლებელმა კარგად მოფიქრებული სტრუქტურირებული სავარჯიშო უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს. რაც გულისხმობს, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მიუთითოს ის მახასიათებლები, რის მიხედვითაც უნდა შეადარონ მოვლენები და ხელოვნების ნიმუშები. ასეთი სავარჯიშოები საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაბამისი (საჭირო) დასკვნების გასაკეთებლად მიმართოს.

**1. „ვენის დიაგრამა“** ეს მეთოდი დიაგრამა შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა და ძალიან ეფექტურია სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და მიმდინარეობის (ნიმუშების) ნამუშევრების შედარებისას. შედგება ორი ან მეტი რგოლისაგან. ვენის დიაგრამა შემდეგნაირად უნდა შეიქმნას: პირველ და მეორე ნაწილში განსხვავებული ნიმუშები, ფაქტები, მოვლენები იწერება, მესამეში კი მსგავსი.

შესაძლებელია სქემის განსხვავებულად შევსება. ცალ-ცალკე ივსება პირველი და მეორე ნაწილი, ხოლო ის, რაც ორივეში ერთნაირი აღმოჩნდება, გადადის მესამეში.



დიაგრამა 2. ვენის დიაგრამა

**2. შედარების მატრიცა** დეტალური მიდგომის დროს უფრო გამოიყენება, ვიდრე ვენის დიაგრამა. მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა მნიშვნელოვანია კლასიფიკაციის დროსაც, რადგან გარკვეული ელემენტების კლასიფიკაცია სწორედ მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციით იწყება. კლასიფიკაცია გულისხმობს ელემენტების ჯგუფებად დაყოფას, მათ შორის მსგავსების საფუძველზე. მაგ. მოსწავლეები იკვლევენ არქიტექტურულ ფორმებს – უძველესი ცივილიზაციებიდან თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშებამდე (ჩათვლით) მათი შედარების საფუძველზე. მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ხეოფსის პირამიდას და მინის პირამიდას პარიზში.

| მახასიათებლები | შესადარებელი ნიმუშები |     |     |               |
|----------------|-----------------------|-----|-----|---------------|
|                | № 1                   | № 2 | № 3 |               |
| 1              |                       |     |     | მსგავსებები   |
|                |                       |     |     | განსხვავებები |
| 2              |                       |     |     | მსგავსებები   |
|                |                       |     |     | განსხვავებები |
| 3              |                       |     |     | მსგავსებები   |
|                |                       |     |     | განსხვავებები |
| 4              |                       |     |     | მსგავსებები   |
|                |                       |     |     | განსხვავებები |

**„სტრატეგია: ვიცი – მინდა ვიცოდე – რა გავიგე“**

თუკი მასწავლებლის მიზანია, რომ მაქსიმალურად მიიპყროს მოსწავლეების ყურადღება და დააფიქროს ისინი ამა თუ იმ საკითხზე, მასწავლებელი მოსწავლეს სტრუქტურას და საფეხურებრივ მიდგომას სთავაზობს, ეს მეთოდი ყურადღების კონცენტრირებას უწყობს ხელს; ხელს უწყობს მოსწავლეს ყურადღების მობილიზებაში; ააქტიურებს მის წინა ცოდნას; ეხმარება მასალის მთლიანობაში გააზრებაში; უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას; უვითარებს კითხვის დასმის უნარ-ჩვევას; უჩვენებს, რა არის მნიშვნელოვანი მოცემულ მასალაში; მიუთითებს, რა ისწავლა მან ამ მასალის დამუშავებით; უმაღლებს მოტივაციას.

მასწავლებელი ავალებს თითოეულ მოსწავლეს, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცნობამდე, შეავსოს პირველი და მეორე გრაფა, ინფორმაციის გაცნობის შემდეგ კი – მესამე.

| ვიცი | მინდა ვიცოდე | რა გავიგე |
|------|--------------|-----------|
|      |              |           |

**დიდაქტიკური თამაშები და მოზარდის კოგნიტური და ასაკობრივი განვითარება**

საყოველთაოდ აღიარებული და მეცნიერულად დადასტურებულია, რომ თამაშს, როგორც ქცევას, საფუძვლად უდევს სიამოვნება. ბავშვისთვის თამაშის ძირითადი მოტივი აქტივობისაგან სიამოვნების მიღებაა. თამაშზე საუბრისას აუცილებელია, შევხვით მის ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ საფუძველს.

თამაშის დროს ქცევის იმპულსი ფუნქციონალურია, ანუ ბავშვის ქცევას წარმართავს ფუნქციური სიამოვნება. ამიტომ, როდესაც ბავშვი შედის სკოლაში და იწყებს სწავლას, მისი ინტელექტუალური ფუნქციების ასამოქმედებლად უფრო ეფექტური იქნება თამაშის გამოყენება, ანუ სწავლის წარმართვა თამაშით.

ცოდნის მიღების, განმტკიცებისა და სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხშირად გამოიყენება სახალისო, შემეცნებითი სავრჯიმოები – დიდაქტიკური თამაშები.



**დიდაქტიკური თამაშები მრავალფეროვანია. ეს თამაშები შეიძლება იყოს:**

1. სახალისო
2. სააზროვნო
3. ლოგიკური
4. განმავითარებელი
5. შემეცნებითი
6. სიმულაციური
7. ინტელექტუალური

დიდაქტიკური თამაშები, კოგნიტიური განვითარების თეორიების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა:

|  |   |
|--|---|
| <p><b>1. ჯგუფი</b><br/>ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს ბავშვის აზროვნება ლოგიკური ხდება, მაგრამ მაინც ალქმით არის განსაზღვრული. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი პრობლემას მხოლოდ საკუთარი მოლოდინის მიხედვით განიხილავს.</p> | <p><b>2. ჯგუფი</b><br/>ამ ტიპის დიდაქტიკური თამაშის დროს ბავშვები აღარ უშვებენ შეცდომებს კლასიფიკაციის დროს, იმიტომ, რომ აზროვნება აღარ არის მხოლოდ ალქმით შემოფარგლული. დიდაქტიკური თამაშის გართულება იმით არის გამოწვეული, რომ ამ ასაკში (7-11 წ.) მოზარდის ცნობიერებაში ჩნდება მასის, მოცულობისა და წონის მუდმივობის ძირითადი ცნებები. მეორე მხრივ, ლოგიკური ოპერაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ რეალურ საგნებზე. ამიტომ ბავშვები ხშირად წყვეტენ ამოცანებს რეალურ საგნებზე, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ ფორმალურ დონეზე – აზრობრივად, წარმოსახვით.</p> |
|--|---|

**დიდაქტიკური თამაში „მეზალე“**

„მეზალე“ მოსწავლემ უნდა დაასახელოს მისი საყვარელი 3, 4, 5 ხილის სახელი.

მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა ხილს. ერთი და იმავეს გამეორება შეიძლება. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეთა მიერ დასახელებულ სახელებს და დაფაზე „ბალის პანორამა“ ჩნდება.

შემდეგ მასწავლებელი იწყებს სახალისო შეკითხვებით თამაშს. ის სვამს შეკითხვებს:

მარწყვი რომ მოწყვიტო, ხეზე უნდა ახვიდე?

მოცხარი რომ მოწყვიტო, ხეზე უნდა ახვიდე?

ბალი ბალახია? რომ მოწყვიტო, ბალახის ფოთლები უნდა გადაწიო და იქ იპოვი?

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სამსვეტიან ცხრილს და შიგ წერს: ხე, ბუჩქი ბალახი. მოსწავლეები სახალისო კითხვა-პასუხის შედეგების მიხედვით ავსებენ ცხრილს, ანუ ხდება რანჟირება.

| ხე     | ბუჩქი   | ბალახი  |
|--------|---------|---------|
| ვაშლი  | მოცხარი | მარწყვი |
| მსხალი | ჟოლო    |         |
| ატამი  | მაყვალი |         |
| კომში  |         |         |

დიდაქტიკური თამაში სწავლების ისეთი საშუალებაა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, სასწავლო ამოცანის შენიღბვის მეშვეობით ბავშვი წინასწარი განზრახვის გარეშე დაეუფლოს ცოდნას.

მაგალითად განვიხილოთ მკითხველთა თეატრი. ის ისეთი დიდაქტიკური თამაშია, რომელიც კითხვის დასახვეწად გამოიყენება – ამა თუ იმ ნაწარმოების ზეპირი შესრულებით ხომ მოსწავლეები გაუცნობიერებლად ვარჯიშობენ კითხვაში. გარდა ამისა, ისინი ოსტატებიან საუბარში, მეტი ინტერესი უჩნდებათ ლიტერატურისადმი.

**საჭიროა მცირე ზომის ტექსტი, რომელიც 10-15 წუთში იკითხება და შედგება დიალოგებისაგან, რაც მოსწავლეებისთვის როლების განაწილების საშუალებას იძლევა.**

### **მკითხველთა თეატრის მოსაწყობად უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:**

- კლასში ტექსტის წასაკითხად უნდა შეირჩინენ მოხალისეები;
- თითოეულ მკითხველს უნდა მიეცეს ასლი და მასწავლებელმა უნდა მოისმენოს მხატვრულად წაკითხული ვარიანტი;
- ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა წაიკითხოს ტექსტი კლასთან ერთად;
- მან უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტი ჟესტებით, მიმიკებით, ინტონაციებით;
- მოსწავლეებმა ტექსტი თეატრალურად უნდა წაიკითხონ;
- მათ უნდა გაიმეორონ სცენები რამდენჯერმე, რათა მათი წაკითხული უფრო დრამატული და გამართული გახდეს.

გასაკვირი არაა, რომ ბავშვებს თამაში განსაკუთრებით უყვართ. ამ დროს ისინი ითავისებენ სასიცოცხლოდ აუცილებელ უნარებს და ჩვევებს, იმდიდრებენ სოციალურ წარმოდგენებს და ეცნობიან რთული და პრობლემური სიტუაციებიდან თავის დაღწევის გზებს. დიდაქტიკური თამაში სწავლების განსაკუთრებული საშუალებაა. მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია ლამაზად შენიღბოს სასწავლო ამოცანა და მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას. აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება ეფექტური იქნება იმ ტიპის გაკვეთილის წარმართვისას, სადაც მუშაობა ჯგუფური ფორმით მიმდინარეობს, ფუნქციები განაწილებულია.

### **დიფერენციაციის თეორია და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში**

დიფერენციაციის თეორია ეყრდნობა დასკვნას, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს (კ. ტომლინსონი). ამ დასკვნის საფუძველზე დიფერენციაციის თეორია გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს, განსაკუთრებული პირობები შეუქმნას თითოეულ მოსწავლეს კარგად სწავლისთვის. ამისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა სასწავლო მასალას, განსხვავებულ დავალებებს და სხვაგვარ პრაქტიკას.

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც ეფექტურია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებაში. ამ თეორიის მიხედვით, სწავლებისას გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების

- შინაარსი
- პროცესი
- პროდუქტი

**სისტემატურად იცვლება გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არიან მზად მოსწავლეები. დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:**

1. მასწავლებელმა ზუსტად იცის, რა არის მნიშვნელოვანი გაკვეთილში;
2. მასწავლებელი აცნობიერებს, აფასებს და ეყრდნობა მოსწავლეთა შორის განსხვავებას;
3. სწავლება და შეფასება ურთიერთკავშირშია;
4. მასწავლებელი აკვირდება და არეგულირებს შინაარსს, პროცესსა და შედეგს;
5. მოსწავლეთა ინდივიდუალური წარმატება და წარმატების მაქსიმალური ზრდა ორი მთავარი მიზანია;
6. სწავლების ყველა ეტაპზე (დაგეგმვა, სწავლება, შეფასება) ლავირება აუცილებელია დიფერენციაციის განსახორციელებლად.

**საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ახდენს შემდეგი კომპონენტების მოდიფიცირებას:**

- სასწავლო მასალების;
- სასწავლო რესურსების;
- სასწავლო გარემოს.

**მოდიფიკაცია სამი ძირითადი ასპექტის გამოა აუცილებელი:**

1. სწავლის შესაძლებლობა;
2. სწავლის მოტივაცია;
3. სწავლის ეფექტიანობა.

### **ეს სამივე ასპექტი აუცილებლად უნდა დაფუძვნიდეს:**

- მოსწავლის მზადყოფნას;
- ინტერესს;
- სწავლას.

ფაქტია, რომ ყველა მოსწავლე განსხვავებულია. არ არსებობს „სტანდარტული“ მოსწავლე და არ არსებობს იდეალური ხერხი, რომლითაც მასწავლებელი ყველა მოსწავლის პრობლემებს გაუმკლავდება. სწორედ აქ გვეხმარება დიფერენციაციის თეორია, რომელიც მოსწავლეებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობას აღიარებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მას შემოაქვს დიფერენცირებული მიდგომები სწავლის მოდალობების თვალსაზრისით. მათზე დაყრდნობით მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოსწავლეთა განსხვავებების გამოყენება სასწავლო მიზნით გათვლისწინებული შედეგების მიღწევისთვის.

სწავლის მოდალობებია:

- სმენითი;
- ვიზუალური;
- კინესთეტიკური.

### **ვიზუალურად შემსწავლელი**

ვიზუალურად შემსწავლელი კლასის უმსხვილეს ჯგუფს წარმოადგენენ. ამგვარმა მოსწავლეებმა უნდა „დაინახონ“ სასწავლო მასალა იმისათვის, რომ იგი გასაგები გახდეს. მნიშვნელოვანია, გვეჩვენოს ვიზუალური დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ ინფორმაციის დანახვას. ამისთვის მათ სჭირდებათ სურათები, გრაფიკული სახელმძღვანელოები, ოთახში გამოკრული ინფორმაცია და ვიზუალიზაციის ხელშემწყობი პირობები.

ტომლინსონი გვთავაზობს ვიზუალურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- მოსწავლეებს უჭირთ სახელების დამახსოვრება, თუმცა ადამიანის შესახებ სხვა დეტალებს უკეთესად აღიქვამენ;
- ისინი შესანიშნავად ითვისებენ ცოდნას, თუკი ვიზუალური საშუალებები ხელმისაწვდომია ამ ცოდნის ასახსნელად;
- მათ ურჩევნიათ, თავად წაიკითხონ ტექსტი და არა სხვამ წაუკითხოს;
- ისინი ჩამოწერის მეშვეობით ალაგებენ აზრებს;
- უჭირთ სმენით მიღებული დირექტივების დამახსოვრება;
- ხშირად ამჟღავნებენ ემოციებს სახის გამომეტყველებით;
- უყვართ „ფაზლები“ და მსგავსი გასართობები.

უნდა გვახსოვდეს, რომ კლასში ვიზუალური სტიმულის შემოტანით ჩვენ ხელს ვუწყობთ ამგვარ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის „დანახვა“.

### **სმენით შემსწავლელი**

სმენით შემსწავლელი კლასის უმცირეს ჯგუფს წარმოადგენენ. შესაძლოა მულტიმედიის, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების ბრალია ის, რომ იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც სწავლა ჯდომისა და მოსმენის მეშვეობით ურჩევნიათ, ასე შემცირდა. ამგვარი მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მოსმენა – იქნება ეს ლექცია თუ დისკუსია – მაგრამ მათ უნდა მივცეთ ლაპარაკის საშუალება.

სპრენჯერი წერს: „როდესაც ამ კატეგორიის მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, ხშირად შევამჩნევთ, რომ ისინი ამოძრავებენ ტუჩებს ან ბუტბუტებენ. საერთოდ, ასეთ მოსწავლეებს საკუთარ თავთან ლაპარაკისკენ მიდრეკილება აქვთ“.

ასეთი მოსწავლეები ხანდახან სმენით ინფორმაციას თანმიმდევრულად ინახავენ და ამ ინფორმაციის აღდგენაც თანმიმდევრულად უნდა მოხდეს. მასწავლებლები, რომლებიც თითქმის მთლიანად სმენით სწავლებას ეყრდნობიან, შესაძლოა პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ სხვა მოდალობების მოსწავლეებთან ექნებათ საქმე, გასაკუთრებით კი კინესთეტიკურებთან.

### **მეცნიერები გვთავაზობენ სმენით შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:**

- სმენით შემსწავლელები სახელებს უკეთესად იმახსოვრებენ, ვიდრე სახეებს;
  - მოუსვენრობას ავლენენ, თუკი საკლასო ოთახში დიდხანს უნევთ ჯდომა;
  - რეაგირებენ ფიზიკურ ნახალისებაზე, როგორცაა, მაგალითად, მხარზე ხელის გადასმა; • ურჩევ-ნიათ კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ ნაკითხვა.
- უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი გრძნობენ საკლასო ოთახის კომფორტულობის დონეს და ექცევიან ამ მახასიათებლის გავლენის ქვეშ; ადვილად ეფანტებათ ყურადღება ხმაურისაგან; კარგი მეზღაპრეები არიან; წერით სამუშაოს ამჯობინებენ ზეპირ გამოსვლას.

### **კინესთეტიკურად შემსწავლელები**

სპრენჯერი ამბობს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. აიღეთ ეს მოძრაობა და ხშირად გაიმეორეთ იგი. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“. სიმართლე რომ ვთქვათ, პე-დაგოგები, რომლებიც ლექციური ტიპის გაკვეთილებს ანიჭებენ უპირატესობას, დიდ სირთულეებს წააწყდებიან კინესთეტიკურად შემსწავლელებთან ურთიერთობისას. ამგვარ მოსწავლეებს მოძრაობა სჭირდებათ. მათ აგრეთვე სჭირდებათ სასწავლო მოდელები, რომლებსაც ისინი ხელში დაიჭერენ და შეეხებიან. ამგვარ მოსწავლეებს სჭირდებათ პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და პრაქტიკული სწავლა იმისათვის, რომ სასწავლო მასალა მათთვის გასაგები იყოს.

მკვლევარები გვთავაზობენ კინესთეტიკურად შემსწავლელთა შემდეგ დახასიათებას:

- უკეთესად იმახსოვრებენ, როდესაც თავად ქმნიან. ეს ურჩევნიათ ნახვას ან მოსმენას;
- პრობლემის გადაჭრისას ხშირად ირჩევენ ისეთ ხერხს, რომელიც მაღალ ფიზიკურ აქტიურობას საჭიროებს;
- არ უყვართ ისეთი პროცესი, რომელიც მხოლოდ ყურებას ითხოვს;
- უყვართ იმიტაციები, დრამატული ინსცენირებები და აქტივობები ღია ცის ქვეშ.

უნდა გვახსოვდეს, რომ მათ უყვართ მოდელები და ხშირად აგებენ მოდელებს დამოუკიდებელი პროექტებისათვის; თავიანთ ემოციებს გამოხატავენ „სხეულის ენით“.

მთავარია, სწავლებისას სხვადასხვაგვარ მეთოდებს მივმართოთ – ისეთ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ხედვის, სმენის და მოძრაობის გამოყენებას სასწავლო აქტივობებში.

როგორც ცნობილია, ყველა შემომავალ მონაცემს გონება უმკლავდება პერცეპტუალური რეგისტრატორის ან რეტიკულაციური აქტივაციის სისტემის (RAS) მეშვეობით. ეს მძლავრი სისტემა სწრაფად წყვეტს, ღირს თუ არა მისთვის ყურადღების მიქცევა. თუ სენსორულ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია სწრაფად არ იქნა კოდირებული, იგი დაიკარგება. რის კოდირებას ახდენენ მოსწავლეები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აქცევენ ყურადღებას. დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი გეგმავს აქტივობებს სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის, ქმნის ეფექტურ სასწავლო გარემოს, რითაც ეხმარება კლასში მყოფ სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, ისწავლონ. როდესაც მოსწავლეს სასწავლო მასალა მიეწოდება შესაბამის მოდალობაში, ხდება ინფორმაციის სწრაფად კოდირება და ის არ იკარგება.

### **საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმატში:**

1. სასწავლო მასალა და აქტივობები ყველა მოდალობის მოსწავლეზეა გათვლილი;
2. კლასში ჯგუფების ფორმირება ხდება სწავლის მოდალობის მიხედვით და თითოეული ჯგუფისთვის შექმნილია შესაბამისი სავარჯიშო.

პირველი ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე სწავლობს ყველა მოდალობით, მაგრამ დომინანტური ერთ-ერთი მოდალობაა და ამ ფორმატით სწავლების დროს მასალის მაქსიმალურ გააზრებას იმ აქტივობით მიაღწევს თითოეული მოსწავლე, რომელიც მოდალობაცაა მისთვის დომინანტური. ამიტომ ამ ფორმატით სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად ახერხებს მასწავლებელი აქტივობების დონეზე დიფერენციაციის თეორიის რეალიზებას.

მეორე ფორმატი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მთავარია, მოსწავლემ იმ მოდალობით ისწავლოს, რომელიც მისთვის დომინანტურია. ამ ფორმატით სწავლების ეფექტურობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:



1. რამდენად სწორად მოახერხა მასწავლებელმა ჯგუფების დაკომპლექტება შესაბამისი მოდალობის მიხედვით;

2. რამდენად სწორადაა ადაპტირებული სასწავლო აქტივობა კონკრეტული მოდალობის ფარგლებში.

პრაქტიკაში მეორე მოდალობა უფრო პოპულარულია, თუმცა განათლების სპეციალისტები მუდმივად აღნიშნავენ პირველი ფორმატის ეფექტურობას. ასაკობრივ განვითარებასთან ერთად შერეული მოდალობით სწავლების ხარისხი იზრდება, თუმცა დომინანტური მოდალობა ადამიანს ბოლომდე უნარჩუნდება. შესაძლოა, გაკვეთილის დაგეგმვა დაეყრდნოს იმ მოსაზრებას, რომ მოსწავლე ყველა მოდალობით სწავლობს, თუმცა თითოეული აქტივობის ფარგლებში გამოჩნდება, რომ ერთი მოდალობაა დომინანტური, ანუ დიფერენციაციის თეორია აქტივობების დონეზე რეალიზდება. მნიშვნელოვანია, დავსვათ შეკითხვა:

რა ხდება შემდეგ, ანუ რამდენად აქტუალურია დიფერენციაციის თეორია საკითხის ღრმა გააზრების, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების თვალსაზრისით; როგორ ახერხებს მოსწავლე ანალიზს, სინთეზს და შეფასებას – რამდენად დინამიკური და ტრანსფერულია შეძენილი ცოდნა? მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მიიღებენ და გადაამუშავენ ინფორმაციას, ის გონების ფილტრებში გაივლის. სწორედ გონება გადაწყვეტს, თუ რა უნდა მოუხერხდეს ამ ინფორმაციას. აზროვნების პროცესი განსაზღვრავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს, უკეთესად შეძლონ მასალის ღრმად გააზრება და ერთმანეთთან დაკავშირება. ამისთვის კი მასწავლებელს სხვადასხვა როლის შესრულება უნევს: 1. ზოგიერთი მოსწავლისათვის ის კოლეგა ხდება აღმოჩენების პროცესში. 2. ზოგიერთი მოსწავლისათვის მასწავლებელი მწვრთნელის როლს ასრულებს. 3. არიან მოსწავლეები, რომლებსთვისაც ის წამქეზებლის როლს ასრულებს. 4. მასწავლებელი ვალდებულია, შინაარსის გამოტანაში დაეხმაროს ზოგიერთ მოსწავლეს. მასწავლებლის სხვადასხვა როლი სასწავლო პროცესისადმი დიფერენცირებული მიდგომიდან გამომდინარეობს, რადგან დიფერენციაციის თეორია აღიარებს მოსწავლეებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს და თითოეული მოსწავლის უნიკალურობას.

## 10. საგანმანათლებლო რესურსები

საგანგებოდ ამ სახელმძღვანელოსათვის მომზადებული შემდეგი სახის საგანმანათლებლო რესურსები:

- ელექტრონული რესურსი (თვალსაჩინო მასალა თითოეული გაკვეთილისათვის);
- სახატავი პროგრამები;
- ხელოვნების შესახებ აუდიო/ვიდეო მასალა (ლინკები)

ეს რესურსები ატვირთული იქნება გამომცემლობის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მასწავლებლისათვის.

ზოგიერთი გაკვეთილის მსვლელობისას (მაგ., სიმეტრია და ასიმეტრია (მე-14 გაკვ.), სიმეტრიის ღერძი (15), გაკვეთილი ქართველი მხატვრები (16 და 39), დიდი ხელოვანები (10, 20, 50) სასურველია კომპიუტერისა და პროექტორის გამოყენება.

მასწავლებელს შეეძლება თითოეული გაკვეთილისათვის დამატებითი თვალსაჩინო მასალის გამოყენება საგანგებოდ IV კლასის სახელმძღვანელოსათვის შექმნილი ელექტრონული რესურსიდან, რომელიც გამომცემლობის ვებგვერდზე იქნება ატვირთული. გარდა ამისა, ვებ გვერდზევე იქნება მითითებული კომპიუტერული სახატავი პროგრამებისა და აუდიო და ვიდეო მასალის ლინკები. ამ მასალების გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების მიზნის წარმატებით განხორციელებას და შედეგების ეფექტურად მიღწევას.

## 11. მოსწავლის შეფასების პრინციპები

სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა და სწავლა/სწავლების ხარისხის მართვა მოსწავლის შეფასებით ხორციელდება. შეფასება უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი მეთოდით და დიდი ინტენსივობით, რაც მოსწავლის შესაძლებლობების შემდგომი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

სწავლა/სწავლების პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასებები.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლის თანდათანობით განვითარების პროცესს აკონტროლებს, აღნიშნავს მიღწეულ შედეგებსაც და ნაკლოვანებებსაც, ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ეს შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს დააკვირდეს მოსწავლის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას. ხარვეზის/ნაკლოვანების აღმოჩენის დროს მოსწავლე იმედოვნებს, რომ მასწავლებელი მიუთითებს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება უკეთესი შედეგის მისაღწევად, არ ფერხდება და არ უქრება სწავლის მოტივაცია. ახალი ცოდნის ათვისების პროცესში მასწავლებელი და მოსწავლე ერთად ცდილობენ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც შესაძლოა შემაფერხებელ როლს თამაშობდნენ და განსაზღვრავენ მათი გადალახვის ტაქტიკას. ამასთან, მოსწავლეს უყალიბდება თვითშეფასების უნარი, იზრდება მისი შეგნება და პასუხისმგებლობა. განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლეს საკუთარ მიღწევებთან მიმართებით, აჩვენებს მის წინსვლას და მომავალი განვითარების პერსპექტივებს.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს ისეთ ელემენტებს როგორცაა შეფასებისა და თვითშეფასების სქემები. შეფასება იყენებს მასწავლებლის კომენტარს და რჩევა-დარიგებას, დაკვირვებას; ეყრდნობა შეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებს. განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების დონეებს და ეტაპებს. ამდენად შეფასება მოსწავლის მიღწევებს დინამიკაში აფასებს.

განმავითარებელი შეფასების მიზანს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. მისი შეფასების საგანი სწავლის პროცესია, ხოლო შეფასების შედეგად შეიძლება მიღებულ იქნას განსხვავებული აქტივობის შეთავაზების, სწავლის სხვა სტრატეგიის შერჩევის, კონკრეტული რჩევის მიცემის გადაწყვეტილება. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს, მიღწეულია თუ არა კონკრეტული წინსვლა (მოსწავლის საკუთარ მიღწევებთან მიმართებით).

განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება სწავლის ხარისხის შესამოწმებლად და ადგენს ეროვნული სასწავლო გეგმით და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. განმსაზღვრელი შეფასება I-IV კლასებში ფასდება პირობითი ნიშნებით, V-VI კლასებში – ქულით.

სასწავლო პროცესში მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

- საშინაო დავალება
- საკლასო დავალება
- შემაჯამებელი დავალება

განმავითარებელი შეფასება გამოიყენება როგორც საკლასო, ისე საშინაო დავალებების შეფასებისას. ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება მხოლოდ შემაჯამებელი კომპონენტის შეფასებისას. თავის მხრივ, შემაჯამებელი დავალება თავს უყრის და აფასებს მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) ერთი სტრუქტურული ელემენტის (თავის) შესწავლის შემდეგ მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს ანუ სტანდარტით განსაზღვრულ ნორმასთან მიმართებით შექნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობის დონეს.

შემაჯამებელ დავალებებს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა, დავალების ტიპის გათვალისწინებით ანუ თეორიული და პრაქტიკული ნაშრომის შეფასება.

შემაჯამებელი დავალებების შესრულება აუცილებელია ყველა მოსწავლისათვის. დადებითი ან უარყოფითი შემაჯამებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სასურველია, მასწავლებელმა გააკეთოს წერილობითი კომენტარი, რაც, ერთ შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის სანინდარი გახდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოტივაციას აუმაღლებს მოსწავლეს.

## შეფასების კომპონენტები

### საკლასო დავალება

#### 1. პრაქტიკული სამუშაო, რომელიც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- სახვითი და გამოყენებითი ელემენტების და პრინციპების, ტექნიკის და მასალის ფლობა

- შემოქმედებითი მიდგომა, ორიგინალური გადაწყვეტილების მიღება
- ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალა/აღჭურვილობა, სისტემურობა)
- ჯგუფური მუშაობის უნარი, თანამშრომლობა

## 2. საკუთარი და სხვისი ნამუშევრის განხილვაში მონაწილეობა

### 3. ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი/განხილვა, რაც ფასდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- განხილვაში აქტიური მონაწილეობა
- აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება

### 4. საკუთარი და სხვების ნამუშევრების წარდგენა, რაც ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათქმელის ნათლად გადმოცემა; კონტაქტი აუდიტორიასთან
- თვალსაჩინოების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება
- კითხვებზე შესაბამისი პასუხის გაცემა

## საშინაო დავალება:

- პრაქტიკული სამუშაო
- ინფორმაციის და ვიზუალური მასალის მოძიება
- რეფერატი, ესსე

## შემაჯამებელი დავალებები:

- მასშტაბური პრაქტიკული ნამუშევარი
- გამოფენა
- ტესტირება/კროსგორდი
- მოხსენება/რეფერატი (მხატვრული ნაწარმოების, შემოქმედის, ეპოქის შესახებ).

## სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები

მოსწავლე უნდა შეფასდეს შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- ა) მიმდინარე საკლასო დავალება;
- ბ) საშინაო დავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება (ტესტირება და პრაქტიკული სამუშაო);

თითოეული საგნის სწავლებისას, სკოლა კათედრების მეშვეობით ადგენს მინიმუმ სამ კომპონენტს პირველი ხუთიდან, რომელსაც ანიჭებს პროცენტულ წონებს 90%-ის ფარგლებში. დანარჩენი 10%-ის განაწილება ხდება მასწავლებლის მიერ უკვე მოსწავლეებთან შეთანხმებით. პირველად მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს კათედრის მიერ შემუშავებულ კომპონენტებს და უხსნიან, თუ რას მოელიან თითოეული კომპონენტის შეფასებისას. ამის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად ეძებენ იმ კრიტერიუმს, რომელიც, მათი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ დამატებით ათი პროცენტის ფარგლებში ყოფილიყო გამოყენებული. მასწავლებელი შესაძლებელია ეხმარებოდეს მოსწავლეებს ამ კომპონენტის გააზრებაში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თვითონ გადაწყვიტონ ამ კომპონენტის რაობა და შეფასების დონეები.

## შეფასების სისტემა

ვინაიდან დაწყებით კლასებში ნიშნები არ იწერება, ბუნებრივია, რომ მოსწავლეთა შეფასება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. გთავაზობთ მიმდინარე შეფასების სისტემას ცხრილის სახით, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს გაუადვილდება მოსწავლის განვითარებაზე დაკვირვება და სასწავლო პროცესის კორექცია, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალობის გათვალისწინება, მასთან სწორი პედაგოგიური ტაქტიკის შემუშავება. შემოთავაზებული სისტემა, ასევე, გაუადვილებს მასწავლებლებს სასწავლო წლის ბოლოს თითოეული მოსწავლის სრულყოფილად დახასიათებას.

შემოთავაზებული ცხრილი შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალებები. მასწავლებელი ასეთ ცხრილს თითოეული მოსწავლისათვის ადგენს

და ყოველ გაკვეთილზე ინიშნავს მის აქტივობას თითოეული კომპონენტის მიხედვით. დაწყებითი კლასებისათვის გამართლებულია ამ მიზნით პირობითი ნიშნების შემოღება. მაგ., საუკეთესო ++, საშუალო +, სუსტი -, ძალიან სუსტი - 0.

თუ მოსწავლეს მთელი სემესტრის განმავლობაში ამ ცხრილში ძირითადად პლიუსები (++, +) დაუგროვდა, ეს ნიშნავს, რომ იგი ყველა კომპონენტს აკმაყოფილებდა მთელი სემესტრის განმავლობაში და იგი წარმატებულ მოსწავლედ შეიძლება ჩაითვალოს; დახასიათებაში კი დაინეროს, რომ ამ საგანში მოსწავლემ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. იგი მთელი სემესტრის განმავლობაში იჩინდა გულმოდგინებას, აქტიურად იყო ჩართული სასწავლო პროცესში, ორგანიზებული იყო და მოდიოდა საჭირო აღჭურვილობით, გულისყურით მუშაობდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კითხვა-პასუხში; გუნდური მუშაობის დროს წარმატებით თანამშრომლობდა თანაკლასელებთან; პრეზენტაციის დროს ნათლად და არგუმენტირებულად წარმოაჩინდა საკუთარ ნამუშევარს. სასურველია, დახასიათების ბოლოს რამდენიმე წამახალისებელი სიტყვაც დაინეროს მომავალში მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად.

თუ მოსწავლეს მთელი სემესტრის განმავლობაში ცხრილში დაუგროვდა უფრო მეტი მინუსები (-, -), ამ შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს ცხრილს და განსაზღვროს, რომელ კომპონენტში აქვს მეტი მინუსი მოსწავლეს, ანუ სად აქვს მას პრობლემა. ამის მიხედვით მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს ამ მოსწავლესთან მოქმედების გარკვეული ტაქტიკა (როგორ მიუდგეს მოსწავლეს აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად). თუ მოსწავლემ ეს ხარვეზები გამოასწორა, მასწავლებელმა საბოლოო დახასიათებაში იგი აუცილებლად უნდა შეაქოს წახალისების მიზნით. თუ ხარვეზები არ გამოსწორდა, მასწავლებელმა ობიექტურად უნდა მიუთითოს მოსწავლეს მათზე და გამოთქვას სურვილი და იმედი, მომავალში მათი აღმოფხვრის თაობაზე.

**მიმდინარე შეფასების ცხრილი**

|                         | კომპონენტი            | 1.09   | 4.09   | 8.09   | 12.09  | 16.09  | 20.09  | 22.09  | 25.09  | 28.09  | 31.09   | 4.10    | 8.10    | 11.10   | 15.10   |
|-------------------------|-----------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|---------|---------|---------|---------|---------|
|                         |                       | გაკვ-1 | გაკვ-2 | გაკვ-3 | გაკვ-4 | გაკვ-5 | გაკვ-6 | გაკვ-7 | გაკვ-8 | გაკვ-9 | გაკვ-10 | გაკვ-11 | გაკვ-12 | გაკვ-13 | გაკვ-14 |
| ბავშვის სახელი და გვარი | საკლასო დავალება      | +      | ++     | ++     | +      | ++     | ++     | +      | -      | +      | ++      | ++      | +       | ++      | ++      |
|                         | საშინაო დავალება      |        | +      |        | -      | +      |        | +      | +      | +      |         | +       | +       | +       |         |
|                         | შემაჯამებელი დავალება |        |        |        |        |        | ++     |        |        |        |         | +       |         |         |         |

მიმდინარე შეფასების ეს ცხრილი დაეხმარება პედაგოგს, რათა მოსწავლეს მის საფუძველზე მისცეს რეკომენდაცია ხარვეზების დასაძლევად. დაკვირვების ჩანაწერები მოიცავს მუდმივ შენიშვნებს მოსწავლის წინსვლის შესახებ. ასეთი ტიპის ჩანაწერების წარმოება მიმდინარე შეფასების ნაწილს წარმოადგენს. გათვალისწინებულია რეკომენდაციის სავარაუდო ნიმუშს.

**რეკომენდაცია**  
**(ბავშვის სახელი და გვარი)**  
 შეეცადე უფრო ყურადღებით იყო გაკვეთილზე.  
 ისწავლე მე-8 გაკვეთილი.  
 მეტი გასაქანი მიეცი საკუთარ ფანტაზიას. შენ ეს შეგიძლია.

სემესტრისა და წლის ბოლოს მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლეს უნდა დაუწეროს შემაჯამებელი კომენტარი ტექსტის სახით, სადაც დაახასიათებს მოსწავლის წარმატებებს და მისცემს რჩევებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენისათვის. აქ მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ფრთხილად მოვეკიდოთ მოსწავლის პრობლემებს და შევთავაზოთ გაუმჯობესების გზები.

შეფასების ფორმები და ხერხები უნდა მიესადაგებოდეს საგნობრივ სტანდარტს. მასწავლებლის მიერ გამოყენებული შეფასების სხვადასხვა ხერხი გამომდინარეობს სასწავლო მიზნიდან.



შეფასების ფორმებისა და ხერხების შერჩევასა უნდა განისაზღვროს:

1. რა ცოდნის შექმნას და რა უნარ-ჩვევების განვითარებას ითვალისწინებს სასწავლო მიზანი, რითაც დადგინდება თუ რა უნდა შეფასდეს;

2. შეფასების რომელ ხერხს გამოიყენებს მასწავლებელი, ანუ რომელი აქტივობით შეაფასებს მოსწავლის ცოდნასა და უნარ-ჩვევას;

შეფასების ფართოდ გამოყენებული ხერხებია: დაკვირვების ჩანაწერები, მიღებული შედეგების ანალიზი, კითხვა-პასუხი, ტესტები, კროსვორდი, პორტფოლიო (მოსწავლის სხვადასხვა სახის ნამუშევრებით შედგენილი საქალაქი), გამოფენა, განმავითარებელი კომენტარი.

## **რას ითვალისწინებს თითოეული კომპონენტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში**

### **ა) საშინაო დავალებები**

შეიძლება შეფასდეს შემდეგი დავალებების მიხედვით:

მასალის მოძიება, რეფერატი, პრაქტიკული სამუშაო

### **ბ) მიმდინარე საკლასო დავალებები**

მოიცავს შემდეგი ტიპის აქტივობებს:

1. კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ან ნამუშევრის შექმნა გარკვეულ თემაზე, რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ორგანიზებულობა (სისტემურობა, დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო მასალის, აღჭურვილობის ქონა) ტექნიკის, მასალის ფლობა

შემოქმედებითობა (გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი ხელნერის, ხედვის, დემონსტრირება)

თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს

2. საკუთარი და სხვისი ნამუშევრების განხილვაში მონაწილეობა;

- აქტიური მონაწილეობა
- საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა
- სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება

4. საკუთარი და სხვების ნამუშევრების პრეზენტაცია (აუდიტორიისთვის წარდგენა), რაც შეიძლება შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, აუდიტორიასთან კონტაქტი
- თვალსაჩინოებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენება
- კითხვებზე შესაბამისი პასუხის გაცემა

### **გ) შემაჯამებელი დავალებები**

შეიძლება შეფასდეს შემდეგი აქტივობებით:

ტესტირება, გამოფენა, პრაქტიკული სამუშაო, პროექტები

გთავაზობთ მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებელი რუბრიკის ნიმუშს, ვინაიდან IV კლასში მოსწავლე ქულებით არ ფასდება, შესაძლებელია, ჩვენ მიერ მოცემული შეფასების კრიტერიუმების დაკმაყოფილების დონე განისაზღვროს პირობითი ნიშნებით. მაგალითად, თითოეული კრიტერიუმისათვის განისაზღვროს მაქსიმალური შეფასება სამი პლიუსის (+++) სახით. კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია თუ მოსწავლის პრაქტიკული ნამუშევარი ფასდება მინიმუმ ერთი პლუსით. მასწავლებელს შეუძლია თავად შეიმუშავოს პრაქტიკული ნამუშევრის შეფასების სხვა კრიტერიუმები და იხელმძღვანელოს მათი დაკმაყოფილების დონის განსაზღვრის ამავე წესით.



## რუბრიკების ნიმუშები

| პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება |  |  |  |  |
|---|--|--|--|--|
| თარიღი: _____                             |  | სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა: _____                                       |  |  |
| მოსწავლე                                  | შეფასების კრიტერიუმი   |  |  |  |
|   | ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა) | მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა          | შემოქმედებითობა (რამდენად ეფექტურად იყენებს ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ჩანაფიქრის გადმოსაცემად) | თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს              |
| 1.  |  |  |  |  |
| 2.  |  |  |  |  |
| 3.  |  |  |  |  |
| 4.  |  |  |  |  |
| 5.  |  |  |  |  |
| თეორიული სამუშაოს შეფასება                |  |  |  |  |
| თარიღი: _____                             |  | სამუშაოს სახეობა (რეფერატი, ესე, მოხსენება...): _____                      |  |  |
| მოსწავლე                                  | შეფასების კრიტერიუმი   |  |  |  |
|   | ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა) | ინფორმაციის და-მოუკიდებლად მოძიების უნარი, ინფორმაციის მოცულობა და სიზუსტე | მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიცირების და ანალიზის უნარი, დასკვნის გაკეთების უნარი  | საპრეზენტაციო უნარები, კომუნიკაცია აუდიტორიასთან |
| 1.  |  |  |  |  |
| 2.  |  |  |  |  |
| 3.  |  |  |  |  |
| 4.  |  |  |  |  |
| 5.  |  |  |  |  |

## პრაქტიკული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები – 1

მოსწავლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

| ორგანიზებულობა საჭირო რესურსის/მასალის ქონა | მასალის, ტექნიკის ფლობა | ტექნიკისა და მასალის შემოქმედებითად გამოყენების უნარი | თანამშრომლობის უნარი |
|---|-------------------------|---|----------------------|
|   |                         |   |                      |

## პრაქტიკული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები – 2

მოსწავლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

მასალა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

| კომპოზიცია   | ფორმა/მოცულობა  | ფერი  | ფაქტურა   | სივრცე  |
|--|---|---|---|---|
| რამდენად ახერხებს დასახვატი ობიექტების სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციურ განაწილებას (კომპოზიციური ბალანსის დაცვას და ა.შ.) და ურთიერთთანაფარდობის გადმოცემას | რამდენად იცავს საგნის პროპორციებს და რამდენად ახერხებს მათი მოცულობის გადმოცემას შუქ-ჩრდილის საშუალებით | რამდენად შეესატყვისება ფერთა გამა დასახვატი ობიექტებს, ან რამდენად შემოქმედებითად არის გადაწყვეტილი ფერის ამოცანა ნამუშევარში | რამდენად ახერხებს დასახვატი ობიექტების (საგნების, დრაპირების (ქსოვილის) ფაქტურის გადმოცემას | რამდენად ახერხებს სივრცის ეფექტის შექმნას (წინა პლანი, შუა პლანი, უკანა პლანი (ფონი)) |

# საპრეზენტაციო უნარების შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლის სახელი, გვარი \_\_\_\_\_

|   |   |   |
|---|---|---|
| საკუთარი ნამუშევრის შესახებ საუბრისას აღწერს ეტაპებს, გამოყოფს ძირითადს | შეუძლია სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა | შეუძლია კითხვებზე შესაბამისი პასუხის გაცემა |
|---|---|---|

## მოსწავლის თვითშეფასება

| შენი ნამუშევარი:                              |  |
|---|--|
| ორგინალურია?                                  |  |
| უნიკალურია?                                   |  |
| დეტალურია?                                    |  |
| საინტერესოა?                                  |  |
| შენი საკუთარი იდეაა?                          |  |
| შენი ნამუშევარი ფერადოვანია?                  |  |
| იდეის/დავალების შესაბამისია?                  |  |
| დარწმუნებული ხარ რომ ნამუშევარი დასრულებულია? |  |
|   |  |

## მოსწავლის განვითარების შეფასების რუბრიკები (მ.ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი -----

მოსწავლე -----

დახასიათება -----

| ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება   | კარგი                                    | საშუალო | საჭიროებს გაუმჯობესებას |
|--|--|---------|-------------------------|
| <ul style="list-style-type: none"> <li>შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს?</li> <li>ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა?</li> <li>ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი?</li> <li>ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?</li> </ul> | შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები |         |                         |
| <ul style="list-style-type: none"> <li>რამდენად ინოვაციური, ორგინალურია ნამუშევარი?</li> <li>წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?</li> </ul>  |  |         |                         |
| <ul style="list-style-type: none"> <li>დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/პრობლემა?</li> <li>თუ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება განსხვავებულადაა აქვს გადანწყვეტილი, ჰონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?</li> </ul>                            |  |         |                         |
| <ul style="list-style-type: none"> <li>ნამუშევრის სტილი შესაბამისად და გააზრებულადაა შესრულებული და ოსტატურადაა შესრულებული</li> </ul>   |  |         |                         |

## ძირითადი მოსაზრებები განმავითარებელი შეფასების შესახებ

განათლების სპეციალისტებმა განმავითარებელი შეფასების არაერთი განმარტება შემოგვთავაზეს მას შემდეგ, რაც პირველად გამოიყენეს ეს ტერმინი. თუ ამ დეფინიციებს შევაჯამებთ, დაახლოებით

ასეთ განმარტებას ჩამოვაყალიბებთ: განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობით, სწავლების სტრატეგიითა თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონეზე და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად. იმ საშუალებებს, რითაც მსგავს ინფორმაციას ვაგროვებთ, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს ვუნოდებთ.

ნებისმიერი აქტივობა თუ სწავლების სტრატეგია შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თუკი იგი ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთ და რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათელი წარმოდგენა შეიქმნან, თუ რა გზით უნდა წავიდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად. მეორე მხრივ, ერთი და იგივე აქტივობა ან სტრატეგია ზოგჯერ შეიძლება ემსახუროდეს განმავითარებელი შეფასების პროცესს და ზოგჯერ – არა. მაგალითად, კითხვების დასმა

ცნობილია, როგორც განმავითარებელი შეფასების მძლავრი ინსტრუმენტი. თუმცა ზოგ შემთხვევაში კითხვების დასმა ქმნის განმავითარებელი შეფასების საფუძველს, ზოგ შემთხვევაში კი – არა. ეს იმაზე დამოკიდებულია, რამდენად გვაძლევს საშუალებას კითხვები, გავიგოთ მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონე (იხ. მაგალითი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ქვეთავში).

მსგავსი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტიც (მაგ., ტესტი) ზოგ შემთხვევაში შეიძლება იქცეს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად. მაგალითად, თუ ტესტში ქულებს კი არ დავწერთ, არამედ მოსწავლეებს დავყოფთ მცირე ჯგუფებად და ვთხოვთ, პასუხები შეადარონ წყვილებში, შეარჩიონ პასუხი, რომელიც, მათი აზრით, უფრო შესაბამისია და ახსნან, რატომ ჩათვალეს ასე – ეს აქტივობა უკვე შეიძლება ჩაითვალოს განმავითარებელი შეფასების პროცესად. ამ პროცესის საფუძვლად სწორედ განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი იქცა.

როგორ ეხმარება განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს? განმავითარებელი შეფასება მას აძლევს საშუალებას, შეამოწმოს მოსწავლეების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის მიღწევებზე; იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

ძირითადი განსხვავება განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს შორის ისაა, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს. ეს არის ინტერვენცია რეალურ დროში, რაც გვცემარება, დროულად აღმოვაჩინოთ მოსწავლის სუსტი მხარეები და მიმართულება მივცეთ მას, სანამ ცოდნას ნიშნით/ქულით შევაფასებთ.

შესაბამისად, ასეთი შეფასება არ გამოიხატება ნიშნით/ქულით, მაშინ როცა განმსაზღვრელი შეფასება უკვე კონკრეტული მასალის ათვისებას/უნარების განვითარებას აფასებს სკალის გამოყენებით და ნიშნით/ქულით გამოიხატება.

არასწორი შეხედულებები განმავითარებელი შეფასების შესახებ

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე არასწორ შეხედულებას განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით.

### **1. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლისგან დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს**

სინამდვილეში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები სულაც არ მოითხოვს ბევრ დროს. მაგალითად, მასწავლებლები ისედაც უსვამენ კითხვებს მოსწავლეებს და შეიძლება ეს კითხვები ისე დავსვათ, რომ მათ განმავითარებელი ფუნქცია შეიძინონ.

### **2. განმავითარებელი შეფასება არის მასწავლებლის კომენტარი**

კომენტარი, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი, არის განმავითარებელი შეფასების მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

### **3. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის შექება**

თუკი მოსწავლეს ვეტყვით: „ყოჩაღ“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და ზუსტად არ განვუმარტავთ, რა გააკეთა კარგად, მაშინ შექება ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

#### 4. კლასის წინაშე დასმული კითხვა „გასაგებია?“ არის განმავითარებელი შეფასება

კითხვები განმავითარებელი შეფასების კარგი ინსტრუმენტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაღალი დონის სააზროვნო უნარებზეა გათვლილი. შესაბამისად, კლასის წინაშე დასმული ისეთი კითხვები, როგორცაა „გაიგეთ?“ ან „არის რამე, რაც ვერ გაიგეთ?“ არ არის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი.

### განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები

ის, თუ რა გამოდგება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად, თავადაც შეგიძლიათ მოიფიქროთ. არსებობს უამრავი ინსტრუმენტი, რომლებიც მასწავლებლებმა შემოგვთავაზეს – გამოსცადეს და გაუზიარეს უამრავ სხვა მასწავლებელს. რაც შეეხება უკვე გამოცდილ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, მათ შორისაა ერთნუთიანი ესე, შემაჯამებელი ბარათები, თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება, „შუქნიშანი“ და ა. შ. გთავაზობთ რამდენიმე საკმაოდ ცნობილ ინსტრუმენტს, რომლებსაც დღეს უამრავი მასწავლებელი იყენებს.

#### შემაჯამებელი ბარათები

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პატარა ფურცლებს – „შემაჯამებელ ბარათებს“, სთხოვს, ანონიმურად უპასუხოთ ერთ ან ორ შეკითხვას და დატოვონ მაგიდაზე. ბარათებს რომელიმე მოსწავლე აგროვებს.

კითხვები შეიძლება იყოს ქვემოთ მოცემულის მსგავსი, ან სულაც თქვენ მიერ შერჩეული.

• დანერეთ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც დღეს პირველად გაიგეთ. რატომ არის ეს საკითხები ყველაზე მნიშვნელოვანი?

• რა ვისწავლე დღეს?

• როგორ გამოვიყენებ ამ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში?

• რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი და რატომ?

შემაჯამებელი ბარათები გამოგადგებათ, გაარკვიოთ, თუ რა უჭირთ მოსწავლეებს, როგორ წარიმართა თქვენი გაკვეთილი, მიაღწიეთ თუ არა მიზნებს. მომდევნო გაკვეთილზე აუცილებლად გააკეთეთ წინა გაკვეთილის მცირე შეჯამება და ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა აღნიშნეს ბარათებში. იმის მიხედვით, თუ რომელ კლასში შეგაქვთ შემაჯამებელი ბარათები, პასუხები შესაძლოა განსხვავდებოდეს. ზოგჯერ მოსწავლეები შეიძლება ზერელედ მოეკიდონ ბარათების შევსებას, თუმცა თუ მათ დაანახებთ, რა შედეგი მოჰყვება პასუხების გაცემას, მათი დამოკიდებულებაც შეიცვლება.

### კითხვების დასმა

კითხვების დასმა განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, თუმცა საგულისხმოა ის, რომ ნებისმიერი კითხვა ვერ ემსახურება განმავითარებელ შეფასებას. თუ კითხვა მაღალი დონის სააზროვნო უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს, მასწავლებელი ვერ იგებს, რამდენად გაიაზრა მოსწავლემ ახალი მასალა. მაგალითად, კითხვა – „რომელ წელს შეიქმნა რომელიმე კონკრეტული ნაწარმოები?. თუმცა შემდეგი კითხვა – „რომელი მხატვრული ხერხებია გამოყენებული საზეიმო განწყობის, სასიხარულო ემოციების გადმოსაცემად: ნათელი მკვეთრი ფერები თუ პირქუში, მუქი ფერთა გამა? „შეიძლება გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების მიზნით. როცა მოსწავლეებმა ფერის გამოყენების პრინციპები იციან, ასეთი კითხვა ნამდვილად დაგვანახებს, რამდენად ღრმად აქვთ გააზრებული საკითხი.

აუხსენი შენზე პატარას/აუხსენი ბებიას

მოსწავლეებს სთხოვეთ, აუხსნან უმცროს მეგობარს (წარმოსახვით, ან წარმოიდგინონ, რომ ეს უმცროსი მეგობარი გვერდით მჯდომი მოსწავლეა) ახალი ცნება ან მასალა უფრო მარტივად, ვიდრე მასწავლებელმა აუხსნა მათ. განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ წარმოსახვითი მეგობარი, მათ შორის არსებული ასაკობრივი სხვაობის გამო, შესაძლოა ბევრად უფრო ნაკლებ ცოდნას ფლობდეს. ამი-

ტომ მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ შეძლონ მოცემული ცნების ახსნა ბევრად უფრო მარტივი ენით, ვიდრე ეს გააკეთა მასწავლებელმა. დააკვირდით, როგორ ხსნიან მოსწავლეები ახალ ცნებებს, რათა გაიგოთ, რამდენად ღრმად გაიგეს/გაიაზრეს საკითხი. თუ გადაწყვეტთ, რომ ამით მოსწავლეთა ბებიებს შეურაცხყოფას არ მიაყენებთ, შეგიძლიათ ეს აქტივობა ასე გადააკეთოთ: „აუხსენით ბებიას“.

### **თანატოლთა შეფასება**

არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ თანატოლთა შეფასება შესანიშნავი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი და მასწავლებლისგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს. სთხოვეთ მოსწავლეებს, გადახედონ ერთმანეთის საშინაო დავალებებს და არასწორ პასუხებს დაურთონ კომენტარები (და არა ქულები. თუ მაინც გადაწყვეტთ ქულების გამოყენებას, მათ აუცილებლად უნდა ახლდეს კომენტარები). კომენტარი უნდა აღწერდეს არა მარტო იმას, თუ რა არის არასწორი, არამედ ნაშრომის გაუმჯობესების გზებსაც. ეს სტრატეგია მასწავლებელს უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ რამდენად კარგად გაიგეს მასალა მოსწავლეებმა.

### **ტექნოლოგიები და განმავითარებელი შეფასება**

ასევე შეგიძლიათ სცადოთ შემდეგი აქტივობა, რომელიც მოსწავლეების მიერ ტექნოლოგიების გამოყენებას წაახალისებს და თან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტადაც გამოდგება: დაავალეთ მოსწავლეებს, გააკეთონ რეკლამა ახლად შესწავლილ ცნებასთან დაკავშირებით. მათ უნდა მოიფიქრონ ტექსტი და შესაბამისი ვიზუალიზაცია ახალ მასალაში გამოყენებული ცნებების გასაგებად. ეს აქტივობა დაგეხმარებათ, მეტი გაიგოთ იმის თაობაზე, თუ რა და როგორ გაიგეს მოსწავლეებმა.

### **კომენტარი/უკუკავშირი**

კომენტარი/უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ინსტრუმენტი. მკვლევარებმა 600-ზე მეტი კვლევის საფუძველზე დაასკვნეს, რომ არსებობს ნაშაღისებელი უკუკავშირი და უკუკავშირი, რომელიც უარყოფითად მუშაობს – ნაშაღისების ნაცვლად გულს უცრუებს სწავლაზე მოსწავლეს და აუარესებს აკადემიურ შედეგებს. მსგავსად ფორმულირებულმა უკუკავშირმაც კი შეიძლება სხვადასხვაგვარად იმუშაოს მოსწავლეზე, რომელიც წარმატებაზე ორიენტირებულია (მისთვის უკუკავშირი მნიშვნელოვანია, რათა გააუმჯობესოს მოსწავლეობა) და მოსწავლეზე, რომელიც ყველა გზით ცდილობს, თავი აარიდოს წარუმატებლობას. ამიტომ მასწავლებელმა უნდა ეცადოს, ისე მიანოდოს უკუკავშირი ცუდი შედეგის მქონე მოსწავლეს, რომ ეს შედეგი არ იქნას ინტერპრეტირებული, როგორც წარუმატებლობა. მეორე მხრივ, მასწავლებელმა უნდა დაანახოს მოსწავლეებს, რომ ძალისხმევა და გაუმჯობესებული შედეგი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი.

### **დაკვირვება, როგორც განმავითარებელი შეფასება**

დაკვირვება ასევე ითვლება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტად. ამ დროს მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს დაკვირვების რამდენიმე ობიექტი, ან დააკვირდეს მთელ კლასს, მაგრამ აირჩიოს კონკრეტული თემა (მაგ., კომუნიკაცია). მასწავლებელს შეუძლია მთელი კლასის წინაშე გააკეთოს კომენტარები, ან ინდივიდუალურად გაესაუბროს მოსწავლეებს, შეაჯამოს დაკვირვების შედეგები და გამოიყენოს სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რას ვერ იგებს ის) იპოვიან გზებს, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ვერ ერთი ინსტრუმენტის გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუკი საბოლოო შედეგი არ იქნება საკითხის/ცნების ღრმად გაგება/გააზრება თუ უნარის ათვისება.

როგორც აღვნიშნეთ, თავად შეგიძლიათ შექმნათ/შემოგვთავაზოთ განმავითარებელი შეფასების აქტივობები, გამოსცადოთ, თუ როგორ მუშაობს ეს კლასში და გაუზიაროთ სხვა მასწავლებლებს. ეს იქნება შესანიშნავი შესაძლებლობა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის.



# 12. აქტივობების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

## გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

### 1. მოტივაცია

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა შესატყვისი გარემოს შექმნა, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსების მოფიქრება და მომზადება.

რესურსები შესაძლებელია შეირჩეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საჭიროება
- ხელმისაწვდომობა
- შენახვის უზრუნველყოფა
- დახმარება

რესურსის შექმნამდე მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს:

• რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას;

• რა არის მის მიერ მოფიქრებულ რესურსში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების საფუძველზე სწავლას (სწავლა კეთებით);

• შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას;

საგანმანათლებლო რესურსები სხვადასხვა გზით შეიძლება შეიქმნას:

• ხელმისაწვდომი და სკოლაში არსებული რესურსების მოძიება და გამოყენება;

• საგანმანათლებლო რესურსები შესაძლებელია თავად მასწავლებელმა შექმნას. რესურსების შექმნისას შესაძლებელი და სასურველია თანამშრომლობა სასწავლო რესურსების გაცვლის გზით როგორც სხვა საგნების პედაგოგებთან ერთი სკოლის ფარგლებში, ასევე, სხვა სკოლებთანაც.

• რესურსი, ასევე, შეიძლება შეიქმნას მოსწავლეების მიერ და ეს იქცეს სასწავლო პროცესის ნაწილად. მოსწავლეთა ჩართვა სასწავლო რესურსების შექმნის საქმეში სხვადასხვაგვარად შეიძლება.

**რეკომენდაცია:** შეიძლება, მასწავლებელმა დაავალოს მოსწავლეებს ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული ბუნებრივი მასალის შეგროვება.

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს შექმნას საკუთარი პორტფოლიო, რომელშიც შევა მის მიერ შესრულებული ყველა პრაქტიკული დავალება და საშინაო დავალებები.

### 2. მასწავლებლის მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაო

მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი ძირითადი საკითხიდან გამომდინარე. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს წინარე ცოდნა. ასევე, მასწავლებელმა უნდა გაიაზროს შედეგი, რომლის მიღწევასაც აპირებს (იხ. შინაარსისა და მიზნების რუკა). ამის მიხედვით მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს რესურსები, დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს აქტივობებისათვის საჭირო დრო.

### 3. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში ნათლად განსაზღვრავს და აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს და უსახავს კონკრეტულ ამოცანას.

### 4. ძირითადი და დამხმარე სასწავლო მასალა

საკითხის დასმისა და ამოცანის განსაზღვრის შემდგომ მასწავლებელი გადადის კონკრეტულ მასალაზე. შესაძლებელია, გაკვეთილი პირდაპირ აქტივობით დაიწყოს. ამ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილის ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსახილველი თემის შესაბამის ილუსტრაციასაც. მისი გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სვამს ინტერაქტივის კითხვებს, რითიც უბიძგებს მოსწავლეებს გამოთქვან სურათიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილება, აღწერონ სურათი, გააანალიზონ იგი, იმსჯელონ და საკუთარი აზრი გამოთქვან მის შესახებ. დამხმარე სას-

წავლო მასალად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოს ვებ-გვერდზე მოცემული სხვადასხვა სახის ელ. რესურსი.

## 5. დამოუკიდებელი სამუშაო

თითქმის ყველა თემა შეიცავს პრაქტიკულ სამუშაოს, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, წყვილებში ან ჯგუფურად ასრულებს გაკვეთილის მსვლელობისას; დამოუკიდებელი სამუშაო სრულდება ან სახატავ რეველში ან სახელმძღვანელოს თანმხლებ მოსწავლის სამუშაო რეველში.

ამის შედეგად მასწავლებელს საშუალება ეძლევა, შეამოწმოს, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა და როგორ გამოიყენეს ეს ცოდნა პრაქტიკულად. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი თანაბარი ვერ იქნება, მაგრამ თუ მოსწავლე ახერხებს გაკვეთილზე შექმნილი ცოდნის რაიმე სახით დემონსტრირებას, თუნდაც სიტყვიერი კომენტარით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია.

## 6. სავარჯიშოები

ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოცემულია შეკითხვები, რომლებიც მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის მსვლელობისას დასვას და ამით გაააქტიუროს მოსწავლეები და შეამოწმოს ახალი მასალის ათვისების ხარისხი.

## 7. დამავირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაო

ყოველი თემატურ ბლოკს აგვირგვინებს შემაჯამებელი გაკვეთილი, რომელიც ორი ტიპის დავალებას – პრაქტიკულს და ტესტურს მოიცავს, მათი საშუალებით მოწმდება როგორც მასალის ათვისების, ასევე, შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების ხარისხი.

მასწავლებლის წიგნში თითქმის ყველა გაკვეთილის სცენარია, თუმცა, შევნიშნავთ, რომ ჩვენ მხოლოდ სავარაუდო სცენარებს გთავაზობთ, თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად, საკუთარი შეხედულების მიხედვით დაგეგმოთ ნებისმიერი გაკვეთილი.

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და თითოეული გაკვეთილის თავისებურებებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას. მასწავლებლის წიგნში ზოგიერთ სავარაუდო სცენარში წარმოდგენილია საშინაო დავალება და ინსტრუქცია, რომელსაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს. ბუნებრივია, მასწავლებელს საკუთარი შეხედულებებისამებრ შეუძლია ზოგიერთ გაკვეთილში დაამატოს საშინაო დავალება.

# 13. მოსწავლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

მოსწავლის წიგნის (სახელმძღვანელოს) სტრუქტურის ძირითადი ელემენტია თავი, რომელიც ცალკეული გაკვეთილებისგან შედგება. თითოეულ თავში გაერთიანებული გაკვეთილის თემები მიზნად ისახავს როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და ელემენტების შესწავლას, ასევე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეული თეორიული ცოდნის ათვისებას. გაკვეთილების ანუ ცალკეული თემების მონაცვლეობა გულისხმობს გავლილი მასალის ათვისების ხარისხის დიაგნოსტიკას, რაც ახალი ცოდნის და უნარების განვითარების წინაპირობას შეადგენს. გაკვეთილის აგების პრინციპი ამ ასაკის მოსწავლისათვის ბუნებრივი ცნობისმოყვარების გაღვივებას, უკვე არსებულ გამოცდილებაზე ახალი ცოდნის დაშენების პრინციპს ეფუძნება, რაც მოსწავლისათვის სწავლის მოტივაციის შექმნის საუკეთესო საშუალებაა. გაკვეთილის მსვლელობისას ხდება მასალის ათვისების სისტემატიური შემოწმება/შეფასება (საჭიროების შემთხვევაში, ხდება შედეგის კორექცია, რაც სავარაუდო სცენარებშია ასახული); ყოველი თავის ბოლოს შემაჯამებელი გაკვეთილის მეშვეობით ხდება მთელი თავის მასალის შეჯერება და შეფასება შემაჯამებელი დავალებების (პრაქტიკული სამუშაო, ტესტი, თეორიული სამუშაო. მასწავლებლის წიგნში დამატებით მოცემულია მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლითაც მოსწავლე თავად ახდენს მიღწეული შედეგის გაცნობიერებას, ნაკლოვანების/ სიძნელის/ პრობლემის ან მისაღწევი ამოცანის დაფიქსირებას. მოსწავლის წიგნის თითოეულ თავში შესასწავლი მასალა მოცემულია წინარე ცოდნის

და გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მჭიდრო კავშირში სხვა სასკოლო საგნებთან (ბუნების-მეტყველება, ქართული, გეოგრაფია, ისტორია...) ესეც კლასის გათვალისწინებით უნდა დასახელდეს... ახალი ცოდნის შეძენის და უნარების გამომუშავების მყარ საყრდენს შეადგენს თემატიკის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და მოსწავლის პრაქტიკულ გამოცდილებასთან. ცოდნის განმტკიცების და შეფასების ერთ-ერთი მექანიზმი სხვადასხვა სახის ტესტური დავალებებია (ვიზუალური ტესტი, თეორიული ტესტი, შერეული ტიპის ტესტი), რომლებიც სრული სახით წარმოდგენილია მასწავლებლის წიგნში.

პრაქტიკულ ნაწილში წარმოდგენილია მოსწავლის წიგნის პირველი თავის ყველა გაკვეთილის სავარაუდო 12 სცენარი, ხოლო მომდევნო 4 თავიდან 6 სცენარი; სულ 18 სცენარი. სავარაუდო სცენარები შერჩეულია ისე, რომ წარმოდგენილი იყოს ყველა ტიპის გაკვეთილი საკუთარი შეფასების მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით: დავალებები, ინტერაქტივი, დისკუსია და ა. შ... მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია ყველა გაკვეთილის თემა, მიზანი და სწავლის შედეგის კავშირი ესგ-ის სტანდარტის შედეგთან კონკრეტული ინდიკატორის მითითებით. ყველა გაკვეთილში მითითებულია გაკვეთილის ორგანიზების ფორმები და შესაბამისი რესურსი; სავარაუდო სცენარებში დეტალურად არის განვირეული აქტივობები და თითოეული აქტივობის კავშირი ესგ-ის სწავლის შედეგთან კონკრეტული საგაკვეთილო დროის მითითებით. ყველა გაკვეთილს ახლავს შეფასების ფორმა და შეფასების კრიტერიუმები, რეკომენდაცია (ძირითადად სწავლა/სწავლების განსხვავებული სტრატეგიის მითითებით), შენიშვნა და ტერმინების განმარტება. სხვადასხვა სახის დავალებები (საკლასო და საშინაო დავალებები, საკლასო დისკუსია, ინტერაქტივი და სხვ.) ორიენტირებულია სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე. მასწავლებელს ეძლევა სარეკომენდაციო აქტივობები, როგორც დავალების გართულების, ასევე მისი გამარტივების სახით. მასწავლებლის წიგნში (გაკვეთილის სცენარებში) მოცემულია საკლასო და საშინაო დავალებების პრაქტიკული სამუშაო და თეორიული სამუშაო) შეფასების კრიტერიუმები, ასევე, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, დავალების კონკრეტული ტიპის გათვალისწინებით. სცენარების სარეკომენდაციო ნაწილში შეთავაზებულია საშინაო დავალებების შესრულების სხვადასხვა ფორმა და სტრატეგია.

საკმაოდ ფართოა დამატებითი რესურსების – ბეჭდვითი პროდუქცია, ელექტრონული რესურსი (მიზანმიმართულად შერჩეული ელექტრონული რესურსი აიტვირთება გამომცემლობის ვებ-გვერდზე პრაქტიკულად სახელმძღვანელოში განხილულ თითოეულ თემაზე – ეპოქა, კულტურა, მხატვრული ტექნიკა, შემოქმედი, ნაწარმოები და სხვ.)

მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე დამოუკიდებელი პროექტების განხორციელების ძირითადი პარამეტრები: მიზანი, შედეგი და კავშირი ესგ-ის შედეგთან, ორგანიზების ფორმა, აუცილებელი რესურსი, რეკომენდაციები. მრავალფეროვანია სხვადასხვა სახის ტესტური დავალებების ნიმუშები. ამდენად, მასწავლებლის წიგნი პრაქტიკული თვალსაზრისით მოსწავლის წიგნის თანმდევ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს ისარგებლოს წიგნის ავტორების მიერ შეთავაზებული სავარაუდო სცენარებით; ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მას წარმართოს საგაკვეთილო პროცესი შემოქმედებითად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

## 14. მასწავლებლის წიგნის დასკვნითი ნაწილი

მოსწავლის წიგნში თითოეული გაკვეთილი ინტერაქტიური ხასიათისაა; გაკვეთილის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა ინტერაქტივის კითხვებს, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს შეამოწმოს როგორც უკვე გავლილი მასალის ათვისების ხარისხი, ასევე ზოგადი ცოდნა (ინტეგრაცია სხვა საგნებთან, კავშირი ყოფით გამოცდილებასთან), ამასთანავე მოსწავლისათვის წარმოადგენს გარკვეულ ასპარეზს საკუთარი მოსაზრების, ვარაუდის თავისუფლად გამოთქმისათვის. ინტერაქტივის პასუხები მასწავლებლის წიგნის პრაქტიკულ ნაწილში, სავარაუდო სცენარებსა და თითოეულ გაკვეთილში წარმოდგენილია აბრევიატურით პიკ – პასუხი ინტერაქტივის კითხვებზე.

ცოდნის გამდიდრებისა და გაღრმავებისათვის წიგნში წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის – დიმი, რომელსაც მასწავლებელი, საკუთარი შეხედულებით, საგაკვეთილო

პროცესის კონკრეტულ მონაკვეთში აცნობს მოსწავლეს. წიგნს თან ერთვის უცხო სიტყვათა და ტერმინთა ლექსიკონი.

## 15. მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებული შენიშვნები

1. მასწავლებლის წიგნში განერილია ყველა გაკვეთილის მიზანი, შეფასება, გაკვეთილისათვის საჭირო რესურსი, მუშაობის ფორმა და გაკვეთილის შედეგები. შენიშვნა რეკომენდაციები

2. მასწავლებლის წიგნში მოცემულია 18 გაკვეთილის სავარაუდო სცენარი და ყველა სხვა გაკვეთილის მიზანი, შედეგი კონკრეტული ინდიკატორის მითითებით, მუშაობის ფორმა, რესურსი, შეფასების ფორმა და კრიტერიუმები, ტერმინები, შენიშვნები და რეკომენდაციები. ასევე, ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დამატებითი მასალა.

3. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს გაითვალისწინოს წინარე ცოდნა, რაც იმას გულისხმობს, რომ მან აუცილებლად უნდა მოამზადოს წინასწარ ის შეკითხვები, რომლითაც გამოვლინდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული უკვე განვლილი მასალის ცოდნა და ასევე წინა პერიოდში გამომუშავებული უნარ-ჩვევები. სწორედ ესაა ის ბაზისი, რომლებზეც შემდგომ მასწავლებელმა ახალი მასალა უნდა დააშენოს და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოუმუშავოს მოსწავლეს.

4. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა მოანესრიგონ სამუშაო ადგილი, რათა სასწავლო პროცესი სუფთა გარემოში გაგრძელდეს. მოსწავლეებმა სამუშაო ადგილი – მერხები, კლასი – ყოველ ჯერზე უნდა დაასუფთაონ. მასწავლებელმა ამ ჩვევის გამომუშავებაზე ყურადღება უნდა გაამახვილოს და საჭიროებისამებრ, შეახსენოს მოსწავლეებს ამ მოვალეობის შესახებ.

5. მასწავლებელი უნდა ეცადოს, აღზარდოს მოსწავლეებში საკუთარ და სხვის ნამუშევართან ფაქიზად და გულისყურით მოპყრობის კულტურა.

6. გაკვეთილის სცენარებში ყველა აქტივობის დრო სავარაუდოა. მასწავლებელს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასის შესაძლებლობიდან გამომდინარე, შეუძლია შეცვალოს თითოეული აქტივობის ხანგრძლივობა. თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ პრაქტიკულ სამუშაოს მეტი დრო უნდა დაუთმოს და პრეზენტაციისათვის დრო აღარ რჩება, მას შეუძლია ის მომდევნო გაკვეთილზე გადაიტანოს.



# 16. გაკვეთილების სავარაუდო სცენარები

## მოსწავლის წიგნის შინაარსი

|                                  |    |  |     |
|----------------------------------|----|--|-----|
| როგორ გამოვიყენოთ წიგნი .....    | 5  | 36. ჩვენი სამშობლო .....                   | 60  |
| <b>თავი I</b>                    |    | 37. გინვეთ გამოფენაზე.....                 | 62  |
| 1. ხელოვნების სამყარო.....       | 6  | 38. ვხატავთ თითებით.....                   | 63  |
| 2. ფერების „დაბადება“.....       | 8  | 39. ქართველი მხატვრები.....                | 64  |
| 3. სინათლე ფერში .....           | 9  | <b>თავი IV</b>                             |     |
| 4. დღე და ღამე.....              | 10 | 40. საინტერესო ამბები.....                 | 66  |
| 5. კონტრასტული ფერები .....      | 12 | 41. რაზე მოგვითხრობს სურათი .....          | 68  |
| 6. ყველაფერი ფერის შესახებ.....  | 14 | 42. ვთამაშობთ ასოებით.....                 | 70  |
| 7. სურათი და დეტალი .....        | 16 | 43. ფანქრების ყუთი.....                    | 71  |
| 8. შემოდგომის ნობათი.....        | 18 | 44. ვხატავთ კომპიუტერის<br>დახმარებით..... | 72  |
| 9. ბუნება და ძეგლი .....         | 19 | 45. შენი საყვარელი გმირი.....              | 74  |
| 10. დიდი ხელოვნები.....          | 20 | 46. ლეგენდარული ტროა.....                  | 76  |
| 11. დეკორატიული საგნები.....     | 22 | 47. ყველაზე ცნობილი ცხენი.....             | 78  |
| 12. აირჩიე მასალა.....           | 23 | 48. ანაბეჭდი .....                         | 79  |
| <b>თავი II</b>                   |    | 49. საჩუქარი დედას .....                   | 80  |
| 13. ვხედავ, ვუსმენ, ვეხები.....  | 24 | 50. დიდი ხელოვნები.....                    | 82  |
| 14. სიმეტრია და ასიმეტრია.....   | 26 | 51. მხიარული მობილი .....                  | 84  |
| 15. სიმეტრიის ღერძი.....         | 27 | 52. სააღდგომო ნობათი .....                 | 86  |
| 16. ქართველი მხატვრები.....      | 28 | <b>თავი V</b>                              |     |
| 17. დაკიდული ბალები.....         | 30 | 53. ერთი მუზეუმის ისტორია .....            | 88  |
| 18. ხელოვნება და პროფესია .....  | 32 | 54. რას დაარქმევდი... ..                   | 90  |
| 19. ვძერწავთ პლასტილინით .....   | 34 | 55. სპილო.....                             | 91  |
| 20. დიდი ხელოვნები.....          | 36 | 56. დიდი ხელოვნები.....                    | 92  |
| 21. ორნამენტული კომპოზიცია ..... | 38 | 57. პროფესია არქიტექტორი .....             | 94  |
| 22. ზღაპრის გმირები .....        | 39 | 58. ლეგენდარული არგო .....                 | 96  |
| 23. ჩვენი სამშობლო .....         | 40 | 59. არგონავტები კოლხეთში .....             | 98  |
| 24. სავგარეულო ხე .....          | 42 | 60. კოლხეთის სამეფო .....                  | 100 |
| <b>თავი III</b>                  |    | 61. ჩემი სკოლის ეზო.....                   | 101 |
| 25. ამოიცანი პროფესია.....       | 44 | 62. წიგნის გრაფიკა .....                   | 102 |
| 26. დინამიკა ნამუშევარში.....    | 46 | 63. წელიწადის ოთხი დრო.....                | 104 |
| 27. შორს თუ ახლოს .....          | 48 | ჩვენი სამშობლო (პროექტი).....              | 106 |
| 28. დიდი და პატარა საგნები.....  | 49 | შემაჯამებელი გაკვეთილი — 1.....            | 108 |
| 29. საახალწლო ბარათი .....       | 50 | შემაჯამებელი გაკვეთილი — 2.....            | 110 |
| 30. საშობაო პეიზაჟი .....        | 51 | შემაჯამებელი გაკვეთილი — 3.....            | 112 |
| 31. გრაფიკა .....                | 52 | შემაჯამებელი გაკვეთილი — 4.....            | 114 |
| 32. ეგვიპტე.....                 | 54 | შემაჯამებელი გაკვეთილი — 5.....            | 117 |
| 33. წვიმა, ელვა, ცისარტყელა..... | 56 | ლექსიკონი.....                             | 119 |
| 34. ნატურმორტი .....             | 58 |  |     |
| 35. სურათის ჩარჩო .....          | 59 |  |     |



# 1. ხელოვნების სამყარო

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნოთ საზოგადოებრივი ხელოვნების სხვადასხვა დარგის თავისებურებანი, გამოვუმუშავოთ ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიებზე დაკვირვებისა და მათი ინტერპრეტირების უნარი.

**შედეგი: ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან**

**ინდიკატორი**

- აღარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

- ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);

- ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

- აღარებს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშს ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებს და საუბრობს თავის შთაბეჭდილებებზე.

## ბაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნების სხვადასხვა დარგის ამოცნობის, მათ შორის კავშირის დამყარების უნარი; გავუაქტიუროთ ცოდნა ხელოვნების ნებისმიერი დარგის და ცხოვრების სხვადასხვა სფეროს კავშირის შესახებ.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების

დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან

**ინდიკატორი**

- აღარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

- ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**დრო:** 10 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** დაფა, დიდი ზომის ფორმატი, ფლომასტერი. ჭიკარტები

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს საზოგადოებრივი ხელოვნების შესახებ უსვამს კითხვებს; ეკითხება, როგორ ესმით მათ ხელოვნების როლი და დანიშნულება ადამიანის ცხოვრებაში. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, შეხედულებებს ხელოვნების შესახებ. შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გააკეთონ ერთგვარი თვალსაჩინოება – ხელოვნების სამყაროს ამსახველი რუკა. დაფაზე დამაგრებულ დიდ ფორმატზე მასწავლებელი შემოხაზავს დიდ წრეს, რომელშიც გაკვეთილის მიმდინარეობისას, მოსწავლეთა საუბრის კვალდაკვალ, გაჩნდება პატარ-პატარა „კუნძულები“ – ხელოვნების სხვადასხვა დარგები; მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ყურადღებით გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოებს და ამოიცნონ, ხელოვნების რომელ დარგს ასახავს თითოეული მათგანი.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები, მასწავლებლის მსგავსად, საკუთარ რუკას ქმნიან თაბახის ფურცლებზე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა პასუხები ეხებოდეს იმ გამოცდილებას, რომელიც მათ უკვე გააჩნიათ ხელოვნების ნებისმიერ დარგთან ურთიერთობისას – ხატვა, ძერწვა, სპექტაკლის ან კინოფილმის ნახვა და ა.შ.

აქტივობის მიზანი ისაა, რომ თავისუფალი საუბრის ფორმით მასწავლებელმა მოსწავლეებს დაანახვოს ხელოვნების დარგთა ანუ ხელოვნების სამყაროს მჭიდრო კავშირი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, დააფიქროს მის როლსა და

დანიშნულებაზე. აქტივობის დასასრულს მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, რომ ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოებით აღძრული შთაბეჭდილება საგანგებოდ ამ მიზნისათვის გამოყოფილ რვეულში ან დღიურში ჩაინერონ და მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დროდადრო გაუზიარონ ერთმანეთს აზრები. ამ დავალების შესრულება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ შეადარონ ერთმანეთს ერთობლივი ექსკურსიის, ან ერთად ნანახი სპექტაკლისა თუ კინოფილმისაგან მიღებული შთაბეჭდილებები, იკამათონ და იმსჯელონ თუკი მათი აზრები განსხვავებული იქნება; ერთი სიტყვით, გამოიმუშაონ საკუთარი ემოციის გააზრებისა და საკუთარი აზრების დასაბუთებულად გადმოცემის უნარი.

## აქტივობა I I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნების დარგების გააზრების, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების, დარგებთან დაკავშირებული სახელოვნებო პროფესიების გაცნობიერების უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან

### ინდიკატორი

- ადარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;
- ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);
- ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);
- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო, კლასში შექმნილი ხელოვნების რუქები,

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ დაფაზე მასწავლებლის მიერ და თაბახის ფურცელზე მოსწავლის მიერ გაკეთებული ხელოვნების სამყაროს რუქები ერთმანეთს

და წიგნში, გაკვეთილის მომდევნო გვერდზე მოთავსებულ ერთგვარ ცხრილს ხელოვნების დარგების ჩამონათვალით; დაფიქრდნენ, ხომ არ გამორჩათ მათ ხელოვნების რომელიმე დარგი. შესაძლებელია, მოსწავლეთა მიერ გაკეთებულ რუკაზე ხელოვნების ისეთი დარგები, როგორებიცაა, მაგალითად, მხატვრობა და ქანდაკება, ან ბალეტი და ოპერა ცალ-ცალკე იყოს წარმოდგენილი. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ სახელმძღვანელოს და საზოგადოდ ხელოვნების საგნის შესწავლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ხელოვნების დარგების უკეთ შესწავლა, მათი თავისებურებების გაცნობა და ამ ასპარეზზე საკუთარი ძალების მოსინჯვაა. უხსნის იმასაც, რომ სხვადასხვა დარგი, მაგალითად, მხატვრობა და ქანდაკება სახვითი ხელოვნების დარგებია.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები გულდასმით აკვირდებიან სახელმძღვანელოს ფურცლებზე წარმოდგენილ ფოტოებს და გამოთქვამენ ვარაუდს, ხელოვნების რომელ კონკრეტულ დარგს მიეკუთვნება თითოეული მათგანი. მასწავლებელი ნებისმიერი – სწორი ან თუნდაც არასწორი – პასუხის შემთხვევაში სთხოვს მოსწავლეს, დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება. ამაში მათ ეხმარებათ ხელოვნების დარგების გაკვეთილში მოცემული მოკლე ანოტაცია, რაც თითოეულ მოსწავლეს უზიდავს კიდევ ერთხელ გაიაზროს თითოეულ ფოტოზე წარმოდგენილი გამოსახულების თავისებურება და გააკეთოს სწორი დასკვნა.

## აქტივობა I II – პრეზენტაცია

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნების დარგების და მათთან დაკავშირებული პროფესიების გაცნობიერების, მათი ძირითადი მახასიათებლების ამოცნობის და დემონსტრირების უნარჩვევა. განვუმტკიცოთ ერთობლივი მუშაობის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავში-**

## რება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან

### ინდიკატორი

- ადარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

- ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);

- ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 15 წთ

**მუშაობის ფორმა:** ჯგუფური

**რესურსი:** ფანქარი, ფუნჯი, სამოსის დეტალები, ნებისმიერი აქსესუარი, რაც აქტივობის შესრულებისას სჭირდებათ

### აქტივობის მოკლე აღწერა

მასწავლებელი ყოფს კლასს ორ ნაწილად (კლასის რიცხოვნობიდან გამომდინარე ის შეიძლება ჯგუფებადაც დაიყოს). ერთი ნაწილი, პირობითად, მაყურებელის როლშია, ხოლო მეორე – ხელოვანების როლში. დროის დათქმული ლიმიტის ამონურვის შემდეგ როლები შეიცვლება. „ხელოვანებმა“ სურვილისამებრ, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად უნდა წარმოადგინონ ხელოვნების რომელიმე კონკრეტულ დარგთან დაკავშირებული პროფესიის მქონე ადამიანები. მაგ., მწერალი, მოცეკვავე, მოქანდაკე და ა.შ. მაყურებლებმა კი უნდა ამოიცნონ, რომელი პროფესიის ადამიანს წარმოადგენს მოსწავლე/მოსწავლეები. რაც უფრო სახასიათო და ზუსტი იქნება ამა თუ იმ პროფესიის ადამიანის განსახიერება, მით უფრო სწრაფად მოხდება ამოცნობა და, შესაბამისად, როგორც ნამდვილ ხელოვანებს, მათაც აპლოდისმენტებით დააჯილდოვებენ. აქტივობის მიმდინარეობისას თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი ან საყვარელი ხელოვნების დარგი. არჩევანს მოსწავლეები თავად აკეთებენ. შესაძლოა, როლის უკეთ წარმოსაჩინად, მათ რაიმე აქსესუარი, ან ნივთი გამოიყენონ, მაგ., ფანქარი, კალმისტარი, ფუნჯი, მუსიკალური ინსტრუმენტი და ა.შ. გაკვეთილის ბოლოს, ბუნებრივია, ყველა „როლი“ ამოცნობილია, მათგან ყველაზე სახასიათოდ შესრულებული კი გამარჯვებულად ცხადდება.

მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს. მათ უნდა მოიფიქრონ და ჩამონერონ ხელოვნების რამდენიმე სხვა დარგი და გააერთიანონ ისინი რომელიმე სახელოვნებო სფეროს ქუდის ქვეშ (მაგალითად, დარგები კერამიკა, მინა, სამოსის დიზაინი ერთიანდება გამოყენებითი ხელოვნების სფეროში).

დავალების შესრულების ხარისხს მასწავლებელი მომდევნო გაკვეთილზე ამოწმებს. მასწავლებელი მაძლობას უხდის მოსწავლეებს საინტერესო გაკვეთილისათვის.

**ტერმინები:** მხატვარი, მოქანდაკე, ბალეტი, ოპერა, სპექტაკლი, პუანტები, მოლბერტი, მარიონეტი და სხვ.

**შენიშვნა:**

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** ხელოვნების დარგების ძირითადი მახასიათებლების ცოდნა/ამოცნობა, სხვადასხვა დარგის ურთიერთკავშირის გააზრება, ერთობლივი მუშაობის უნარ-ჩვევა,

**რეკომენდაციები:**

## 2. ფერების „დაბადება“

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოეუმუშავოთ ძირითადი ფერების შერევით ახალი ფერის მიღებისა და გამოყენების უნარი, განუვითაროთ თავისი ნამუშევრის წარდგენის უნარი.

**შედეგი:** **ს.გ.IV.1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

**ინდიკატორი**

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქვა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);

- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);

- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**ს.გ.IV.3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.



### ინდიკატორი

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევებს თანაკლასელებს.

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავუქტიუროთ ცოდნა ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი ფერების შესახებ; გავაცნობიერებინოთ ფერების შერევით ახალი ფერის მიღების პრინციპები.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

### ინდიკატორი

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/

ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

**დრო: 10 წთ**

**მუშაობის ფორმა:** წყვილებში

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფერადი (ცივი და თბილი ფერები, ძირითადი და შედგენილი ფერები) ქალაღებები, ფანქრები, ფლომასტერი, ნებისმიერი სხვა საგანი.

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** გაკვეთილი იწყება მასწავლებლის საუბრით იმის შესახებ, რომ ბუნებაში არსებობს ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი ფერები. ეს მოსწავლეებს უკვე ნასწავლი აქვთ წინა წლებში. მასალის გასახსენებლად მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაასახელონ ეს ფერები და შეასრულონ მარტივი დავალება. იგი ურიგებს მოსწავლეებს წინასწარ მომზადებულ ფერად ქალაღებს, ან ფერად ფანქრებს (ფლომასტერებს, პაზლებს და სხვ.) და წყვილებს (გვერდით მსხდომ მოსწავლეებს), სთხოვს დააჯგუფონ ერთად ჯერ ცივი და თბილი ფერის საგნები, შემდეგ ძირითადი და შედგენილი ფერის საგნები.

**მოსწავლის აქტივობა:** წყვილები აჯგუფებენ ცივი და თბილ ფერებს, ძირითად და შედგენილ ფერებს ერთად; სავარაუდოდ, წინა წელს ნასწავლი მასალის გახსენებისას ბჭობენ, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და იღებენ გადაწყვეტილებას.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი ამოწმებს, როგორ შეასრულეს მოსწავლეებმა დავალება, ახსოვთ თუ არა მათ გავლილი მასალა და, საჭიროების შემთხვევაში, უსწორებს მათ შეცდომას. დავალების შემოწმების შემდეგ იგი საუბრობს იმის შესახებ, რომ ბუნებაში უამრავი ფერია, ადამიანს კი ყოველთვის ხელთ არა აქვს ყველა ფერის საღებავი, ფანქარი, ფლომასტერი, მისთვის სასურველი ნამუშევრის შესაქმნელად კი სწორედ ისეთი ფერები სჭირდება, რომლებიც არ გააჩნია. რა უნდა გააკეთოს ასეთ შემთხვევაში მან? მასწავლებელი ამ კითხვით მიმართავს კლასს და შემდეგ ყურადღებით უსმენს მოსწავლეთა პასუხებს.

**მოსწავლის აქტივობა:** სავარაუდოდ, მოსწავლეებმა შეიძლება სასურველი ფერის მიღების რამდენიმე გზა დაასახელონ, მათ შორის – ფერების შერევა. სწორედ ფერების შერევის ხერხები არის ის მთავარი საკითხი, რომელიც ამ გაკვეთილზე უნდა სცადონ მოსწავლეებმა. მოსწავლეები, ალბათ, მოყვებიან,

უცდიათ თუ არა ფერების შერევა და რა იციან ამის შესახებ.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ გაკვეთილის ტექსტს და ილუსტრაციებს, რომლებზეც სხვადასხვა ფერის მიღების ეტაპებია ნაჩვენები.

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ფერების შერევით ახალი ფერის მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 15 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფორმატი ან ფურცელი, გუაშის საღებავი, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოამზადონ საჭირო რესურსი და დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებამდე დაიმასხვრონ რამდენიმე მარტივი წესი. სასურველი ფერის მისაღებად საღებავები ფრთხილად უნდა შეურიონ ერთმანეთს. თავდაპირველად მოსინჯონ როგორ ფერს იღებენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ შესარევი საღებავების ოდენობის მეტნაკლები სიზუსტით განსაზღვრას. მასწავლებელმა ასევე უნდა გააფრთხილოს ისინი იმის თაობაზე, რომ ფუნჯი ხშირად უნდა გარეცხონ წყლიან ჭურჭელში და ხელსახოცით განმინდონ, ხოლო წყალი ხშირად გამოცვალონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაურეცხავი ფუნჯით დადებული საღებავით ისინი სუფთა ფერს ვერ მიიღებენ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ინდივიდუალურად ირჩევენ მისაღებ ფერს და იწყებენ ფორმატზე/ფურცელზე მუშაობას. მათ ორი ფერიდან მესამე უნდა მიიღონ. სახელმძღვანელოში ნაჩვენებია რამდენიმე ნიმუში, რომელთა მიხედვით მოსწავლეებს გაუადვილდებათ ორი ფერიდან მესამის მიღება. მოსწავლეები იწყებენ მუშაობას, ითვალისწინებენ მასწავლებლის რჩევებს.

**მასწავლებლის აქტივობა:** სასურველია, მასწავლებელმა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს არა მარტო მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეებს, არამედ წარმართოს მათი მუშაობა. მაგალითად, თუ რამდენიმე მოსწავლე მიზნად ისახავს მწვანე ფერის მიღებას, შესაძლებელია, მათ სხვადასხვაგვარი მწვანე გამოუვიდეთ. მასწავლებელი სთხოვს მათ, აჩვენონ კლასს ნამუშევრები და ესაუბრება იმის შესახებ, რომ ამ სხვაობას ორი სხვადასხვა ფერის საღებავის (ყვითელი და ლურჯი) განსხვავებული დოზით შერევა იწვევს.

მოსწავლეები ემზადებიან ნამუშევრების პრეზენტაციისათვის.

## აქტივობა III – პრეზენტაცია

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ საკუთარი ნამუშევრის წარდგენის, მასზე საუბრის, შესაბამისი ტერმინების გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, ჯგუფური



**რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და საუბრობენ იმაზე, თუ როგორ მიიღეს ესა თუ ის ფერი. მოსწავლეები, როგორც უკვე „გამოცდილ“ მხატვრებს, სთხოვს მათ პასუხი გასცენ ინტერაქტივის შეკითხვებს სხვადასხვა ფერის მიღების ხერხის შესახებ. სასურველია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრების წარდგენისას კლასი მთლიანად იყოს ჩართული მათ შეფასებაში, მიიღოს მონაწილეობა ფერების სახელების შერჩევაში. შესაძლებელია, ეს პროცესი ერთგვარად სახუმარო აქციის სახეს ატარებდეს და მოსწავლეებმა ფერთა შედარებისას მათ მიერ აღძრული ასოციაციებით იხელმძღვანელონ.

**მასწავლებლის აქტივობა:** გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს. მათ უნდა გამოიყენონ ფერის გაღიაგების ხერხი და დახატონ წელიწადის შესაბამისი დრო. მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი ათვალთვლებს მათ ნამუშევრებს და ინახავს მათ ინდივიდუალურ პორტფოლიოში.

### შეფასების ფორმა: მიმდინარე

**კრიტერიუმები:** სახვითი ხელოვნების ელემენტების ფლობა-ფერების შერევით ახალი ფერის მიღების უნარი; წყვილში მუშაობის უნარ-ჩვევა; ნამუშევრის წარდგენის უნარი.

## 3. სინათლე ფერში

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოეუმუშავოთ ფერის გაღიაგებით ან გამოუქებით მისი ტონალობის ანუ სინათლის ხარისხის შეცვლის უნარი, გავახსენოთ ფერების ბორბალზე ფერთა თანმიმდევრობა და ამ განლაგების ძირითადი პრინციპი. გამოეუმუშავოთ ფერის ტონალობის დამოუკიდებლად ცვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს

სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქეჩა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);

- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;

- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);

- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**ს.გ.IV.3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.

### ინდიკატორი

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთან ან ცნობილ ხელოვანთან ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნობიერებინოთ ფერების შერევით ახალი ფერის მიღების პრინციპები.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);

- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.

### ინდიკატორი

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

**დრო: 10 წთ**

**მუშაობის ფორმა:** წყვილებში

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფერადი ბარათები/ქაღალდები (ერთი ფერის სხვადასხვა ტონალობა), თეთრი ქაღალდის პატარა ზომის ბარათები, თაბახის ფურცელი, ფანქრები, ფლომასტერები, საღებავები, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები,

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი კლასს აჩვენებს წინასწარ მომზადებულ ფერად ბარათებს, მაგალითად, ყვითელს, წითელს, ლურჯს და სხვ. და სთხოვს დაასახელონ ეს ფერები. მოსწავლეები ადვილად ასრულებენ თხოვნას და ასახელებენ ბარათების ფერებს. შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს იმავე ფერის, თუმცა სხვა ტონალობის ბარათებს და კვლავ სთხოვს დაასახელონ ფერი. სავარაუდოდ, პასუხები კვლავ ანალოგიური იქნება და მასწავლებელი ახლა უკვე გვერდიგვერდ დებს ერთი ფერის სხვადასხვა ტონალობის ბარათებს, რათა მოსწავლეებმა თვალნათლივ დაინახონ სხვაობა მათ შორის. იგი საუბრობს იმაზე, რომ ფერებისთვის სხვა ფერის შერევა, მათი გაღიაება ან გამუქება, ახალი ფერის მიღების ხერხია. როდესაც წითელ ფერს ცოტაოდენ ყვითელ ფერს ანუ „მზის სხივს“ შევურევთ, წითელი ღიავდება, ნარინჯისფერი ხდება, შემდეგ კიდევ უფრო ღიავდება და ოქროსფერი ხდება. ასეთი ხერხით ერთი ფერიდან მიღებულ განსხვავებულ ფერს ტონალობა ეწოდება.

**მოსწავლის აქტივობა:** მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაებან საუბარში, შეადარონ ფერები სხვადასხვა ბუნებრივ თუ ხელოვნურ რესურსს: ფოთლებს, ყვავილებს, ბალახს, და ამგვარი

ასოციაციებით დაარქვან მათ სახელები.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფერების ბორბალს და მასზე განლაგებული ფერების თანმიმდევრობას. იგი წყვილებად ყოფს კლასს და სთხოვს ბორბალზე ამოირჩიონ „მეგობარი“ ანუ გვერდიგვერდ მდებარე ფერების წყვილი, ხოლო შემდეგ პატარა ზომის ფურცლებზე სცადონ არჩეული ფერების სამი ტონალობის მიღება და მათი გვერდიგვერდ სწორი თანმიმდევრობით განლაგება.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები საღებავებით მუშაობას იწყებენ მომცრო ზომის ბარათებზე და ცდილობენ არცეული ფერის სამი ტონალობის მიღებას. შემდეგ მენწყვილესთან ერთად განლაგებენ ბარათებს გარკვეული თანმიმდევრობით.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი ამონებს, როგორ შეასრულეს სამუშაო, ეხმარება მოსწავლეებს რჩევით და მითითებით. თუ მოსწავლეები არასწორ თანმიმდევრობას შეურჩევნებენ ახლადმიღებულ ფერებს, აჩვენებს ფერების ბორბალს და უსწორებს შეცდომას.

### აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუფიქროთ ფერების შერევით ახალი ფერის მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:**

ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);

- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);

- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი – ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, ჯგუფებში

**დრო: 15 წთ**

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფორმატი ან ფურცელი, გუაშის საღებავი, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** გაკვეთილის შემდეგი მონაკვეთი ეთმობა ფერების ბორბლის აწყობას. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ფერადი კვადრატები, აღწერონ მათი ფერი, შეურჩიონ დასახელება და მოემზადონ პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს საკლასო სამუშაოს პირობას, მათ თაბახის ფურცლისგან უნდა გამოჭრან პატარა კიდემომრგვალებული ქალაქები სახელმძღვანელოში მოცემული ფორმის მიხედვით. შემდეგ დაფერონ ისინი უკვე ნასწავლი ხერხით ერთი ფერის რამდენიმე ტონალობით და საბოლოოს ააწყონ ფერების ბორბალი. კლასის რიცხოვნებიდან გამომდინარე, მასწავლებელი წყვეტს მუშაობის ფორმას, წყვილებში იმუშავენ მოსწავლეები თუ ჯგუფებში.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ასრულებენ დავალებას. დაკვირვებით ჭრიან ქალაქის ფორმებს და შემდეგ აფერადებენ მათ საღებავით. გაშრობის შემდეგ ისინი გვერდიგვერდ ალაგებენ ფერებს და აწყობენ ფერების ბორბალს.

## აქტივობა III – პრეზენტაცია

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ საკუთარი ნამუშევრის წარდგენის, მასზე საუბრის, შესაბამისი ტერმინების გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ. IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთან ცნობილ ხელოვანთან ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 5 წთ

**მუშაობის ფორმა:** წყვილებში

**რესურსი:** თაბახის ფურცლები, მაკრატელი, წებო, ფორმატი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და ადარებენ ერთმანეთს მათ. ერთობლივად წყვეტენ, რომელი ბორბალი უფრო ზუსტად იმეორებს ფერთა თანმიმდევრობას. ამბობენ, რომელი ფერების მიღება გაუჭირდათ და როგორ გადაჭრეს ეს პრობლემა.

**მასწავლებლის აქტივობა:** გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს. მათ უნდა გამოიყენონ ფერის გაღებების ხერხი და დახატონ წელიწადის შესაბამისი დრო. მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი ათვალთვლებს მათ ნამუშევრებს და ინახავს მათ ინდივიდუალურ პორტფოლიოში.

**ტერმინები:** ფერების ბორბალი, ტონალობა

**შენიშვნა:** აქტივობების შესრულებისას მასწავლებელი ითვალისწინებს კლასის რიცხოვნებას და წყვეტს, მუშაობის რომელი ფორმა იქნება ყველაზე ეფექტური.

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** სახვითი ხელოვნების ტექნიკის, ხერხების ფლობა, პრაქტიკულად გამოყენების უნარი; ფერის გაღებებისა და გამოქების უნარი, მოცემული ფორმის მიხედვით ქალაქის აკურატულად გამოჭრის უნარი (მოტორული უნარ-ჩვევები), ფერების ბორბალის დამოუკიდებლად შექმნის უნარი.

## 4. დღე და ღამე

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებში დღე-ღამის მონაკვეთის ამოცნობის უნარი, ნამუშევრის შესრულებისას დღე-ღამის შესაბამისი ფერების არჩევის, ამ ფერების მიღების (შეზავების) და ნამუშევრებში მათი მიზანდასახულად გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**შედეგი:** ს.გ. IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.



### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

### ინდიკატორი

- მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

## ბაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებში დღე-ღამის მონაკვეთის ამოცნობის უნარი; განუმტკიცოთ ფერების გაღივებით ახალი ფერის მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ინტერესებისა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/**

**ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**დრო: 10 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო, თაბახის ან სახატავი ფურცლები, საღებავები, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** გაკვეთილს მასწავლებელი იწყებს პეიზაჟის აღწერით, რომელიც მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ მისი აღწერის მიხედვით. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გადაშალონ სახელმძღვანელო, დააკვირდნენ პირველ ილუსტრაციას და აღწერონ ის. აღწერისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფერებს. მასწავლებელი სვამს პირველი ინტერაქტივის კითხვებს.

**პ.ი.კ. 1.** პირველ სურათზე ცა მუქი ლურჯია, ვარსკვლავები და მთვარე – ვერცხლისფერი, მთები გამოსახულია მოცისფრო-თეთრი ფერით.

2. მეორე სურათზე იგივე პეიზაჟია გამოსახული, ოღონდ აქ უფრო ღია ფერებია გამოყენებული – ღია ცისფერი, თეთრი, იისფერი რის შედეგადაც იქმნება დღის შთაბეჭდილება. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მეორე ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ნამუშევარი აღწერონ და გაიაზრონ, რა მსგავსება და რა განსხვავებაა ამ ორ პეიზაჟს შორის (მეორე ინტერაქტივი).

**პ.ი.კ. 1.** ცისფრის მისაღებად ლურჯს თეთრი საღებავი უნდა შევურიოთ.

ამის შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მოსწავლის პასუხებს და უხსნის მათ, როგორ იცვლება შთაბეჭდილება ერთიდაიგივე პეიზაჟის მოტივის შემთხვევაში სხვადასხვა (მუქი თუ ღია) ფერების გამოყენებით.

**მოსწავლის აქტივობა:** მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები აქტიურად ჩაებან საუბარში, შეადაზრონ ფერები ერთმანეთს, იმსჯელონ მათი მიღების/ შეზავების უკვე ცნობილ ხერხზე, გაჩენილი ასოციაციების მიხედვით სახელები დაარქვან ფერებს.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოემზადონ პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. თაბახის ფურცლებზე დადონ ის

ფერები, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული, ხოლო შემდეგ გამოიყენონ გაღიავების მეთოდი და მიიღონ მათგან ახალი ფერი; მუშაობის დროს გარეცხონ ფუნჯი, ვიდრე თეთრ ან რომელიმე სხვა საღებავს შეახებენ მას, რათა ფერი არ „გაჭუჭყიანდეს“. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის ფერები, რომლებსაც ამ ხერხის გამოყენებით მიიღებენ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები იწყებენ მუშაობას საღებავებით. თავდაპირველად ისინი სუფთა, გაუზავებელ ფერებს დებენ ფურცელზე, ხოლო შემდეგ ურევინებენ მათ თეთრ საღებავს. ცდილობენ, დავალენ დაკვირვებით შეასრულონ, გაითვალისწინონ მასწავლებლის რჩევები და მითითებები. მიღებულ ფერებს აჩვენებენ თანაკლასელებს და აღწერენ/სახელს არქმევენ მათ.

**მასწავლებლის აქტივობა:** ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს მესამე ინტერაქტივის შეკითხვებს.

**პ.ი.კ.** სახელმძღვანელოში მოცემულ ფერებს თუ თეთრს შევურევთ შემდეგ ფერებს მივიღებთ; შავი ნაცრისფერი გახდება, ნარინჯისფერი – ყვითელი, მწვანე – სალათისფერი, წითელი – ვარდისფერი, იისფერი – იასამნისფერი, ყავისფერი – ხორცისფერი. ამას მოსდევს შემაჯამებელი დასკვნა, რომ ნებისმიერ ფერთან გაზავებისას, თავად ეს ფერი ღიავდება.

## აქტივობა I I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუვითაროთ ფერთა გაღიავების ხერხის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევა დღე-ღამის განსხვავებული მონაკვეთის ასახვად ნამუშევარში.

### აქტივობის შედეგი:

**ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქეჩა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

### ინდიკატორი

• მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, (მასწავლებლის გადამწყვეტილებისამებრ აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებში)

**დრო:** 15 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფურცლები, ფანქარი, გუაშის საღებავი, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას – დახატონ ერთიდაიგივე პეიზაჟი დღისით და ღამით და გამოიყენონ ფერის თეთრთან შერევის ხერხი.

**შენიშვნა:** მასწავლებელი წყვეტს ინდივიდუალურად შეასრულებენ თუ არა მოსწავლეები დავალებას თუ წყვილები გაინანილებენ მას და გადამწყვეტენ დღე-ღამის რომელ მონაკვეთს დახატავს თითოეული მათგანი.

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ ნებისმიერი მოტივი აირჩიონ თავიანთი ნამუშევრისათვის. ხატვის დროს ფერი ჯერ სათადარიგო ფურცელზე გააზავონ, რათა საჭირო სიმკვეთრის ტონი მიიღონ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანონ ნამუშევარზე.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები იწყებენ მუშაობას. შესაძლებელია, მათ თავდაპირველად უბრალო ფანქრით მკრთალად მოხაზონ პეიზაჟის დეტალები და შემდეგ შეუდგენენ მის დაფერვას. მასწავლებლის მითითების გათვალისწინებით მოსწავლეები იყენებენ სათადარიგო ფურცელს ფერების შესაზავებლად.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი თვალყურს ადევნებს საკლასო დავალების შესრულების პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევით ეხმარება მოსწავლეებს.

## აქტივობა I II – პრეზენტაცია

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუვითაროთ საკუთარი ნამუშევრის წარდგენის, მასზე საუბრის, შესაბამისი ტერმინების გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** **ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთან ან ცნობილ ხელოვანთან ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**



### ინდიკატორი

• ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

• საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

• უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და ადარებენ ერთმანეთს მათ. ერთობლივად წყვეტენ, რომელი ნამუშევარი ასახავს დღის ან ღამის მონაკვეთს სრულყოფილად და რატომ. ასახელებენ, რომელი ფერები გამოიყენეს ნამუშევრის შესრულებისას.

**ტერმინები:** ტონალობა, ფერის შეზავება, გაღია-ვება, პეიზაჟი

**შენიშვნა:** აქტივობების შესრულებისას მასწავლებელი ითვალისწინებს კლასის რიცხოვნებას და წყვეტს, მუშაობის რომელი ფორმა იქნება ყველაზე ეფექტური. მასწავლებელი წყვეტს ინდივიდუალურად შეასრულებენ თუ არა მოსწავლეები დავალებას თუ წყვილები გაინაწილებენ მას და გადაწყვეტენ დღე-ღამის რომელ მონაკვეთს დახატავს თითოეული მათგანი.

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** სახვითი ხელოვნების ტექნიკის, ხერხების ფლობა, პრაქტიკულად გამოყენების უნარი; ფერის გაღიავებისა და გამუქების უნარი, ხელოვნების ნაწარმოებში დღე-ღამის კონკრეტული მონაკვეთის ამოცნობის უნარი.

## 5. კონტრასტული ფერები

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნობიერებინოთ კონტრასტული ფერების რაობა, გამოვუმუშაოთ მხატვრულ ნაწარმოებში მათი ამოცნობის

უნარი, განვუვითაროთ კონტრასტული ფერების გამოყენების ჩვევა დამოუკიდებლად ნამუშევრის შექმნის დროს.

**შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

• ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;

• იყენებს კონტრასტულ ფერებს;

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

### ინდიკატორი

• მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);

• ძერწავს და ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს, კონსტრუქციებს სხვადასხვა (ბუნებრივი, ხელოვნური) მასალის გამოყენებით;

• ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);

• მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

• ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით;

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

• ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

• საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

• უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

## ბაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნობიერებინოთ კონტრასტული ფერების (კონტრასტული წყვილების) რაობა, გამოვუშუშაოთ მხატვრულ ნაწარმოებში მათი ამოცნობის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

ინდკატორი

• სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

**დრო:** 10 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო,

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენსახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფერების ბორბალს და დაასახელონ ერთმანეთისგან ყველაზე მეტად დაშორებული, ხოლო შემდეგ ერთმანეთის გვერდით მდებარე ფერები.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეებიასრულებენ დავალებას და ასახელებენ, როგორც კონტრასტულ წყვილებს, ასევე, მონათესავე (მსგავს) ფერებს.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი უხსნისმათ, რომ ყველაზე მეტად დაშორებულ ფერებს კონტრასტული ეწოდება და რამდენჯერმე ჩამოთვლის მათ, სთხოვს, მოსწავლეებმაც გაიმეორონ ეს ფერები.მასწავლებელი განმარტავს, რომ კონტრასტი დიდ სხვაობას, დაპირისპირებას ნიშნავს.შემდეგ იგი ინტერაქტივის კითხვებს სვამს, რომლებზეც პასუხის გასაცემად მოსწავლეები ათვალთვლებენ საელმძღვანელოში წარმოდგენილს ილუსტრაციებს.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები თვალს ადევნებენ სახელმძღვანელოში ისრებით დაკავშირებულ წყვილებს და ასახელებენ კონტრასტულ ფერებს.

მასწავლების კითხვებზე მოსწავლეები ინდივიდუალურად სცემენ პასუხს.

**პ.ი.კ. 1.** ემილ ნოლდეს სურათზე წყალი და აფრებიანი გემები/ნავებია წარმოდგენილი.

2. სურათი პეიზაჟის ჟანრს მიეკუთვნება.

3.მასზე გამოყენებულია ყვითელი და იისფერი კონტრასტული ფერები.

### აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუვითაროთ ხელოვნური მასალითა და კონტრასტული ფერების გამოყენებით დეკორატიული ნივთის შექმნის უნარი. განვუმტკიცოთ მარტივი კონსტრუქციის აგების ჩვევა

**აქტივობის შედეგი:**

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• ძერწავს და ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს, კონსტრუქციებს სხვადასხვა (ბუნებრივი, ხელოვნური) მასალის გამოყენებით;

• ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);

• მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

• ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, (მასწავლებლის გადამწყვეტილებისამებრ აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებში)

**დრო:** 15 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, ნებო, კბილის ჩხირები.

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას ყურადღებით დააკვირდნენ წარმოდგენილ ილუსტრაციებს და ხელოვნური მასალით შექმნან ვარდის დეკორატიული ტოტი კონტრასტული ფერების გამოყენებით.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ინდივიდუალურად (ან წყვილებში, მასწავლებლის გადამწყვეტილებისამებრ) იწყებენ დავალების შესრულებას. ნითელი ფურცლებზე ფანქრით ხატავენ სპირალს და შემდეგ ფრთხილად ჭრიან ან ხევენ სპირალის ხაზზე ქალაღდს და ჩხირზე იწყებენ ფურცლის დახვევას ვარდის გვირგვინის მისაღებად.

მწვანე ქალღმერთს ნაჩვენები სქემის მიხედვით კე-ცავენ და აკეთებენ ვარდის ფოთლებს და ტოტებს. მიღებულ ფორმებს ფრთხილად ანებებენ, აერთებენ ვარდის ბუჩქის გამოსახულების მისაღებად და შემდეგ ანებებენ თაბახის ფერად ფურცელზე. ვარდების გვირგვინები შესაძლოა სხვადასხვა ზომის იყოს. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ნამუშევრებს გამოფენენ კლასში და ემზადებიან პრეზენტაციისათვის.

## აქტივობა I II – პრეზენტაცია

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ საკუთარი ნამუშევრის წარდგენის, მასზე საუბრის, შესაბამისი ტერმინების გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სვამს ბოლო ინტერაქტივის კითხვებს და ეხმარება მოსწავლეებს ნამუშევრების წარდგენაში.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და აღარებენ მათ ერთმანეთს. საუბრობენ კონტრასტულ ფერებზე.

პ.ი.კ. 5. სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ მცენარეებს, ზღვის ბინადრებს, პეპლებს, ჩიტებს, რომლებსაც ხშირად კონტრასტული შეფერილობა აქვთ.

6. დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა წითელი და მწვანე კონტრასტული ფერები გამოიყენეს.

7. მოსწავლეები ასახელებენ ვარდისფერ, თეთრ მკვითელ ვარდებს

8. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები ასახელებენ სხვადასხვა ყვავილს და აღწერენ მათ ფერებს.

### ტერმინები:

**შენიშვნა:** აქტივობების შესრულებისას მასწავლებელი წყვეტს, მუშაობის რომელი ფორმა იქნება ყველაზე ეფექტური. მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას, ინდივიდუალურად შეასრულებენ თუ არა მოსწავლეები დავალებას თუ წყვილები გაინაწილებენ მას.

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** სახვითი ხელოვნების ტექნიკის, ხერხების ფლობა, ხელოვნური მასალის გამოყენება დეკორატიული ნამუშევრის შექმნისას.

**რეკომენდაციები**

## 6. ყველაფერი ფერის შესახებ

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების, მისი ანალიზის უნარი, განუვითაროთ დასაბუთებული მსჯელობის უნარი, გავულრმავოთ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი - ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების გამოყენების გზით ნამუშევრის შექმნის უნარი.

**ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);
- იყენებს კონტრასტულ ფერებს;



• ქმნის კონტრასტულ ნამუშევრებს საპირისპირო ნწყილების გამოყენებით (დიდი-პატარა, ბნელი-ნათელი და სხვ.)

• აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

#### ინდიკატორი

• ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

• სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

• საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

• უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

• ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს.

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აღარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

• ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);

### ბაკვეთილის მსვლელობა

#### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების, მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების და ელემენტების ამოცნობის და შეფასების უნარი; განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოების ჟანრის ამოცნობის უნარი.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

#### ინდიკატორი

• ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

• სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

• საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან**

#### ინდიკატორი

• აღარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

• ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);

**დრო: 15 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო,

#### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მასწავლებელი საუბრობს იმის შესახებ, რომ მოსწავლეებმა უკვე ბევრი რამ იციან ფერის თვისებების შესახებ; მაგალითად, იციან, რომ არსებობს ცივი და თბილი, ძირითადი და შედგენილი ფერები. იგი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ, კიდეც რა იციან ფერების „ხასიათის“ შესახებ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები პასუხობენ, რომ არსებობს კიდეც კონტრასტული ფერები და ისინი ფერების ბორბალზე ერთმანეთისგან ყველაზე მეტადაა დამორებული. ფერი, ასევე, შეიძლება იყოს მუქი, ბაცი, ღია. მისგან ახალი ფერის მისაღებად შეიძლება დავუმატოთ ცოტაოდენი თეთრი და განსხვავებული ტონალობის ფერი მივიღოთ.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნამუშევრები და სვამს ინტერაქტივის რამდენიმე კითხვას. კითხვები ეხება ნამუშევრებში გამოყენებულ ფერებს, მათ დახასიათებას.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები პასუხობენ ინტერაქტივის კითხვებს, მსჯელობენ წარმოდგენილი ნამუშევრების შესრულებისას გამოყენებულ ფერებზე, განწყობილებაზე, რომელსაც ეს ფერები ქმნის, ასახელებენ მხატვრობის რომელ ჟანრებს მიეკუთვნება ეს ნამუშევრები.

**პ.ი.კ. 1.** კლოდ მონეს ნამუშევარზე ცივი ფერებია გამოყენებული, ანდრე დერენის ნამუშევარზე – თბილი ფერები.

2. ანდრე დერენის ნამუშევარზე გამოყენებულია ყვითელი და იისფერი, მწვანე და წითელი კონტრასტული ფერები.

3. ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრებზე გამოყენებულია როგორც ძირითადი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, ასევე, შედგენილი-ნარინჯისფერი, იისფერი, მწვანე ფერები.

4. ერთ ნამუშევარში კონტრასტული ფერების დიდი ლაქების გვერდიგვერდ გამოყენება ამძაფრებს გამომსახველობას, მკვეთრ ემოციას ინვესს მყურებელში.

5. კლოდ მონე ცის ხატვისას იყენებს პრაქტიკულად იგივე ფერებს, რასაც სურათის დანარჩენ ნაწილში ეს ფერებია: წითელი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი....

6. წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი-თბილი ფერებია; ცისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი-ცივი ფერები.

7. კლოდ მონე იყენებს წითელ, ყვითელ, ლურჯ ძირითად ფერებს და ნარინჯისფერ, იისფერ, ცისფერ შედგენილ ფერებს.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს დაათვალიერონ კიდევ ორი ნამუშევარი: ვინსენტ ვან გოგის „შუადღის ძილი“ და კლოს მონეს „ჟივერნის ბაღი“.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ყურადღებით აკვირდებიან ნამუშევრებს და პასუხს სცემენ ინტერაქტივის შემდეგ კითხვებს

8. ვინსენტ ვან გოგის სურათზე სხვადასხვა ფერის ოქროსფერი/ყვითელია გამოყენებული; წინა პლანზე ის უფრო მკვეთრია, ხოლო უკან ღიადება და სივრცის ილუზიას ქმნის.

9. სურათზე მშვიდი განწყობილება სუფევს. მზისგან და შროისგან დაღლილ ადამიანებს თივის ზვინთან სძინავთ.

10. გამოყენებულ ფერთაგან სხვადასხვა ტონ-

ალობის ყვითელი თბილ ფერებს მიეკუთვნება, ხოლო ცისფერი-ცივ ფერებს.

11. ბაღი ჟივერნიში ხასხასა იასამნისფერი, წითელი, მწვანე, ყვითელი ფერებითაა დახატული.

12. ამ სურათზე ცისარტყელას ფერებიც მოიძებნება

13. სურათი მხიარულ, ხალისიან განწყობას ბადებს და განსხვავდება ვან გოგის სურათის განწყობისაგან.

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუმტკიცოთ სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების, მათ შორის, ფერის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენების უნარი ნამუშევრის შექმნისას.

### აქტივობის შედეგი:

**ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭეკა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);
- იყენებს კონტრასტულ ფერებს;
- ქმნის კონტრასტულ ნამუშევრებს საპირისპირო წყვილების გამოყენებით (დიდი-პატარა, ბნელი-ნათელი და სხვ.);
- აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

### ინდიკატორი

- მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში (პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი, ყოფითი ჟანრი);

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 15 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფურცლები, ფანქრები, გუაშის საღებავი, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები



## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას ეარჩიონ თავისუფალი ტემა და შექმნან ნებისმიერი ჟანრის ნამუშევარი.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები იწყებენ მუშაობას. არჩევენ თემას და ნამუშევრის ჟანრს. შესაძლებელია, მათ თავდაპირველად უბრალო ფანქარით მკრთალად მოხაზონ ნამუშევრის დეტალები და შემდეგ შეუდგინონ მის დაფერვას.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი თვალყურს ადევნებს საკლასო დავალების შესრულების პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევით ეხმარება მოსწავლეებს.

## აქტივობა I II – პრეზენტაცია

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ საკუთარი ნამუშევრის წარდგენის, მასზე საუბრის, შესაბამისი ტერმინების გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთან ან ცნობილ ხელოვანთან ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 5 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და ადარებენ ერთმანეთს მათ. წარდგენისას საუბრობენრომელი მხატვრული ხერხები გამოიყენეს მისი ასახვისას.

**ტერმინები:** ტონალობა, ცივი და თბილი ფერები,

კონტრასტული ფერები, ფერის შეზავება, გალიავენა, პეიზაჟი

### შეფასების ფორმა: მიმდინარე

**კრიტერიუმები:** ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის უნარი, ფერების შესახებ არსებული ცოდნის (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები) პრაქტიკულად გამოყენების უნარი. მსჯელობის უნარი.

## 7. სურათი და დეტალი

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოეუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების უნარი და მასზე საკუთარი აზრის გამოთქმის უნარ-ჩვევა; განვითაროთ ხელოვნების ნაწარმოების ინტერპრეტირების უნარი. პრაქტიკულ ნამუშევარში ეპოქის შესაბამისი მნიშვნელოვანი დეტალების გამოსახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭეჭა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);
- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);
- იყენებს კონტრასტულ ფერებს;
- ქმნის კონტრასტულ ნამუშევრებს საპირისპირო წყვილების გამოყენებით (დიდი-პატარა, ბნელი-ნათელი და სხვ.)
- აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;

**ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

### ინდიკატორი

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/

ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;
- იცავს დროის ღირსეულად ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

#### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს.

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;
- ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);

## ბაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

აქტივობის მიზანი: მოსწავლეს განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვების, მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების და ელემენტების

ამოცნობის და შეფასების უნარი; განუვითაროთ ხელოვნების ნაწარმოების ჟანრის ამოცნობის უნარი.

აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

#### ინდიკატორი

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

დრო: 10 წთ

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

რესურსი: სახელმძღვანელო, დაფა, ფორმატი, ჭიკარტები, ფურცელი, კალამი, ფლომასტერი ან ფერადი ფანქარი.

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** გაკვეთილი იწყება მასწავლებლის შეკითხვით, რომლითაც იგი მიმართავს მოსწავლეებს: „როგორ ფიქრობთ, ადვილია თუ არა ხელოვნების ნაწარმოების აღწერა და რა არის ამისთვის საჭირო?“ მოსწავლეები პასუხობენ, რომ სურათის აღწერა საკმაოდ ადვილია, საკმარისია ცოტა ხანს უყურო მას და შეეცადო, არაფერი გამოგჩვენოს. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მოემზადონ საკლასო

დავალების შესასრულებლად, ყურადღებით გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სურათს და შეეცადონ, დათქმულ დროში (5 წუთი) დაწვრილებით აღწერონ ის.. ვიდრე დავალება შესრულდება მასწავლებელი დაფაზე ჭიკარტებით ამარაგებს დიდი ზომის ფორმატს, რომელზეც ამონერილია სიტყვები მის მიერ წინასწარ შესრულებული აღწერიდან. ეს სიტყვებია: ქალაქი, ქუჩა, ქვაფენილი, ქალი, მამაკაცი, გამვლელები, ქოლგები, ნვიმა, სახლები, ლამპიონი, ეტლი, ბორბალი და ა.შ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ასრულებენ საკლასო დავალებას. საკლასო დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები რიგრიგობით კითხულობენ სურათის აღწერას, ხოლო შემდეგ მასწავლებლის თხოვნით ამონებენ, რამდენი სიტყვა აქვთ გამოყენებული ფორმატზე ამონერილი სიიდან. ასეთ სიტყვებს ისინი ფერადი ფანქრით ან ფლომასტერით მონიშნავენ და შემდეგ ამონებენ, რომელ მათგანს აქვს გამოყენებული ყველაზე მეტი

სიტყვა მასწავლებლის მიერ გაკეთებული ჩამონათვალიდან. შემდგომ მასწავლებელი უკითხავს მათ სურათის აღწერის საკუთარ ვარიანტს: “სურათზე გამოსახულია ქალაქის ქუჩა. წვიმიანი ამინდია, გამვლელებს გაშლილი ქოლგები უჭირავთ ხელში. სურათის მარჯვენა კიდესთან ქალი და მამაკაცია გამოსახული. ისინი თითქოს სწრაფი ნაბიჯით მოემართებიან წინ, მაყურებლისკენ და, ამავე დროს, ინტერესით უმზერენ რაღაცას, რაც სურათის მიღმა დარჩა. მეორე მამაკაცის ფიგურა ზურგიდან მოჩანს და ნახევრად გადაჭრილია სურათის კიდიტ. სურათის სიღრმეში შენობის კუთხე მოჩანს, ხოლო ფანჯრების მწკრივებით დასერილი მისი ორივე ფასადი ირიბად იშლება სურათის სიღრმეში. სხვა ნაგებობის მხოლოდ ფრაგმენტები მოჩანს. სურათის ცენტრში ქუჩის მაღალი ლამპიონი დგას, მარცხენა კიდეში ნახევრად გადაჭრილი ეტლის ბორბალი იკითხება. ქუჩა ქვაფენილით არის მოკირწყლული, წვიმისაგან დასველებულია და ლაპლაპებს. მამაკაცს და ქალს ძველებური სამოსი აცვიათ: გრძელი კაბა და ქუდი – ქალს, ქურთუკი და მაღალი ქუდი (ცილინდრი) – მამაკაცს. სურათი შემთხვევით დანახული სცენის შთაბეჭდილებას ტოვებს”. მასწავლებლის მიერ შესრულებული აღწერის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ იმის შესახებ, რა გამოჩნათ სურათის აღწერისას, რას დაამატებდნენ მას. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, უპასუხონ ინტერაქტივის რამდენიმე შეკითხვას.

**პ.ი.კ. 1.** მოსწავლეები, სავარაუდოდ, ისეთ დეტალებზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორიცაა პერსონაჟების ჩაცმულობა, წვიმიანი ამინდი, ქოლგები, ქვაფენილი და ა.შ.

2. დეტალები მიგვანიშნებს იმაზე, რომ მოქმედება ქალაქში მიმდინარეობს, წვიმიანი ამინდია, ქუჩა სველია და ა.შ.

3. ისეთი დეტალების მეშვეობით, როგორიცაა სამოსი, ეტლის ბორბალი, ქუჩის ლამპიონი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომელ ეპოქას ასახავს სურათი; კერძოდ კი, XIX საუკუნეს.

მოსწავლეების აქტივობა

მოსწავლეები პასუხს სცემენ ინტერაქტივის კითხვებს და ეცნობიან ტერმინს „ეპოქა“.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ მათთვის ნაცნობი რამდენიმე ისტორიული ეპოქა და მიუთითონ მისი დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი. თუ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს ტერმინის მნიშვნელობა, მათ არ გაუჭირდებათ ასეთი ეპოქების დასახელება — მაგ. უძველესი ადამიანის ეპოქა, როდესაც ადამიანები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, ცხოველის ტყავი

ემოსათ და თავის გამოსაკვებად ცხოველებზე ნადირობდნენ; თანამედროვე ეპოქა – დიდი ქალაქების მანქანებით სავსე ქუჩები, თვითმფრინავები და რაკეტები, მეტრო და მრავალსართულიანი სახლები. მოსწავლეების პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს დასკვნას, საჭიროა თუ არა ტერმინის დამატებით განმარტება.

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განეუვიტაროთ დაკვირვების უნარი, ხელოვნების ნამუშევრის მიხედვით მასზე ასახული ეპოქის ამოცნობის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

მოსწავლეს განეუმიტვიცოთ სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების, მათ შორის, ფერის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენების უნარი ნამუშევრის შექმნისას.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ. IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.

### ინდიკატორი

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;

- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;

**ს.გ. IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

**მუშაობის ფორმა:** წყვილებში

**დრო:** 10 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** გაკვეთილის შემდეგ მონაკვეთი ეთმობა დავალებას, რომლის შესასრუ-



ლებლად მასწავლებელი წყვილებად ყოფს კლასს. თითოეულ წყვილს ევალება ამოირჩიოს სახელმძღვანელოს მომდევნო გვერდზე წარმოდგენილი ილუსტრაციიდან რომელიმე და დათქმული დროის განმავლობაში (5 წუთი) მოემზადოს ზეპირი პრეზენტაციისთვის. ამ დავალების შესრულებაში მოსწავლეებს ინტერაქტივის შეკითხვები დაეხმარებათ.

### მოსწავლეების აქტივობა

მოსწავლეები პასუხობენ ინტერაქტივის შეკითხვებს.

**პ.ი.კ.** პირველ სურათზე რომაულ საომარ სამოსში გამოწყობილი მამაკაცები არიან წარმოდგენილნი. მათ თავზე მუზარადები ახურავთ, ერთ-ერთ მათგანს ხელში შუბი უჭირავს. ისინი თითქოს საომრად ემზადებიან. მეორე სურათზე გრძელ ძველებურ კაბაში გამოწყობილი ქალია წარმოდგენილი. მას კაბაზე გრძელი თეთრი წინსაფარი უკეთია, თავზეც თხელი ქუდი ახურავს. ხელში ლანგარზე დადებული წყლით სავსე ჭიქა და ფინჯანი უდევს. როგორც ჩანს, ეს მოახლეა. მესამე სურათი ეგვიპტელ ქალბატონსა და მის მსახურს გამოსახავს. მათ უცნაური ვარცხნილობა და სამოსი აქვთ.

აქტივობის შესრულების შემდეგ მასწავლებელი საუბრობს იმ დეტალების მნიშვნელობაზე, რომლებიც მიგვანიშნებს ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაზე და სთხოვს მოსწავლეებს, თავადაც მოემზადონ ამ ტიპის დავალების შესასრულებლად

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ნაცნობი ტექსტის მიხედვით, ნამუშევრის წარმოსახვით შექმნის უნარი სახასიათო დეტალების ასახვის გზით.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭიქა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, კონტურს და შტრიხს;
- ფერების შეზავებით იღებს სასურველ ფერს (მაგ., მოყვითალო მწვანე, მოლურჯო მწვანე);

- თეთრის ან შავი ფერის დამატებით ცვლის ფერის ტონალობას (ნათელი-ბნელი, ვარდისფერი, რუხი, ცისფერი და სხვა);

- იყენებს კონტრასტულ ფერებს

- სხვადასხვა ხერხით (ფორმით, ზომით, ფერით) გამოყოფს ნამუშევარში მთავარს;

- სხვადასხვა მხატვრული ხერხით ნამუშევარში გადმოსცემს დინამიკას (ქარი, ფეხბურთი, ფოთოლცვენა და სხვ.).

**დრო:** 15 წთ

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი უკითხავს მოსწავლეებს ნაწყვეტს ზღაპრიდან „კონკია“ და სთხოვს, სასურველი სახატავი მასალით ასახონ ის ნამუშევარში.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები მათთვის სასურველი სახატავი მასალით ასრულებენ ნამუშევარს; ასახავენ ზღაპარში აღწერილ სცენას და მის სახასიათო დეტალებს.

## აქტივობა IV

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გამოვუმუშაოთ საკუთარი ნამუშევრის წადგენის უნარ-ჩვევა, გამოყენებული ხერხების და ტექნიკის აღწერის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 5 წთ

**რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

**მოსწავლის აქტივობა:** სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და მსჯელობენ მათ შესახებ, აღწერენ, რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას, რომელ დეტალებს მიაქცევს ყურადღება, როგორი განწყობის ასახვა სურდათ.

**ტერმინები:** ეპოქა, დეტალი,

**შენიშვნა:** კლასის საჭიროებიდან ან მისი რიცხოვნებიდან გამომდინარე მოსწავლეები წყვეტს რამდენი გაკვეთილი დაუთმოს ნამუშევრის შესრულებას, სესაძლოა, მოსწავლეებმა ნამუშევარი მომდევნო გაკვეთილზე დაასრულონ და წარუდგინონ კლასს.

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტიკიუმები:** ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვებისა და მისი გულდასმით აღწერის უნარი, დეტალების მეშვეობით ისტორიული ეპოქის (ძველისა და თანამედროვეს) ამოცნობის უნარი, პრაქტიკულ ნამუშევარში ეპოქის შესაბამისი მნიშვნელოვანი დეტალების გამოსახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

## 8. შემოდგომის ნობათი

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოუშუშავთ ხელოვნური რესურსის შემოქმედებითად გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

**ინდიკატორი**

- ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);

- მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

- ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით;

**ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

**ინდიკატორი**

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;

- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;

- ირჩევს სამუშაო იარაღებს, მასალას, აწესრიგებს მათ განსაზღვრული დროის მონაკვეთში.

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

**ინდიკატორი**

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ბუნებრივი მასალის გამოყენებით ნებისმიერი ნივთის ორიგინალურად შემკობის უნარ-ჩვევა. სხვადასხვა ტიპის სახატავი და ბუნებრივი რესურსის ერთ დეკორატიულ ნამუშევარში გამოყენების პრაქტიკული ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

**ინდიკატორი**

- ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);



- მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

- ქმნის გარემოში არსებული განსხვავებული ფაქტურის იმიტაციას/ილუზიას მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით;

**ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

**ინდიკატორი**

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;

- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;

- ირჩევს სამუშაო იარაღებს, მასალას, აწესრიგებს მათ განსაზღვრული დროის მონაკვეთში.

**დრო: 25 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური (მანავლებლის გადაწყვეტილებით სამუშაო შესაძლებელია შესრულდეს წყვილებში)

**რესურსი:** სახელმძღვანელო, სხვადასხვა სახის ბუნებრივი **რესურსი:** ფერადი ფოთლები, გირჩები, ტოტები, ქოთანნი ან ნებისმიერი სხვა საგანი, ნებო, საღებავები, ფუნჯი, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები

**აქტივობის მოკლე აღწერა**

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეებს გაკვეთილზე მოაქვთ წინასწარ შეგროვებული ფერადი ფოთლები და გასაფორმებლად შერჩეული რაიმე ნივთი. მასწავლებელი ურჩევს მათ, რომ პრაქტიკული სამუშაოს დაწყებამდე მოიფიქრონ, როგორ სურთ ბუნებრივი რესურსის გამოყენება, ნივთის რომელ ნაწილს შეამკობენ; სურთ თუ არა თავად ნივთიც გააფერადონ და ა.შ. როდესაც ყველა საჭირო მასალა მომზადებულია და მოსწავლეებს მოფიქრებული აქვთ როგორ გამოიყენებენ მას, ისინი მზად არიან პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები არჩევენ და ახარისხებენ ფერად ფოთლებს. შესაძლებელია, რომელიმე ფოთოლსაც შეუცვალონ ფერი საღებავებისა და ფუნჯის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ურჩევს მათ, ცოტა ხანი მოიცადონ, ვიდრე შეღებილი ფოთლები გაშრება. ამ დროის განმავლობაში მოსწავლეები თავად ლარნაკს (ქო-

თანს) აფერადებენ. შესაძლოა, რაიმე ორნამენტი, ან ფოთლის ფორმები გამოიყენონ და ამგვარად გააფერადონ ის ადგილები, რომლებიც ფოთლებით არ დაიფარება. შემდეგ ფოთლები წებოს საშუალებით მაგრდება მათთვის განკუთვნილ ადგილებზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ნივთებს ამზადებენ პრეზენტაციისათვის.

**აქტივობა II**

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ დეკორატიულ-გამოყენებითი სახის ნივთის წარდგენის, მისი აღწერის და გამოყენებული რესურსების (ბუნებრივი და ხელოვნური) ჩამოთვლის უნარი.

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

**ინდიკატორი**

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო: 10 წთ**

**რესურსი:** დეკორატიულად შემკული საგანი

**აქტივობის მოკლე აღწერა**

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები აწყობენ საკუთარი ნამუშევრების გამოფენას და პრეზენტაციას. ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრონ, როგორ გამოიყენეს ბუნებრივი და ხელოვნური რესურსი. სასურველია, რიგრიგობით გამოთქვან აზრი თანაკლასელთა ნამუშევრების შესახებ. დეკორატიულად შემკული ლარნაკებით, შესაძლებელია, გალამაზდეს საკლასო ოთახი.

**ტერმინები:** დეკორატიული, ბუნებრივი და ხელოვნური რესურსი.

**შენიშვნა:** კლასის საჭიროებიდან ან მისი რიცხოვნებიდან გამომდინარე მასწავლებელი წყვეტს ინდივიდუალურად იმუშავებენ მოსწავლეები თუ წყვილებში.

**შეფასების ფორმა: მიმდინარე**

**კრიტერიუმები:** ბუნებრივი რესურსის გამოყენების უნარი; შემოქმედებითი მიდგომა რესურსის მიმართ, საპრეზენტაციო უნარები.

## 9. ბუნება და ძეგლი

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოეუმუშავოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაციის და აღწერის უნარი, გაეუღვივოთ ინტერესი კონკრეტულ რეგიონში მდებარე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების მიმართ; განეუფიფაროთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის შესაბამისი გარემოს წარმოსახვით შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქეჩა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- იჩვენებს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, კონტურს და შტრიხს;
- აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;
- შეარჩევს და განალაგებს სხვადასხვა ზომის გამოსახულებებს წინა და უკანა ხედის გადმოსაცემად;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განეუფიფაროთ ისტორიულ ძეგლებზე და გარემოზე დაკვირვების უნარი. ძეგლების ფიქსაციის უნარი. განეუმტკიცოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ საუბრის, საკუთარი შთაბეჭდილებების გამოსატყობის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**დრო: 10 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ყოფნისას გაკეთებული ჩანახატი და ფოტოები.

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეებს მომზადებული აქვთ საკუთარი ხელით შექმნილი ვიზუალური მასალა – რომელიმე ძეგლზე ყოფნისას გაკეთებული ჩანახატი და ფოტოები. მათი დათვალიერებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ როგორი მდებარეობა ჰქონდა თავად ძეგლს, როგორი გარემო

იყო მის ირგვლივ. მოსწავლეები საუბრობენ ერთად ნანახი ძეგლების შესახებ (ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ ქართული ეკლესია-მონასტრები, არამედ ციხეები, კოშკები, საცხოვრებელი სასახლეები და ა.შ.). საუბრისას მოსწავლეები აღწერენ ძეგლის მდებარეობას – ბორცვზე, მთის წვერზე, გაშლილ ადგილას, მდინარის ნაპირზე და ა.შ. ახასიათებენ ბუნებას, რომელიც ამა თუ იმ ძეგლის გარშემოა. მასწავლებელი უსვამს მათ დამხმარე შეკითხვებს. ცდილობს დააკონკრეტებინოს, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს განსხვავებული ბუნებრივი მდებარეობის მქონე ძეგლები მნახველზე.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები საუბრობენ ერთად ნანახი ძეგლების შესახებ (ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ ქართული ეკლესია-მონასტრები, არამედ ციხეები, კოშკები, საცხოვრებელი სასახლეები და ა.შ.). საუბრისას მოსწავლეები აღწერენ ძეგლის მდებარეობას – ბორცვზე, მთის წვერზე, გაშლილ ადგილას, მდინარის ნაპირზე და ა.შ. ახასიათებენ ბუნებას, რომელიც ამა თუ იმ ძეგლის გარშემოა. მასწავლებელი უსვამს მათ დამხმარე შეკითხვებს, ცდილობს დააკონკრეტებინოს, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს განსხვავებული ბუნებრივი მდებარეობის მქონე ძეგლები მნახველზე.

მოსწავლეები მასწავლებლის თხოვნით ეცნობიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ თეორიულ და ვიზუალურ მასალას. ინტერაქტივის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას მოსწავლეები აღწერენ ფოტოებზე წარმოდგენილი ძეგლების მდებარეობას.

**პ.ი.კ. 1.** პირველ ფოტოზე კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი — ვარძიაა გამოსახული. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ მთელი კომპლექსი კლდის მასივშია განთავსებული და თითქოს ბუნების განუყოფელ ნაწილად არის ქცეული. მეორე ფოტო მთის წვერზე მდებარე ქართულ ეკლესიას — გერგეტის სამებას წარმოგვიდგენს. მისი სილუეტი ბუნებრივი მთის ფერდობის გაგრძელებასავით იკითხება და თითქოს ერთ არსებად არის ქცეული მასთან. ზარზმა და ტიმოთესუბანი ტყეში დგას და შორიდან არ ჩანს. ისინი გზაზე მიმავალთ უეცრად წარმოუდგება თვალწინ და ირგვლივ არსებულ ბუნებასთან ჰარმონიულად არის შერწყმული.

2. მოსწავლეები აღწერენ მათი სოფლის ან ქალაქის რომელიმე ეკლესიის მდებარეობას, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, ტიპიურია თუ არა ასეთი გარემო მათი რეგიონისათვის (მაგ., მაღალმთიან რეგიონებში მთის წვერზე მდებარე ეკლესიები და ა.შ.).

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** ისტორიულ ძეგლის და მისი

გარემოს ასახვის უნარი სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ხერხის და ტექნიკის გამოყენებით.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.**

### ინდიკატორი

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;
- იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, კონტურს და შტრიხს;
- აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;
- შეარჩევს და განალაგებს სხვადასხვა ზომის გამოსახულებებს წინა და უკანა ხედის გადმოსაცემად;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 15 წთ

**რესურსი:** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გადაღებული ფოტოები, ნებისმიერი სახატავი მასალა, ფურცელი

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი დავალების გამარტივების მიზნით დაფაზე აკრავს წინასწარ დაბეჭდილ ფოტოებს, რომლებზეც კლასთან ერთად მონახულებული ძეგლი და მისი გარემოა აღბეჭდილი.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ნებისმიერი სახატავი მასალის გამოყენებით ხატავენ მათ მიერ ნანახ რომელიმე ქართულ ძეგლს და აუცილებლად გამოსახავენ რეალურ გარემოს მათ ირგვლივ. პრაქტიკული სამუშაო ინდივიდუალურად სრულდება და ნამუშევრების დასრულებისას მოსწავლეები პრეზენტაციისათვის ემზადებიან

## აქტივობა III

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუვითარდეს საკუთარი ნამუშევრის წარდგენის უნარი. ნამუშევარში გამოყენებული სახვითი ხელოვნების ელემენტების, ხერხების აღწერის, ტერმინების გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა**



შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

#### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

#### ინდიკატორი

- აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ.

- **დრო:** 10 წთ

- **მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

- **რესურსი:** კლასში შესრულებული ნამუშევარი

**ტერმინები:** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ფიქსაცია,

**შენიშვნა:** ამ გაკვეთილისთვის მზადებას მასწავლებელი და მოსწავლეები სასწავლო წლის დანებებისთანავე იწყებენ. ექსკურსიაზე ყოფნისას იხატავენ ან ფოტოზე აფიქსირებენ ნანახ ძეგლებს. ეს მასალა ვიზუალური რესურსის ფუნქციას იძენს უშუალოდ გაკვეთილის მსვლელობისას.

შესაძლოა, აგრეთვე მასწავლებელმა განსხვავებული სტრატეგია აირჩიოს და დავალება შესრულდეს ექსკურსიაზე ყოფნის დროს.

#### შეფასების ფორმა: მიმდინარე

**კრიტერიუმები:** ბუნებასა და ძეგლზე დაკვირვების უნარი, ძეგლის და გარემოს შეხამების შეფასება, ადგილობრივი ძეგლების ფიქსაციისა და მარტივად აღწერის უნარ-ჩვევა. სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების გამოყენებით ისტორიული ძეგლის ასახვის უნარი.

## 10. დიდი ხელოვანები

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნოთ დიდი ხელოვანების ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ფაქტები, მათი ნაწარმოებები. გამოვუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე დაკვირვებისა და მისი ანალიზის უნარი, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების უნარ-ჩვევა.

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

#### ინდიკატორი

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

#### ინდიკატორი

- აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

### გაკვეთილის მსვლელობა

#### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნოთ აღორძინების ეპოქის ორი დიდი ხელოვანის-ლეონარდო და ვინჩისა და რაფაელის შემოქმედების თავისებურებები. განვუვითაროთ მათი შემოქმედების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.



## ინდიკატორი

• სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

• საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**დრო: 15 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო, მასწავლებლის მიერ მომზადებული რესურსი, მაგალითად, ელექტრონული რესურსი აღორძინების ეპოქის დიდ ხელოვანთა შემოქმედების შესახებ.

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს აღორძინების ეპოქის შესახებ და ამ ეპოქის ორი უდიდესი ხელოვანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას აცნობს მათ. იგი საუბრობს ლეონარდოზე, რომელიც არა მხოლოდ ფერმწერი, არამედ მოქანდაკე და ინჟინერ-გამომგონებელიც იყო. სასურველია, მოსწავლეებმა ნახონ მათი შემოქმედების ამსახველი ვიდეომასალა.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები საუბრობენ იმ ნამუშევრებზე, რომლებიც გაკვეთილზე ნახეს. შესაძლოა, როელიმე მათგანს ტელევიზიით ნანახი აქვს ლეონარდოს ან რაფაელის სხვა ნამუშევრები. ისინი აღნიშნავენ, როგორი ოსტატობითაა დახატული ადამიანთა ფიგურები, მათი სამოსი, ქსოვილის ფაქტურა. საუბარი შეიძლება შეეხოს იმ ემოციას და განწყობილებას, რომელიც ამ ნამუშევრებს ახასიათებს.

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავაცნობიერებინოთ დიდი ხელოვანების შემოქმედების თემატიკა;

გამოვუმუშაოთ აღორძინების ეპოქის შემოქმედთა შესახებ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების ჩვევები.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.

## ინდიკატორი

• აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

• საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 20 წთ

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ელექტრონული რესურსი, კომპიუტერი და პროექტორი.

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამოირჩიონ ერთი ნამუშევარი სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალიდან და მოკლედ გააკეთოს მისი პრეზენტაცია: აღწეროს, აღნიშნოს, რას მოუთხრობს ნამუშევარი ეპოქის შესახებ, ხომ არ ეცნობა რომელიმე სიუჟეტი და სხვ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ასრულებენ დავალებას. საუბრობენ ცნობილ ნამუშევრებზე, ყურადღებას ამახვილებენ დეტალებზე, რომლებიც აღორძინების ეპოქისთვის არის დამახასიათებელი.

**ტერმინები:** აღორძინების ეპოქა, ვატიკანი, პაპი,

**შენიშვნა:** მასწავლებელს შესაძლებელია მომზადებული ჰქონდეს დამატებითი მასალა ლეონარდო და ვინჩისა და რაფაელის შესახებ, რომელსაც იგი გაკვეთილზე გააცნობს მოსწავლეებს. მდიდარი ვიზუალური მასალის ჩვენება შესაძლებელია შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენებით:–

<https://www.leonardoda-vinci.org/>

<https://burusi.wordpress.com/2009/08/20/leonardo-da-vinci/>

<https://burusi.wordpress.com/2010/10/13/raphael/>

<https://burusi.wordpress.com/2010/10/13/raphael/>

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტიკუმი:** ხელოვნების ნაწარმოებზე მსჯელობის, მისი ანალიზის უნარი; დიდ ხელოვნება ნამუშევრებზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უნარ-ჩვევა.

## 11. დეკორატიული ბოთლები

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოეჩინებოდა ფორმით ან პლასტიკით პლასტიკური ფორმების შექმნისა და შემკობის, დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარ-ჩვევა; განეუმტკიცოთ საძერწი მასალის შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

### ინდიკატორი

- ძერწავს და ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს, კონსტრუქციებს სხვადასხვა (ბუნებრივი, ხელოვნური) მასალის გამოყენებით;

- ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);

- მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

**ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;

- იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთან ან ცნობილ ხელოვნება ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის

წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთან ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს.

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავუღვივოთ მოტივაცია, ხელოვნური საძერწი მასალა შემოქმედებითად გამოიყენოს, განეუვითაროთ დეკორატიული გამოყენებითი ტიპის საგნის შექმნის უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

### ინდიკატორი

- ძერწავს და ქმნის მცირე პლასტიკის ნიმუშებს, მარტივ კომპოზიციებს, კონსტრუქციებს სხვადასხვა (ბუნებრივი, ხელოვნური) მასალის გამოყენებით;

- ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);

- მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

**ს.გ.IV.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს თანაკლასელებთან თანამშრომლობით (წყვილში, გუნდში) შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და განხორციელება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთობლივი მუშაობისას (ლონისძიების დაგეგმვა/განხორციელება, ნამუშევრის შექმნა წყვილში/ჯგუფში) უზიარებს თანაკლასელებს განსხვავებულ მოსაზრებებს, იდეებს, მათთან ერთად იღებს საერთო გადაწყვეტილებებს;

- იჩენს სხვებთან თანამშრომლობის ინიციატივას და ეხმარება თანაკლასელებს;

• იცავს დროის ლიმიტს ყველა ტიპის აქტივობის შესრულებისას;

**დრო:** 25 წთ

**მუშაობის ფორმა:** წყვილებში

**რესურსი:** სახელმძღვანელო, მინის ბოთლი, პლასტილინი, საჭრელი დანა და დაფა, ხელსახოცები.

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის მთავარ თემას-მათ საკუთარი ხელით უნდა შეამკონ მინის ბოთლი სხვადასხვა ფერის პლასტილინის გამოყენებით. ამისთვის მათ საკმარისი რაოდენობით უნდა ჰქონდეთ მომარაგებული მინის (ან სხვა მასალის) ბოთლები (შესაძლებელია, სხვა ფორმის ჭურჭელი გამოიყენონ). მოსწავლეები წყვილებში ემზადებიან დავალების შესასრულებლად. მასწავლებელი ურჩევს მათ თავიდანვე გაინაწილონ ფუნქციები და დასახული გეგმის მიხედვით შეუდგენონ მუშაობას: გადაწყვიტონ, ვინ რას გააკეთებს გაკვეთილზე.

მასწავლებელი საუბრობს იმის შესახებაც, რომ მოსწავლეებმა თავიდანვე გადაწყვიტონ, როგორ დეკორს გაუკეთებენ ბოთლს. დეკორი შეიძლება გეომეტრიული იყოს და მხოლოდ ფერადი ხაზების ან გეომეტრიული ფორმებისგან შედგებოდეს. ან ფერად ზედაპირზე მცენარეული ორნამენტი, ყვავილების გამოსახულებები გამოიყენონ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეთა წყვილები იწყებენ მუშაობას. მასწავლებლის რჩევის გათვალისწინებით ისინი თანხმდებიან, როგორ შეამკობენ ბოთლს. ერთ-ერთი მათგანი დანისა და დაფის გამოყენებით ჭრის ფერადი პლასტილინის ზოლებს და ამზადებს საძერწად. მეორე ფერად ზოლებს ამრგვალებს და შემდეგ იწყებენ ბოთლის ზედაპირზე პლასტილინის დაძერწვას. ერთ მოსწავლეს ხელით მყარად უჭირავს ბოთლი, მეორე შემოახვევს პლასტილინის ზოლს და ხელით აძერწავს ბოთლს გარშემო.

სამუშაოს ბოლო ეტაპზე კეთდება დამამთავრებელი დეკორატიული ელემენტები, მაგალითად, ყვავილების, მზე და სხივები, მთვარე და ვარსკვლავები და სხვ.

მოსწავლეები ასრულებენ მუშაობას და ემადებიან ნამუშევრების პრეზენტაციისათვის.

### აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუმტკიცოთ ერთობლივად შექმნილი ნამუშევრის (დეკორატიული საგნის) წარდგენის, გამოყენებული მასალის და ხერხების შესახებ საუბრის, ტერმინების სწორად გამოყენების უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს.

**მუშაობის ფორმა:** წყვილებში

**დრო:** 10 წთ

**რესურსი:** კლასში ერთობლივად შექმნილი ნამუშევარი

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები წყვილებში ახდენენ ნამუშევრების პრეზენტაციას, საუბრობენ, როგორ გამოიყენეს მასალა, რა გადაწყვეტილებები მიიღეს მუშაობის დროს, გააზრებულად იყენებენ შესაბამის ტერმინებს.

**ტერმინები:** საძერწი მასალა პლასტილინი, დაძერწვა, დეკორატიული ნივთი.

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტიკუმიები:** საძერწი მასალის ორიგინალურად გამოყენება, დეკორატიული ნამუშევრის შექმნის უნარი, თანამშრომლობის უნარი.



# 12. აირჩიე მასალა

## შემაჯამებელი გაკვეთილი

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ ბუნებრივი და ხელოვნური მასალის გამოყენებით დეკორატიული ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა. გავუღვივოთ ფანტაზია და განვუმტკიცოთ სხვადასხვა ტიპის მასალის, ტექნიკის და პროცედურის შემოქმედებითად გამოყენების უნარი..

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

### ინდიკატორი

- ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);
- მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლემ:

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;
- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;
- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას (მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);
- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;
- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს.

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს გავუღვივოთ ფანტაზია, რათა ბუნებრივი და ხელოვნური სალით განუ-

ვითარდეს ორიგინალური ნამუშევრის შექმნის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

### ინდიკატორი

- ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);
- მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

**დრო: 25 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფორმატი ან თაბახის ფურცელი, ბუნებრივი მასალა (ნებისმიერი მარცვლეული), სახატავი ფანქრები, ნებო, ფერადი ქალაღები და სხვ.

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** გაკვეთილის დაწყებისთანავე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოამზადონ შინიდან მოტანილი ბუნებრივი რესურსი: სხვადასხვა სახის მარცვლეული, ყავა, ფოთლები და ა.შ. ამ რესურსის მოტანა მათ წინა გაკვეთილზე მასწავლებელმა დაავალა. როდესაც ბუნებრივი რესურსი თითოეულ მოსწავლეს მერხზე უდევს, მასწავლებელს კი საკუთარ მაგიდაზე აქვს მომზადებული, იგი ეკითხება მოსწავლეებს: „როგორ ფიქრობთ, რატომ მოვამზადეთ ასეთი უცნაური მასალა, რის გაკეთებას ვაპირებთ დღეს?“ შესაძლებელია პასუხები იყოს სხვადასხვაგვარი, სახუმარო და ა.შ. მოსწავლეთა ერთი ნაწილი, სავარაუდოდ, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნებისმიერი მასალის გამოყენებით შეიძლება შეიქმნას ნამუშევარი. მასწავლებელი ისევ ეკითხება მათ: „ხომ არ გიცდიათ ასეთი ან მსგავსი მასალით ნამუშევრის შექმნა?“ მოსწავლეები ასახელებენ იმ ნამუშევრებს, რომელთა შესაქმნელად მათ ბუნებრივი ან ხელოვნური რესურსი აქვთ გამოყენებული. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ერთად გაეცნონ გაკვეთილის ტექსტს და ილუსტრაციებს

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები გულდასმით ეცნობიან სახელმძღვანელოში გაკვეთილის ტექსტს და ათვალთვლებენ ილუსტრაციებს. გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა სახის რესურსია გამოყენებული სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნამუშევრების შესაქმნელად. მოსწავლეები ასახელებენ ბრინჯს, წინიბურას, სიმინდის მარცვლებს, მწვანე ფოთლებს და სხვ. კლასში იმართება მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ირჩევა საზოგადოდ მასალა ამა თუ იმ ნამუშევრის შესაქმნელად.



**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ და გადაწყვიტონ, მომზადებული რესურსით როგორი ნამუშევრის შექმნა სურთ. ბუნებრივი რესურსის ხასიათიდან გამომდინარე იგი რჩევებს აძლევს მოსწავლეებს, მაგალითად, უთითებს, რომ ბრინჯით ბუმბულის ფაქტურის იმიტაცია შეიძლება შეიქმნას, დახეული ფერადი ქაღალდებით წყლის ტალღების ან ღრუბლების და ასე შემდეგ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ინდივიდუალურად იწყებენ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას. თითოეულ მათგანს წინასწარვე აქვს მოფიქრებული, როგორი ნამუშევრის შექმნა უნდა და, სახელდობრ, რომელ დეტალებს შეასრულებს ბუნებრივი ან ხელოვნური რესურსის გამოყენებით.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი თვალყურს ადევნებს პრაქტიკული სამუშაოს მიმდინარეობას, ურჩევს ჯერ კონკრეტული ნახატის მეშვეობით მოხაზონ სასურველი ფორმა/ფორმები და შემდეგ ფაქიზად დაანებონ ზედ მომზადებული ბუნებრივი რესურსი. განსაკუთრებით მისასაღმებელია, როდესაც მოსწავლე შემოქმედებითად მიუდგება სამუშაოს და ორიგინალურ დეტალებს შეასრულებს ბუნებრივი რესურსით. პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად 25 წუთია დათქმული. დროის ლიმიტის ამოწურვის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ მუშაობას და ემზადებიან პრეზენტაციისათვის.

## აქტივობა II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუმტკიცოთ განსხვავებული მასალით შექმნილი ნამუშევრის წარდგენის უნარი, გამოყენებული ხერხების, ფაქტურის დასახელების უნარი,

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

### ინდიკატორი

- ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

- საუბრისას იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას

(მასალის ჩამოთვლისას, სახვითი ხელოვნების ელემენტების დასახელებისას, მაგ., სქელი კონტური გამოვიყენე და სხვა);

- უსმენს, აცდის სხვებს აზრის გამოთქმას, სვამს და პასუხობს კითხვებს, ურჩევს და თავად იღებს რჩევებს, ხმარობს კორექტულ გამოთქმებს;

- ნამუშევრის წარდგენისას მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელებს

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**რესურსი:** კლასში შექმნილი ნამუშევარი

## აქტივობის მოკლე აღწერა

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები კლასს წარუდგენენ ნამუშევრებს და საუბრობენ, როგორ გამოიყენეს ბუნებრივი და ხელოვნური მასალა ამა თუ იმ ეფექტის მისაღწევად. გააზრებულად იყენებენ შესაბამის ტერმინებს.

**ტერმინები:** ფაქტურა, ბუნებრივი და ხელოვნური რესურსი/მასალა

**შეფასების ფორმა:** შემაჯამებელი

შემაჯამებელი შეფასების რუბრიკა

პრაქტიკული სამუშაოს შეფასება

**პრაქტიკული სამუშაოს სახეობა:** დეკორატიული ნამუშევარი ხელოვნური და ბუნებრივი მასალით

**შეფასების კრიტერიუმები:** ორგანიზებულიობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)

(ს.გ.1.2) – \* სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტების ფლობა; (ს.გ. I. 1) – \* სხვადასხვა მასალის და ტექნიკის ფლობა (ს.გ. I. 1) – \* შემოქმედებითი მიდგომა ჩანაფიქრის განხორციელებისადმი

## 13. ვხედავ, ვუსმენ, ვეხები

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ გარემოზე და საკუთარ თავზე დაკვირვების უნარი; გავაცნოთ ადამიანის შეგრძნების ორგანოები და გამოვუვმუშავოთ მათი მეშვეობით ხელოვნების ნაწარმოების აღქმის უნარი.

**გაკვეთილის შედეგი:**

ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;
- ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);
- ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);
- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო

**პ.ი.კ. 1.** სმენა და გემო.

2. მოსწავლეები იხსენებენ ნანახ სპექტაკლს და ცდილობენ ჩამოთვალონ შეგრძნების ის ორგანოები, რომლებიც წარმოდგენის აღქმაში მონაწილეობს: თვალები, ყურები.

3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩამოთვალონ ხელოვნების ნაცნობი დარგები და შეეცადონ, განსაზღვრონ, რომელი ორგანოები მონაწილეობს ამა თუ იმ დარგის ნაწარმოების აღქმაში. მოსწავლეები, სავარაუდოდ, ასახელებენ სმენას, რომელიც მუსიკის, ოპერის, სიმფონიური ორკესტრის კონცერტის და ა.შ. აღქმისას მონაწილეობს; მხედველობას – სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის – მხატვრობის, ქანდაკების – აღქმისას და ა.შ. ამ დავალების შესრულებაში მოსწავლეებს ეხმარება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ფოტოები, რომლებზეც ხელოვნების სხვადასხვა დარგი ან ამ დარგის ნაწარმოებია წარმოდგენილი.

**ტერმინები:** შეგრძნების ორგანოები

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** ადამიანის შეგრძნების ორგანოების იდენტიფიცირების უნარი, მათი მეშვეობით ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებების აღქმის უნარი, დაკვირვების და მისი შედეგების განზოგადების უნარი.

## 14. სიმეტრია და ასიმეტრია

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გავუაქტიუროთ სიმეტრიისა და ასიმეტრიის ცნებათა ცოდნა, გაცნოთ სიმეტრიის ღერძის ცნება და გამოვუმუშავოთ სიმეტრიული ფორმის შექმნის პრაქტიკული უნარჩვევა. განვუფითაროთ ბუნების ობიექტებზე დაკვირვების უნარი

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

**ინდიკატორი**

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

- კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს.

### გაკვეთილის მსვლელობა

#### აქტივობა I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განვუმტკიცოთ სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმების ამოცნობის და შექმნის უნარი.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

**ინდიკატორი**

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭექა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;

**დრო: 10 წთ**

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფურცელი, სახატავი მასალა, ბუნებრივი რესურსი (ფოთლები, ყვავილები, ვაშლი, ნიგოზი და ა.შ.).

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს წარუდგენს წინასწარ მომზადებულ ბუნებრივ რესურსს (სიმეტრიული ფორმის მქონე მცენარეებს) – ნიგოზის ლებანს, გაჭრილ ვაშლს, ფოთლებს, ყვავილს და ა.შ. იგი მოსწავლეებს ყურადღებას ამახვილებინებს ამ ფორმების ერთ საერთო თავისებურებაზე, კერძოდ კი: თითოეული მათგანი ზუსტად შუაზე რომ გავეყოთ, ორ თანაბარ ნაწილს მივიღებთ. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება კლასს: „რა ეწოდება ასეთ ფორმებს?“ მოსწავლეებს წინა კლასში ნასწავლი აქვთ სიმეტრიის ცნება და პასუხობენ დასმულ კითხვას – ამგვარ ფორმებს სიმეტრიული ეწოდება. მორიგი შეკითხვა ასიმეტრიის ცნებას ეხება, რაც მოსწავლეებს აგრეთვე ნასწავლი აქვთ. მათი პასუხებიდან, ალბათ, გამოჩნდება, რომ მათ ესმით, რა შემთხვევაშია ფორმა ასიმეტრიული ანუ როდესაც საგნის გაყოფისას ვიღებთ ორ არათანაბარ ნაწილს. ამ აქტივობის მიზანია, გაახსენოს მოსწავლეებს სიმეტრიისა და ასიმეტრიის ნასწავლი ცნებები და მოამზადოს ნიადაგი ახალი ცნების – სიმეტრიის ღერძის გასაცნობად.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს მომარაგებულ რესურსს – სიმეტრიული ფორმის ფოთლებს და სთხოვს, რომ მათ წარმოსახვითი ხაზი გაავლონ ფოთლის შუაში. ინტერაქტივის კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები უნდა

შეეცადონ, წარმოიდგინონ, რამდენ ნაწილად გაიყო ფოთოლი და თანაბარია თუ არა ეს ნაწილები. მოსწავლის აქტივობა

**პ.ი.კ. 1.** ფოთოლი ორ ნაწილად გაიყო.

2. ეს ნაწილები თანასწორი, ერთმანეთის მსგავსია.

3. 1, 2 და 3 ფოტოზე წარმოდგენილი ფორმები სიმეტრიულია, 4-ზე კი – ასიმეტრიული.

4. ვაშლი, ატამი, ლობიოს მარცვალი სიმეტრიული ფორმებია; ზოგიერთი სამოსი ან მანქანა შეიძლება ასიმეტრიული, არათანაბარი იყოს.

მათი პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი განმარტავს, რომ ხაზი, რომელიც ზუსტად ორ ტოლ და ერთმანეთის მსგავს ნაწილად ყოფს საგანს სიმეტრიის ღერძს წარმოადგენს

### აქტივობა I I

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუუმტკიცოთ სხვადასხვა ხერხით სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმების შექმნაში

**აქტივობის შედეგი:** ს.გ. IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

**ინდიკატორი**

- ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქეჩა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);
- ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**რესურსი:** მასწავლებლის მიერ წინასწარ ამობეჭდილი ფურცლები სანახევროდ მოხაზული საგნებით. ფანქარი, საშლელი

### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** „როგორ ფიქრობთ – მიმართავს მასწავლებელი კლასს შეკითხვით – შესაძლებელია თუ არა აქვე კლასში რაიმე ხერხით შევექმნათ სიმეტრია და ასიმეტრია?“ სავარაუდოდ, მოსწავლეები შესთავაზებენ სიმეტრიული კომპოზიციის შექმნის მარტივ ხერხებს. მაგ., მაგიდის ზედაპირზე ნივთების სიმეტრიულად ან ასიმეტრიულად განლაგებას, დაფაზე ნაწერის ორივე ხერხით მოთავსებას და ა.შ., რასაც ისინი განახორციელებენ კიდევ კლასში. სიმეტრიული ფორმის შესაქმნელად.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს წინასწარ ფურცელზე სანახევროდ მოხაზულ ორ ფორმას, რომელიც მოსწავლეებმა უნდა სიმეტრიულად დაასრულონ.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები ცდილობენ წარმოდგენილი ფორმებისათვის მეორე ნახევრის მიხატვას ისე, რომ დასრულებული ნახატი სიმეტრიული გამოვიდეს. მასწავლებელი თვალყურს ადევნებს ამ პროცესს და ურჩევს მათ, როგორ შეასრულონ დავალება უკეთ. მოსწავლეები ათვალეიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და მსჯელობენ, ვინ დახატა სიმეტრიული ფორმა უკეთესად.

### აქტივობა I II

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეს განუუვითაროთ სხვადასხვა ხერხით სიმეტრიული და ასიმეტრიული კომპოზიციების შექმნის ჩვევები.



აქტივობის შედეგი: ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

#### ინდიკატორი

• ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ქეჩა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);

• ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;

**მუშაობის ფორმა:** ჯგუფური

**დრო:** 5 წთ

**რესურსი:** ცარცი, საკლასო ინვენტარი,

#### აქტივობის მოკლე აღწერა

მასწავლებელი მოსწავლეებს კიდევ ერთი აქტივობის შესრულებას სთავაზობს. საკლასო ოთახის ცენტრში რაიმე ხერხით უნდა აღინიშნოს სიმეტრიის ღერძი (შესაძლებელია, ეს იყოს საგანგებოდ დანაწილები სკამები ან ცარცი იატაკზე გავლებული ხაზი და ა.შ.). დროის მცირე მონაკვეთში მოსწავლეები უნდა გადაჯგუფდნენ ისე, რომ ამ ხაზის მიმართ შექმნან ჯერ სიმეტრიული, ხოლო შემდეგ ასიმეტრიული კომპოზიციები. მასწავლებელი რამდენჯერმე აძლევს მათ განსხვავებულ დავალებას.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები კი სწრაფად იცვლიან ადგილს. მათი გადაადგილებით საკლასო ოთახში იქმნება როგორც სიმეტრიული, ასევე, ასიმეტრიული კომპოზიციები.

**მასწავლებლის აქტივობა:** თუ დავალების შესრულებისას მოსწავლეები არღვევენ პირობას და არასწორად ასრულებენ მას, მასწავლებელი უთითებს მათ შეცდომაზე და ურჩევს, რომ შეადარონ ერთმანეთს სიმეტრიის ღერძის მეშვეობით გაყოფილი სივრცე და მათი განლაგება ამ ღერძის მიმართ. აქტივობა სახალისო თამაშად შეიძლება იქცეს.

#### აქტივობა IV

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებს განუვითაროთ კომპიუტერული სახატავი პროგრამის გაოყენების და სიმეტრიული და ასიმეტრიული ნამუშევრების შექმნის უნარ-ჩვევა.

**აქტივობის შედეგი:** ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.

#### ინდიკატორი

• კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში (მაგ., პროგრამა PAINT) ქმნის რიტმულ, სიმეტრიულ, ასიმეტრიულ ნამუშევრებს.

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური

**დრო:** 10 წთ

**რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი

#### აქტივობის მოკლე აღწერა

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით შექმნან სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმები. ფორმები შეიძლება შესრულდეს ფერადი ხაზების გამოყენებით ან წინასწარ მოხაზულ ფორმებში მოსწავლეებმა ჩაასხან მათთვის საურველი ფერი.

**მოსწავლის აქტივობა:** მოსწავლეები კომპიუტერული პროგრამის დახმარებით ქმნიან მარტივ ფორმებს, აფერადებენ მათ და აღნიშნავენ, სიმეტრიულია თუ ასიმეტრიული თითოეული მათგანი.

**მასწავლებლის აქტივობა:** მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს მოსწავლეებს, მათ შინაც უნდა ივარჯიშონ ანალოგიური ფორმების შექმნაში კომპიუტერული პროგრამის დახმარებით.

**ტერმინები:** სიმეტრია, ასიმეტრია, სიმეტრიის ღერძი

**შენიშვნა:** მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლოა მასწავლებელმა ურჩიოს მათ შემდეგი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება: Paint

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** დაკვირვების და ანალიზის უნარი, სიმეტრიული ნამუშევრის შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

## 15. სიმეტრიის ღერძი

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს განუვითაროთ სიმეტრიის ღერძის ცნება და გამოვუმუშავოთ ღერძის გამოყენებით სიმეტრიული კომპოზიციების შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.



### ინდიკატორი

• ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;

• ქმნის სიმეტრიულ და ასიმეტრიულ ნამუშევრებს;

**ს.გ.IV.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• ქმნის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს მრავალფეროვანი მასალის საშუალებით (თასები, მძივები და სხვ.);

• მუშაობის პროცესში იყენებს განსხვავებულ ხერხებს, ატარებს ექსპერიმენტებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფურცელი, ფანქარი, საშლელი, საღებავები, ფერადი ფანქრები ან ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, წებო.

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური.

**პ.ი.კ. 1.** რაფაელის „რაინდის სიზმარში“ სამი ფიგურაა გამოსახული. მძინარე რაინდი სურათის ცენტრში წევს, ხოლო ორი ფიგურა სურათის კიდეებთანაა წარმოდგენილი. სურათის ცენტრში, მძინარე რაინდის უკან ხეა, ხოლო ფონს ბუნების ხედი წარმოადგენს.

2. რაფაელის სურათი სიმეტრიული ნაწარმოებია.

3. სურათის ცენტრში მოთავსებული ხე ამ კომპოზიციის სიმეტრიის ღერძია.

**ტერმინები:** სიმეტრია, ასიმეტრია, სიმეტრიის ღერძი

**შეფასების ფორმა:** მიმდინარე

**კრიტერიუმები:** გეომეტრიული ფიგურების სიმეტრიის ღერძის მიმართ განაწილება.

## 16. ქართველი მხატვრები

**გაკვეთილის მიზანი:** მოსწავლეს გამოვუმუშავოთ ხელოვნების ნაწარმოებზე ასახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის დამახასიათებელი ნიშნების, განსხვავებული რელიეფის ამოცნობის უნარი, გავუღვივოთ ინტერესი ხელოვნების ადგილობრივი მოღვაწეების მიმართ.

**გაკვეთილის შედეგი:** ს.გ.IV.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარ ინტერესებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების) და/ან გარემოზე დაკვირვების შედეგად

მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა ნამუშევარში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით.

### ინდიკატორი

• ასახავს ნამუშევარში ბუნებაზე, ბუნების მოვლენებზე და ობიექტებზე დაკვირვების შედეგებს სხვადასხვაგვარი სახვითი საშუალებებით (მაგ., ჭეპა-ქუხილი, დღე-ღამე, წელიწადის დრო და სხვ.);

• ირჩევს მხატვრულ ხერხებს (ელემენტები და პრინციპები) საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილების და ემოციის გადმოსაცემად;

• იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, კონტურს და შტრიხს;

• აკვირდება გარემოში ფორმათა მრავალფეროვნებას და ასახავს ნამუშევარში;

**ს.გ.IV.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა; აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება და საუბარი საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.**

### ინდიკატორი

• ინდივიდუალური, ერთობლივი ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს ჩანაფიქრის, იდეის შესახებ (თუ რისი ასახვა სურდა), ასახელებს გამოყენებულ ელემენტებს (მაგ., ხაზი, ფორმა, ფერი), პრინციპებს (მაგ., რიტმული გამოსახულებები) მასალას და სხვა;

• სხვებს უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებებს თანაკლასელთა ან ცნობილ მხატვართა ნამუშევრის შესახებ (ნამუშევრის შინაარსზე, ჟანრზე, დარგზე, რა მოსწონს ან არ მოსწონს) და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია;

**ს.გ.IV.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებისა და ზოგიერთი ჟანრის განსხვავება ერთმანეთისგან, მათი დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან და სხვა საგნებში განვლილ მასალასთან**

### ინდიკატორი

• აღარებს სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს გამომსახველობითი ხერხების, მასალის, ტექნიკის მიხედვით;

• ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ყოფითი);

• ასახელებს და ახასიათებს სახვითი ხელოვნების დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს (მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი და სხვ.);

• აგროვებს ინფორმაციას ცნობილ არქიტექტურულ ძეგლებზე, ფერწერულ ნამუშევრებზე, ქანდაკებებზე, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნიმუშებზე და აცნობს თანაკ-

ლასელებს; მუშაობს ინტეგრირებულ პროექტებზე (ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.);

- საუბრობს იმ ნამუშევრის შესახებ, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სამხატვრო გალერეაში ან მუზეუმში ყოფნისას და ასაბუთებს რატომ;

**რესურსი:** სახელმძღვანელო, ფურცელი, საღებავები, წყლის ჭურჭელი, ხელსახოცები, ფერადი ფანქრები. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამსახველი ნებისმიერი ვიზუალური მასალა (ბუკლეტები, კალენდრები, ფოტომასალა და ა.შ.), ე. ახვლედიანისა და დ. კაკაბაძის ალბომები ან ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია.

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური.

**პ.ი.კ. 1.** 1. დ. კაკაბაძის სურათზე მთა-გორიანი პეიზაჟია ასახული. ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარე აყვავებული მთის ფერდობები ზემო იმერეთის ტიპური ხედია. ე. ახვლედიანის სურათზე კი ალაზნის თვალწინდელი ველია გადაჭიმული. 2. მწვანედ აბიზინებული მთის კალთები სწორკუთხა მონაკვეთებით — დამუშავებული ყანებითა და ბახჩებითაა დაფარული. მთის ძირში სხვადასხვა ჯიშის ხეებიც მოჩანს. მთიანი პეიზაჟი კიდევ კიდევ ავსებს სურათს, ისე, რომ ცა სულ არ მოჩანს. კახეთის ხედი შედარებით უფრო მკრთალი მოიხსრო-ცისფრით არის შესრულებული და თითქოს ცის ფერს ერწყმის. აქა-იქ რამდენიმე ქართული ეკლესიის სილუეტიც მოჩანს.

**პ.ი.კ. II.** 1. ე. ახვლედიანის სურათზე რიკულებიანი აივნების მქონე პატარა სახლები ქათქათა თოვლის სქელი ფენითაა დაფარული. სახლები ძველია, ნახევრად დანგრეული, ზოგი მათგანი თითქოს თოვლის სიმძიმისგან ნამოქცეულა კიდევ. წინა პლანზე ფოთლებგაცვენილი ხის შიშველი ტოტები მოჩანს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ზამთრის სიცივის შეგრძნებას. დ. კაკაბაძის სურათზე ორი დიდი მთა მოჩანს. მათი წვერი სურათის ზედა კიდეს ებჯინება, ფერდობის ძირში კი ადამიანების ძლივს შესამჩნევი ჯგუფი მოჩანს. 2. პეიზაჟისტი ისეთ მხატვარს ენოდება, რომელიც ბუნების ხედებს ანუ პეიზაჟებს ხატავს. 3. მთის კალთები საკერებლიან საბანს წააგავს, ისეა დაფარული ფერადფერადი ოთხკუთხა ლაქებით. მათი ასე დანახვა სინამდვილეშიც შეიძლება, ოღონდ ზემოდან გადმოხედვისას.

**პ.ი.კ. 4.** ბუნების ფონზე მდგომი ძველი სამრეკლო მნახველის თვალწინ საქართველოს ისტორიას აცოცხლებს. ეს სურათი აღვიძებს მოსწავლის ფანტაზიას და უბიძგებს მას შეთხზას რაიმე ამბავი მის შესახებ.

**ტერმინები:** პეიზაჟისტი

**შენიშვნა:** გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი

